

178
1965 / 2.



სახჭოთა სამართალი


საქართველოს კვანტალური კომიტეტის გამომცემლობა


1965

2



(ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 95 წლისთავისათვის)





საბჭოთა სამართალი

№ 2

მარტი—აპრილი

1965 წელი

ბამოცემის XII

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ შინისგარე საბჭოთაან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ო რ ა თ ე ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ლენინის მიერ ნაჩვენები გზით	3
საქართველოს სსრ ახალი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი	5
თ. შავგულიძე — მოჩვენებითი მოგერიება საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში	15
ა. აბესაძე — საჩივრის ინსტიტუტის საკითხისათვის საბჭოთა ადმინისტრაციულ სამართალში	23
ი. ყორღანია — გაფლანგვა-გატაცების თავიდან აცილების ზოგიერთი საკითხი მათი ჩადენის და დაფარვის ხერხების გათვალისწინებით	30

6869

კომენტარები ახალ კანონმდებლობაზე

ა. უღენტი — სპეკულაციის დანაშაულის შემადგენლობა	43
---	----

წინადადებანი ახალი კანონმდებლობისათვის


შ. ჩიკვაშვილი — საბინაო სამშენებლო კომპერატივებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით ასაღები სახლების ღირებულების ანაზღაურების შესახებ	55
ა. ტაკიძე — განუხრელად დაცევით სოციალისტური კანონიერება	53

ჭალთა საერთაშორისო დღისათვის

დ. ნადირაძე, ლ. ჭანტურია — რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი ქალები	64
დ. ნანობაშვილი — შემთხვევა კვაისას გზაზე	72
სახელოვანი იუბილე	83

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მ. დუმბაძე — მონოგრაფია საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის პრობლემებზე	86
ენფორმაცია	93





СОДЕРЖАНИЕ

По пути указанному Лениным	3
Новый гражданско-процессуальный кодекс Грузинской ССР	5
Т. Шавгулидзе — Мнимая оборона в теории и судебной практике советского уголовного права	15
А. Абесадзе — К вопросу об институте жалобы в советском административном праве	23
И. Жордания — Некоторые вопросы предупреждения хищений с учетом способов их совершения и сокрытия	30

КОММЕНТАРИИ К НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

А. Жгенти — Состав преступления спекуляции	43
---	----

ПРЕДЛОЖЕНИЯ К НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

Ш. Чиквашвили — О порядке возмещения стоимости сношенных домов, в связи с отводом земельных участков жилищно-строительным кооперативам	55
А. Такидзе — Строго соблюдать социалистическую законность	55

К МЕЖДУНАРОДНОМУ ДНЮ ЖЕНЩИН

Д. Надирадзе, Л. Чантуриа — Женщины — заслуженные юристы республики	64
Д. Нанобашвили — Происшествие на дороге Квайса	72
Славный юбилей (Д. М. Генкин)	83

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

М. Думбадзе — Монография по проблемам истории государства и права Грузии	86
Информация	93

შპ. № 1775
ტირაჟი 5000
შე 03274

სარედაქციო კოლეგია

ა. კაციტაძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,
პ. ბერძენიშვილი, ი. დოლიძე, გ. ინწკაიშვილი,
მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, თ. წერეთელი,
ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—9-09-62

გადაეცა წარმოებას 14/V-65 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/VI-65 წ. ანაწყოების ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ლენინის მთავარი ნაჩვენები ზრით

შესრულდა 95 წელი კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადებიდან. ვ. ი. ლენინის — გენიალური მოაზროვნისა და მშრომელთა საყვარელი ბელადის — სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა ადამიანების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებები. ლენინიზმის დროებით დედამიწის ზურგზე პირველად სსრ კავშირში განხორციელდა სოციალიზმის აშენება და ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს კომუნისმის ნათელი შენობის აგება. ლენინიზმის ძლევამოსილი დროებით გამარჯვებს სოციალისტურმა რევოლუციებმა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც ახლა დიდი გაქანებით წარმოებს სოციალიზმის მშენებლობა. ლენინის სახე უნათებს გზას ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას მთელ მსოფლიოში. ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეები არანაშუადად ვრცელდება ყველა კონტინენტზე, ადაფრთოვანებს ჩაგრულ ხალხებს მათ ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ყოველთვის დიდი ბელადის უკვდავი ანდერძის, მისი დიადი საქმეების უსაზღვროდ ერთგულია, წარმართავს ჩვენი ქვეყნის ხალხების ცხოვრებას, მთელ მათს შემოქმედებით ენერჯიას ლენინური გზით. ლენინის იდეურ მემკვიდრეობაში საბჭოთა ხალხი ყოველთვის პოულობს პასუხს იმ ახალი პრობლემების გადაწყვეტისათვის, რომელსაც ცხოვრება აყენებს კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისათვის, მთელი ხალხისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის მქონეა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და 1965 წლის მარტის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებები, რომლებმაც პარტიის ცხოვრებაში შეიტანეს ბევრი რამ ახალი, ადაღინეს მუშაობის და ხელმძღვანელობის ნამდვილად მეცნიერული, ლენინური სტილი.

პარტიამ მარტის პლენუმზე გადაჭრით დაგმო სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტისადმი ნებისმიერი, სუბიექტივისტური მიდგომა, მკაცრად გაილაშქრა მარქსისტულ-ლენინური თეორიის გაუმართაობის წინააღმდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ წლებში, მოითხოვა კარდინალური შემობრუნება მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიური პოლიტიკისაკენ, დასახა ჩვენი ქვეყნის შემდგომში წინსვლის კონკრეტული გზები.


თუმცა მარტის პლენუმის სოფლის მეურნეობის პრობლემების განხილვას მიეძღვნა, მაგრამ მისი მნიშვნელობა შორს სცილდება ამ დარგებს. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ პლენუმის დადგენილებები და სულ მალე მის შემდეგ მიღებული ნორმატიული აქტები უდიდეს ამოცანებს აყენებენ პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მუშაკების, იურიდიული მეცნიერების წინაშე.

ამოცანა პირველ რიგში იმაში მდგომარეობს, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებიანი დაიყვანათ თითოეულ მშრომელამდე, უზრუნველყვით პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მიღებული ნორმატიული აქტების შესრულებაზე მეთვალყურეობის გაძლიერება.

პროკურატურის ორგანოები მოვალენი არიან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საკოლმეურნეო დემოკრატიის დაცვას, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების შესრულებას, მიიღონ ზომები, რათა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არ იქნეს დაშვებული სოციალისტური საკუთრების დანაშაულებრივი ხელყოფა.

პლენუმის დადგენილებიდან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანი ამოცანები დგება აგრეთვე იურიდიული მეცნიერების წინაშე. ოქტომბრის, ნოემბრის და მარტის პლენუმების გადაწყვეტილებები ფუნდამენტური უნდა გახდეს საბჭოთა კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფისათვის, სახელმწიფო, ადმინისტრაციული, მიწის და საკოლმეურნეო სამართლის მეცნიერებათა განვითარებისათვის.

როგორც პლენუმზე აღინიშნა სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება, რომელიც რამდენიმე ათეული წლის წინათ იქნა მიღებული საგრძნობლად მოძველდა. ამჟამად წარმოებს დიდი მუშაო-



ბა ახალ წესდებაზე. ქართველი იურისტების საპატიო მოწოდებაა აქტიური მონაწილეობა საქმეში, განაზოგადონ ყოველივე დადებითი და თავიანთი წინადადებებით ხელი შეუწყონ ახალი წესდების შემუშავებას. ასევე საჭიროა ქართველმა იურისტებმა თავიანთი წვლილი შეიტანონ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების სრულყოფაში, რომელზედაც მუშაობა მალე დამთავრდება. ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ ქართველი მეცნიერი-იურისტები პირნათლად მოიხდიან თავიანთ ვალს, აქტიურად შეუწყობენ ხელს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებას.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს კადრების პასუხისმგებლობის ამალვებას მინდობილი საქმისადმი. „თავიდან ბოლომდე უნდა განვამტკიცოთ პარტიულ-სახელმწიფო დისციპლინა, — აღნიშნა პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა — დიდი მომთხონელობა წაუყუენოთ ყველას, ხელმძღვანელი იქნება ეს, თუ უშუალო შემსრულებელი... ყველანი უნდა გავიმსჭვალოთ მაღალი მომთხონელობითა და პასუხისმგებლობით“.

საბჭოთა ხალხს ღრმად სწამს, რომ მეცნიერულად დასაბუთებული ლენინური კურსი, რაც დასახა კომუნისტურმა პარტიამ წარმატებით განხორციელდება. ამის უტყუარი თავდებია საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი აქტივობა და ინიციატივა, მათი ერთგულება დიადი ლენინური იდეებისადმი, კომუნისტების საქმისადმი.

საქართველოს სსრ ახალი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ 1964 წლის 26 დეკემბერს დაამტკიცა ახალი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც სამოქმედოდ შემოღებული იქნება მიმდინარე წლის 1 ივლისიდან. ამ დღიდან მოქმედებას შეწყვეტს 1931 წელს მიღებული საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი.

მოკავშირე რესპუბლიკების ახალი საპროცესო კოდექსების შემუშავებას და მიღებას წინ უსწრებდა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების მიღება.

1964 წლის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში გათვალისწინებულია აღნიშნული „საფუძვლების“ ყველა დებულება. ამასთან ერთად ახალი საპროცესო კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც ანვითარებენ „საფუძვლებს“.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს სასამართლოში საქმეთა განხილვის წესს იმ დავებზე, რომლებიც წარმოიშობა სამოქალაქო, საოჯახო, შრომის და საკოლმეურნეო სამართლებრივი ურთიერთობიდან და განსაკუთრებული წარმოების საქმეებზე.

როგორც ცნობილია, სამოქალაქო უფლებათა დაცვა ხორციელდება არამარტო სასამართლოს მიერ, არამედ აგრეთვე, არბიტრაჟის, სამედიცინო სასამართლოს, ამხანაგური სასამართლოების, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო უფლებათა დაცვა ხორციელდება ადმინისტრაციული წესითაც.

აღნიშნული ორგანოები უფლების დაცვას ახორციელებენ გარკვეული წესით, მაგრამ საპროცესო კოდექსი სასამართლოში საქმეთა განხილვის წესებს აწესრიგებს და ამიტომ ამ კოდექსით მხოლოდ სასამართლოები ხელმძღვანელობენ.

უფლების დაცვის პროცესუალური წესი ეს არის უფლების დაცვის ყველაზე უფრო ავტორიტეტული ფორმა, ვინაიდან მას ახორციელებს მართლმსაჯულების სახელმწიფო ორგანო-სასამართლო კანონით ზუსტად რეგლამენტირებული წესით. პროცესუალური ფორმა ყველაზე კარგად უზრუნველყოფს მხარეთა ნამდვილი უფლებების დაცვას, განსახილველ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას და სწორი გადაწყვეტილების გამოტანას.¹

სწორედ ამიტომაც, რომ ახალი საპროცესო კოდექსის პირველივე მუხლი სასამართლოებს ავალდებულებს ზუსტად და განუხრელად დაიცვან პროცესუალური კანონმდებლობით დადგენილი საქმეთა განხილვის წესი.

¹ უფლების დაცვის პროცესუალური ფორმის მნიშვნელობაზე იხ. **Д. И. Полумордвинов.** Законная сила судебного решения, изд. АН Грузинской ССР, Тбилиси, 1964 г.

იურიდიულ ლიტერატურაში სამართლიანად იყო აღნიშნული და ამდენს შეესაბამებოდა სახეობის მიუხედავად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის, რომ სასამართლოების მიერ საქმეთა განხილვის პროცესუალური ფორმის დაცვა არის არა ფორმალური, არამედ მართლმსაჯულების განხორციელების გარანტია.¹

კოდექსში ჩამოყალიბებულია პრინციპული ხასიათის დებულება, რომლის თანახმად ყოველ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით, მიმართოს სასამართლოს დარღვეული ან სადავო უფლების ან კანონიერი ინტერესების დასაცავად.

ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: შეუძლია თუ არა სასამართლოს უარი უთხრას მოქალაქეს უფლების დაცვის განხორციელებაზე?

სასამართლო არის ორგანო, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეზე. ამიტომ სასამართლოს მიერ უფლების დაცვის განხორციელებაზე უარისთქმა სხვას არაფერს ნიშნავს თუ არა უარისთქმას მართლმსაჯულების განხორციელებაზე. სასამართლოს—რომელიც არსებობს იმისათვის რომ განხორციელოს მართლმსაჯულება— ამის უფლება არა აქვს.

მაგრამ, პრაქტიკაში ზოგჯერ აღგილი აქვს ისეთ გარემოებებს, რომლებიც ან მიზანშეუწონელს ხდიან მოქალაქის მიერ აღძრული სარჩელის განხილვას, ან კიდევ, ხელს უშლიან მისი სათანადოდ განხილვა-გადაწყვეტის შესაძლებლობას მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში.

კანონმდებელმა გაითვალისწინა ეს და მიზანშეუწონილად ცნო ამომწურავად მიეთითებინა იმ გარემოებებზე, რომელთა არსებობის შემთხვევაში სასამართლოს უფლება ეძლევა არ მიიღოს სარჩელი, შეწყვიტოს საქმის წარმოება ან განუხილველად დატოვოს სარჩელი. ახალი საპროცესო კოდექსის 132-ე მუხლის თანახმად მოსამართლე უარს ეტყვის განცხადების მიღებაზე თუ განცხადება არ ექვემდებარება სასამართლო ორგანოების განხილვას, თუ სასამართლოში წარმოებს საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, თუ განცხადება შეიტანა არაქმედუნარიანმა პირმა და ა. შ. უარს ეტყვის რა მოქალაქეს განცხადების მიღებაზე, ახალი საპროცესო კოდექსი ავალდებულებს მოსამართლეს გამოიტანოს ამის თაობაზე დასაბუთებული განჩინება. ეს განჩინება უნდა ჩაბარდეს განმცხადებელს მისთვის საბუთების დაბრუნებასთან ერთდროულად. განჩინებაზე შეიძლება შეტანილ იქნას კერძო საჩივარი ან პროტესტი. ყველა სხვა, კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელ შემთხვევაში, უარის თქმა სარჩელის მიღებაზე უნდა შეფასდეს როგორც **მოსამართლის თვითნებობა**, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა იქნეს აღკვეთილი ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

1931 წლის კოდექსში არ იყო სათანადოდ რეგლამენტირებული აცილების


¹ იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 52-ე პლენუმის 1935 წ. დადგენილება „სამოქალაქო პროცესში საპროცესო ნორმების ზუსტად და განუხრელად დაცვის შესახებ“; კრებული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მოქმედი დადგენილებებისა, სახელგამო, 1955 წ., გვ. 254.

Доц. С. В. Курьлев, Формы защиты и принудительного осуществления субъективных, прав и право на иск. Тр. Иркутского гос. ун-та, серия юридическая, 1957 г., т. XXII, вып. 3, стр. 169. С. А. Голуцкий, Основные понятия учения о суде и правосудии, «Тр. Военно-юридической академии Красной Армии», 1943 г., вып. 3, стр. 10. М. С. Строгович, Курс Советского уголовного процесса, М., 1958 г., стр. 25.

ინსტიტუტი და მასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები (აცილების გადართობის წესი, აცილების შედეგები და სხვა). ახალ საპროცესო კოდექსში აცილების ინსტიტუტს, როგორც მოქალაქეთა უფლებების დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარანტიას, ცალკე თავი აქვს დათმობილი (თავი მესამე). აქ დაწვრილებით, ნათლად და მკაფიოდაა მითითებული მოსამართლის, პროკურორის, ექსპერტის, თარჯიმნის და პროცესის სხვა მონაწილეთა აცილების საფუძვლებზე. კოდექსის თანახმად მოსამართლეს, სახალხო მსაჯულს, პროკურორს, სასამართლოს სხდომის მდივანს, ექსპერტსა და თარჯიმანს არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვაში თუ ისინი პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებული არიან საქმის შედეგით, ან არის სხვა გარემოებანი, რომლებიც ექვს იწვევენ მათ მიუდგომლობაში.

შეიძლება ითქვას, რომ აქ ყველაზე უფრო მკაფიოდაა გამოხატული კანონმდებლის მოსაზრება — საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა და მხარეთა ნამდვილი უფლებების დაცვა შეუძლია მხოლოდ ისეთ სასამართლოს, რომლის ობიექტურობაში და მიუდგომლობაში არ შეიძლება ეჭვის შეტანა.

სამოქალაქო პროცესის შემდგომი დემოკრატიზაციის მიზნით გაფართოებულია საქმეში მონაწილე პირთა წრე. საქმეში მონაწილე პირებად ჩაითვლებიან არა მარტო მხარეები, მესამე პირები და პროკურორი, არამედ, სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, პროფკავშირები, სახელმწიფო დაწესებულებები, საწარმოები, კოლმეურნეობები და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ან ცალკეული მოქალაქენი. ამ ორგანოებს „კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში“ შეუძლიათ აღძრან სარჩელი სხვა პირთა უფლებების დასაცავად ან ჩაებან პროცესში დასკვნის მისაცემად (მუხ. 43). ამრიგად, პროკურორისაგან განსხვავებით, რომელსაც უფლება აქვს წარადგინოს სარჩელი ყოველთვის, როცა ამას მისი აზრით მოითხოვს სახელმწიფოს ან საზოგადოების ინტერესების დაცვა ან მოქალაქეთა უფლებების დაცვა (მუხ. 41), ახალი საპროცესო კოდექსის 43-ე მუხლში ჩამოთვლილ ორგანოებსა და პირებს შეუძლიათ წარადგინონ სარჩელი ან მისცენ დასკვნა საქმეზე მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. როგორც წესი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროცესში მონაწილეობის შემთხვევებს ითვალისწინებს ამ ორგანიზაციების დებულება. ასე მაგალითად, სამოქალაქო პროცესში ძალიან ხშირად მონაწილეობენ პროფკავშირების ტექნიკური ინსპექციის ორგანოები, როცა საქმე ეხება წარმოებაში მუშა-მოსამსახურეთა დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევაში, სამოქალაქო პროცესში ტექნიკური ინსპექციის ორგანოების მონაწილეობა პირდაპირაა გათვალისწინებული მათივე დებულების მე-4 პუნქტით. ძალიან ფართოდაა გავრცელებული აგრეთვე სამოქალაქო პროცესში საექიმო-შრომითი კომისიების ჩაბმა. ეს კომისიები იძლევიან დასკვნას შრომის უნარის დაკარგვის ხარისხის (პროცენტებში), ინვალიდობის ჯგუფის, დამატებითი სახის დახმარების საჭიროების შესახებ და ა. შ. დასკვნის მიცემა სასამართლოსათვის



ასეთ შემთხვევაში პირდაპირაა გათვალისწინებული საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების დებულების მე-16 პუნქტით.¹

ამრიგად, საპროცესო კოდექსის 43-ე მუხლში ჩამოთვლილ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ცალკეულ პირებს შეუძლიათ აღძრან სარჩელი სხვა პირთა უფლებების დასაცავად ან მისცენ დასკვნა საქმეზე თუ ეს პირდაპირაა გათვალისწინებული კანონით. სხვა შემთხვევაში სასამართლომ უარი უნდა უთხრას მათ პროცესში მონაწილეობაზე.

სასამართლო პრაქტიკაში სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, იმ შემთხვევაში, როცა მათი პროცესში მონაწილეობა კანონითაა გათვალისწინებული, განიხილავენ ან როგორც მოწმეებს ან როგორც ექსპერტებს. ეს შეცდომაა. რა თქმა უნდა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის თანამშრომელი სასამართლომ შეიძლება დანიშნოს ექსპერტად ან გამოიწვიოს მოწმედ. მაგრამ, როცა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები პროცესში მონაწილეობენ იმისათვის, რომ მხარი დაუჭირონ თავიანთი ორგანოების მიერ აღძრულ სარჩელს ან მათ მიერ მიცემულ დასკვნებს, ისინი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ექსპერტები ან მოწმეები. აქედან გამომდინარე დაუშვებელია გავავრცელოთ მათზე ის პროცესუალური ნორმები, რომლებიც ეხება მოწმეებსა და ექსპერტებს (გავიყვანოთ სასამართლო დარბაზიდან, გავაფრთხილოთ შეგნებულად ცრუ ჩვენების ან დასკვნის მიცემისათვის და ა. შ.). სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, იმ შემთხვევაში, როცა ისინი პროცესში მონაწილეობენ კანონის საფუძველზე, ფართო პროცესუალური უფლებებით სარგებლობენ. მათ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებაც კი აქვთ (მუხ. 30 და 44).

1931 წლის კოდექსით არასაკმაოდ იყო რეგულირებული დამამტკიცებელი საბუთებისა და მტკიცების საშუალებათა გამოყენების წესები. ამ კოდექსში დამამტკიცებელი საბუთების სახეობად მიჩნეული იყო მხოლოდ მოწმის ჩვენება და წერილობითი დამამტკიცებელი საბუთები. სპეციალური თავი ჰქონდა დათმობილი ექსპერტისა და ადგილობრივ დათვალეობებს. მხარეთა ახსნა-განმარტებას და ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებს ეს კოდექსი სრულიად არ იცნობდა.

სამოქალაქო პროცესუალურ კანონმდებლობაში არსებული ეს ხარვეზი ნაწილობრივ შეავსო „საფუძვლებმა“, მის შემდეგ კი მოკავშირე რესპუბლიკების ახალმა სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებმა.

ჩვენი რესპუბლიკის ახალი საპროცესო კოდექსი დაწვრილებით და მკაფიოდ არეგულირებს დამამტკიცებელი საბუთებისა და მტკიცების საშუალებათა გამოყენების წესებს. კოდექსით დადგენილი მტკიცების საშუალებათა გამოყენების პროცესუალური წესების დაცვა უზრუნველყოფს მათ უტყუარობასა და დასაბუთებულობას. ამიტომ პროცესუალური ფორმის დაცვა სავა-

¹ იხ. „დებულება საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების შესახებ. დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მიერ 1963 წლის 15 ივლისს.

„წესები, სამუშაოსთან დაკავშირებით დასახიჩრების და ჯანმრთელობისათვის სხვა ზიანის მიყენების შემთხვევაში საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ მუშა-მოსამსახურეებისათვის ანაზღაურების გაცემისა“. საქართველოს კ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1962 წ.

ბ. საყვარელიძე, საექიმო-შრომითი ექსპერტიზა საქართველოში, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1964 წ.

ლდებულა სსსამართლოსათვის. დამამტკიცებელი საბუთი, რომელიც მიღებული და გამოყენებულია პროცესუალური ფორმის დარღვევით არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილებას.

სპეციალური თავი აქვს დათმობილი შეგვებულ სარჩელს. შეგვებულ სარჩელი არის ძირითადი სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება. ამიტომ კანონმდებელი სავსებით სამართლიანად მოიქცა, როცა ახალი კოდექსით მოპასუხეს საშუალება მისცა ისარგებლოს ამ საშუალებით არა მარტო პირველი სამსჯავრო სხდომის დაწყებამდე, არამედ გადაწყვეტილების გამოსატანად სსსამართლოს სათათბირო ოთახში გასვლამდე (მუხ. 138).

საპროცესო კოდექსით დაზუსტებულია აგრეთვე შეგვებულ სარჩელის მიღების პირობები (მუხ. 139).

სამოქალაქო საქმეების წინასწარი მომზადების მნიშვნელობის შესახებ არა ერთხელ მიუთითა სსრ კავშირის უმაღლესი სსსამართლოს პლენუმმა.¹

პროცესუალურ ლიტერატურაში არაერთი მონოგრაფიული გამოკვლევა და სტატია მიეძღვნა სამოქალაქო საქმის წინასწარი მომზადების საკითხებს.²

იურიდიულ ლიტერატურაში არის შეხედულება რომლის თანახმად სამოქალაქო საქმის წინასწარი მომზადება არ არის პროცესის აუცილებელი სტადია.³

ყოველივე ამას არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა სსსამართლო პრაქტიკის სტაბილურობაზე. ზემდგომი ინსტანციის სსსამართლოს განჩინებებსა და დადგენილებებში დღესაც შევხვდებით მითითებებს ცალკეული კატეგორიის საქმეებზე საქმის წინასწარი მომზადების აუცილებლობის შესახებ. საჭირო გახდა საქმის მომზადების დეტალურად მოწესრიგება საკანონმდებლო წესით.

ახალ საპროცესო კოდექსში ამ საკითხს სპეციალური თავი აქვს დათმობილი კოდექსის 149-ე მუხლის თანახმად, რომლის პირველი ნაწილი იმეორებს „საფუძვლების“ შესაბამის მუხლს, განცხადების მიღების შემდეგ სსსამართლე ამზადებს საქმეს სსსამართლო განხილვისათვის, რომლის მიზანია საქმის დროულად და სწორად გადაწყვეტის უზრუნველყოფა. ამავე მუხლის ბოლო ნაწილის შესაბამისად მოსამართლეს გამოაქვს განჩინება სსსამართლო განხილვისათვის საქმის მომზადების შესახებ.

ამრიგად, სამოქალაქო საქმის წინასწარი მომზადება ყველა შემთხვევაში პროცესის აუცილებელი სტადიაა. ამასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს სსრ კავშირის უმაღლესი სსსამართლოს 52-ე პლენუმის მე-2 პუნქტის ის ნაწილი სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ სამოქალაქო საქმე-

¹ იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სსსამართლოს 52-ე პლენუმის 1935 წ. 28 ოქტომბრის დადგენილება. სსრ კავშირის უმაღლესი სსსამართლოს პლენუმის დადგენილებების კრებული. სახელგამი, 1955 წ. გვ. 255;

Постановление Пленума Верховного суда СССР от 25 апреля 1947 г. «Об ускорении рассмотрения гражданских дел в судах». Сб. Постановлений Пленума Верховного суда СССР 1924—1963 г., М., 1964 г., стр. 100.

² К. С. Юдельсон, Предварительная подготовка дела в Советском гражданском процессе, М., 1948 г. П. В. Логинов, предварительная подготовка гражданских дел, М., 1960 г., В. К. Пучинский, Подготовка гражданских дел к судебному разбирательству, М., 1962 г., С. В. Курылев, Об организации предварительной подготовки дел в Сов. гражд. процессе. «Советское государство и право», 1955 г., № 1 и др.

³ См. Ц. Апарникова. Обеспечение полноты доказательственного материала к судебному разбирательству дела. Вопросы гражданского права, колхозного права и гражданского процесса., М., 1958 г., стр. 180.

ბის მომზადება სავალდებულოა „გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმის გარემოებათა სიაშკარავისა და დამამტკიცებელი საბუთების სისრულის გამო მოსამართლეს ზედმეტად მიაჩნია საქმის წინასწარი მომზადება“. პლენუმის დადგენილების ეს ნაწილი გამომდინარეობდა მაშინ მოქმედი კანონმდებლობიდან, რომელიც დღეს შეცვლილია ახალი პროცესუალური კანონმდებლობით.

საქმის განხილვა სასამართლოში პროცესის უმნიშვნელოვანესი სტადიაა. მიუხედავად ამისა 1931 წლის კოდექსში ის ძალზედ სუსტად იყო წარმოდგენილი (მას დათმობილი ჰქონდა სულ 17 მუხლი). ახალ კოდექსში ამ საკითხებზე 48 მუხლი აქვს დათმობილი (მუხ. 151-196). აქ დეტალურადაა რეგლამენტირებული სასამართლოს სხდომის წესები, საქმეში მონაწილე პირთა გამოუცხადებლობის შედეგები, დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევის წესები, სასამართლო კამათი, საქმის არსებითად განხილვის განახლება და ა. შ. ეს საკითხები ან სრულებით არ იყო მოწესრიგებული ადრე მოქმედ კოდექსში ან თუ იყო, მათ სერიოზული ცვლილება განიცადეს.

აქ ჩამოყალიბებულია პრინციპული მნიშვნელობის დებულება (152-ე მუხლი), რომლის თანახმად სასამართლო სხდომას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც „უზრუნველყოფს საქმის გარემოებათა სრულ, ყოველმხრივ და ობიექტურ გამოკვლევას... ჭეშმარიტების დადგენას და სასამართლო პროცესის აღმზრდელი ზემოქმედებას“... ამრიგად, კანონში პირდაპირაა მითითებული, რომ სასამართლომ უნდა უზრუნველყოს საქმის გარემოებათა ობიექტური გამოკვლევა, **ჭეშმარიტების დადგენა**.

ადრე მოქმედი საპროცესო კოდექსი სრულებით არ იცნობდა ისეთ ინსტიტუტს როგორცაა სარჩელის განუხილველად დატოვება.¹ ამომწურავი არ იყო საქმის წარმოების შეწყვეტისა და შეჩერების საფუძვლები. ამით შეიძლება აიხსნას, რომ სასამართლო პრაქტიკაში არ იყო ერთგვაროვნება ამ საკითხებში და დაშვებული იყო სერიოზული შეცდომები. სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლებმა და მოკავშირე რესპუბლიკების ახალმა საპროცესო კოდექსებმა შეაგსო ეს ხარვეზი (იხ. მუხ. 226 და 228).

დაზუსტებულია და ნაწილობრივ შეცვლილია 1931 წლის კოდექსის ის მუხლები, რომლებიც საქმის წარმოების შეჩერებას ეხება. ახალ საპროცესო კოდექსში შენარჩუნებულია საქმის წარმოების შეჩერების სავალდებულო და ფაქულტატიური შემთხვევები.

საქმის წარმოების შეჩერების, შეწყვეტისა და სარჩელის განუხილველად დატოვების პროცესუალური საფუძვლები ამომწურავადაა მითითებული ახალ კოდექსში და სასამართლოს უფლება არა აქვს თვითონ გააფართოს ეს საფუძვლები.

საქმის წარმოების შეჩერება, შეწყვეტა ან სარჩელის განუხილველად დატოვება კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი მოტივით უნდა შეფასდეს რო-

¹ სარჩელის განუხილველად დატოვების ინსტიტუტის შემოღების აუცილებლობა პირველად დასაბუთა პროფ. მ. ა. გურვიჩმა. იხ. **М. А. Гурвич, право на иск, М., 1949 г., стр. 113—117.**

გორც სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებაზე თქმა, ამიტომ ეს ყოველად დაუშვებელია.¹

საქმის წარმოების შეწყვეტა, შეჩერება და სარჩელის განუხილველად დატოვება აბრკოლებს საქმის შემდგომ მსვლელობას, ამიტომ კოდექსის 224-ე და 327-ე მუხლის თანახმად სასამართლოს განჩინება შეიძლება გაასაჩივრონ მხარეებმა ან გააპროტესტოს პროკურორმა.

მნიშვნელოვანი ცვლილებებია საქმეების განსაკუთრებული წარმოების წესებში. ადრე მოქმედი კანონმდებლობით სულით ავადმყოფობისა და ჭკუანაკლებობის გამო მოქალაქის არაქმედუნარიანად აღიარება ადმინისტრაციული წესით ხდებოდა. იურიდიულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ საფუძვლების მიღებამდე არა ერთხელ დაისვა საკითხი ამ კატეგორიის საქმეების სასამართლო ორგანოების კომპეტენციისათვის მიკუთვნების აუცილებლობის შესახებ.²

ახალი საპროცესო კოდექსის თანახმად მოქალაქის არაქმედუნარიანად აღიარება განსაკუთრებული წარმოების წესით ხდება. ამ კატეგორიის საქმეების სასამართლო წესით განხილვა მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტიაა.

საქმე მოქალაქის არაქმედუნარიანად აღიარების შესახებ შეიძლება დაწყებული იქნეს მისი ოჯახის წევრის, აგრეთვე პროფკავშირების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პროკურორის, სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს ან ფსიქიატრიული სამკურნალო დაწესებულების განცხადებით (მუხ. 267). ამრიგად, კანონი ზუსტად მიუთითებს იმ პირთა წრეზე, რომლებსაც უფლება აქვთ დაიწყონ საქმე მოქალაქის არაქმედუნარიანად აღიარების შესახებ. აქედან გამომდინარე კი, თუ საქმე მოქალაქის არაქმედუნარიანად აღიარების შესახებ იმ პირმა არ აღძრა, რომელიც მითითებულია 267-ე მუხლში, სასამართლომ საპროცესო კოდექსის 132-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად არ უნდა მიიღოს სარჩელი.

მოსამართლე საქმის წინასწარი მომზადების წესით დანიშნავს სასამართლო ფსიქიატრიულ ექსპერტიზას ამ მოქალაქის ფსიქიური მდგომარეობის გამოკვლევისათვის. ექსპერტიზის დანიშვნა ასეთ საქმეებზე სავალდებულოა. განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ პირი, რომლის მიმართ აღძრულია საქმე მისი არაქმედუნარიანად აღიარების შესახებ და იგი აშკარად თავს არიდებს შემოწმებას, სასამართლოს, პროკურორისა და ფსიქიატრის მონაწილეობით შეუძლია გამოიტანოს განჩინება სასამართლო ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე მოქალაქის იძულებით გაგზავნის შესახებ (მუხ. 269).

ამრიგად, ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა ამ შემთხვევაში შეუძლია მოსამართლეს ერთპიროვნულად, მაგრამ განჩინება მოქალაქის სასამართლო ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე იძულებით გაგზავნის შესახებ შეუძლია გამოიტანოს მხოლოდ სასამართლომ. საქმეს მოქალაქის არაქმედუნარიანად აღიარების შესახებ სასამართლო განიხილავს პროკურორისა და სამეურვეო და სამზრუნვე-

¹ მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში დღესაც საკმაოდ ხშირია შემთხვევა, როცა სასამართლები საქმის წარმოებას სპობენ იმ მოტივით, რომ არ გამოცხადდა მოსარჩელე, მხარემ ვერ წარმოადგინა სათანადო დამამტკიცებელი საბუთები ან კიდევ, მხარე შუამდგომლობს საქმის წარმოების მოსპობის შესახებ და ა. შ. არც ერთი ეს ვარაუდობა კანონის თანახმად საქმის წარმოების მოსპობის საფუძველს არ წარმოადგენს.

² В. К. Пучинский. Судебное признание лица недееспособным, «Советская юстиция», 1957 г., № 4, стр. 41.



ლო ორგანოების აუცილებელი მონაწილეობით. სასამართლოს გადაწყვეტილება მოქალაქის არაქმედუნარიანად აღიარების შესახებ წარმოადგენს საფუძველს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებისათვის მეურვის დასანიშნავად. სასამართლოს წესით ხდება აგრეთვე მოქალაქის ქმედუნარიანად აღიარება (მუხ. 272).

სასამართლოს გადაწყვეტილება სოციალისტური მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი აქტია, რომლითაც მთავრდება საქმის განხილვა სასამართლოში. მიუხედავად ამისა, ადრე მოქმედი კოდექსით სასამართლოს გადაწყვეტილების საკითხები არ იყო სათანადოდ რეგლამენტირებული. ეს ხარვეზი ნაწილობრივ შეავსო „საფუძვლებმა“, ხოლო შემდეგ კი — ახალმა საპროცესო კოდექსმა.

ადრე მოქმედი საპროცესო კოდექსებით სრულებით არ იყო რეგლამენტირებული მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ინსტიტუტი. მოკავშირე რესპუბლიკების ახალ საპროცესო კოდექსებში ამ ინსტიტუტის სათანადოდ რეგლამენტირების აუცილებლობა, გადაწყვეტილებების კანონიერი ძალის შესახებ ნორმების შემუშავებისა და ჩამოყალიბების აუცილებლობა საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში პირველად დამაჯერებლად დასაბუთა პროფ. დ. ი. პოლუმორდვინოვმა თავის სადოქტორო დისერტაციაში 1948 წელს, რომელიც ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1964 წელს.¹

ძალიან დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ იმ ნორმებს, რომლებიც გადაწყვეტილების აუცილებელი რეკვიზიტებისა და გადაწყვეტილების შინაარსს ეხებიან. სასამართლო ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას ამ ნორმების მოთხოვნა გადაწყვეტილების გამოტანის დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებლობის შესახებ მსჯელობა. თუ, მაგალითად, გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული მატერიალური სამართლის იმ ნორმაზე, რომლითაც იხელმძღვანელა სასამართლომ, ან კიდევ, იმის შესახებ, თუ რატომ უარყო ესა თუ ის დამამტკიცებელი საბუთი და რატომ ცნო დამაჯერებლად სხვები, ასეთი გადაწყვეტილება ვერავითარ შემთხვევაში ვერ დატოვებს კანონიერისა და დასაბუთებულის შთაბეჭდილებას პირველ რიგში იმათ თვალში ვისაც ის უშუალოდ ეხება. ეს გარემოება კი ხშირად გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გაპროტესტების მიზეზი ხდება, ზოგჯერ კი ამ გადაწყვეტილების გაუქმების მიზეზიც.

დაზუსტებული, შევსებული და ნაწილობრივ შეცვლილია ის ნორმები, რომლებიც გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას ეხება. კოდექსი ადგენს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების სავალდებულო და ფაქულტატიურ შემთხვევებს.

უსწოროდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის წინანდელ სამუშაოზე ან თანამდებობაზე აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს აღსრულებული (მუხ. 217). მოქალაქეთა შრომის უფლების დაცვის გარანტიის შემდგომი გაფართოების მიზნით კოდექსის 422-ე მუხლი ადგენს, რომ აღმინისტრაციის მიერ არასწორად დათხოვნილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სასა-

¹ Д. И. Полумордвинов. Законная сила судебного решения, Тбилиси, 1964 г. стр. 77, 83, 100, 106, 110, 127, 131, 161, 165.

მართლო გამოიტანს განჩინებას არასწორად დათხოვნილი მუშაკისათვის იძულებით გაცდენილი დროის გასამჯელოს ან არასწორად გადაყვანილი მუშაკისათვის განსხვავების გადახდის შესახებ, გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან მის აღსრულებამდე განვლილი დროის განმავლობაში.

ამასთან ერთად, ძალაუბნებური გაცდენისათვის ფულადი თანხების გადახდით ორგანიზაციისათვის მიყენებული ზარალი შეიძლება სასამართლომ აზღვევინოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობაში უშუალოდ დამნაშავე პირს.

ახალ კოდექსში სრულყოფილადაა რეგლამენტირებული საქმის წარმოება საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციაში.

საქმის საკასაციო წესით განხილვის პროცესუალურ საფუძველს წარმოადგენს საკასაციო საჩივარი ან საკასაციო პროტესტი.

ამასთან დაკავშირებით იბადება პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ, როგორ უნდა მოიქცეს საკასაციო ინსტანციის სასამართლო, როცა საკასაციო საჩივრის შემტანი პირი უარს ამბობს მის საჩივარზე ან კიდევ, საკასაციო პროტესტის შემტანი პროკურორი ან ზემდგომი პროკურორი გამოითხოვს პროტესტს.

ეს საკითხი არ იყო მოწესრიგებული ადრე მოქმედი კოდექსით, რის გამოც პრაქტიკაში ზოგჯერ ადგილი ჰქონდა გაუგებრობას.

ახალი საპროცესო კოდექსის 299-ე მუხლის თანახმად საკასაციო საჩივრის შემტან პირს უფლება აქვს უარი თქვას მასზე, მაგრამ საკასაციო სასამართლოს შეუძლია არ მიიღოს ეს უარი კოდექსის 34-ე მუხლში გათვალისწინებული მოტივით და განიხილოს საქმე საკასაციო წესით. 34-ე მუხლის თანახმად კი სასამართლო არ მიიღებს მოსარჩელის უარს სარჩელზე, მოპასუხის მიერ სარჩელის აღიარებას და არ დაამტკიცებს მხარეთა მორიგებას, თუ ეს მოქმედება ეწინააღმდეგება კანონს ან არღვევს ვისიმე უფლებებს და კანონიერ ინტერესებს. ამრიგად, საკასაციო ინსტანციის სასამართლო არ მიიღებს საკასაციო საჩივრის შემტანი პირის უარს მის საჩივარზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის შემტანი პირის ეს მოქმედება ეწინააღმდეგება კანონს ან არღვევს ვისიმე უფლებებს და კანონით დაცულ ინტერესებს. თუ ამ გარემოებებს ადგილი არა აქვს საკასაციო ინსტანციის სასამართლომ უნდა მიიღოს საჩივრის შემტანი პირის უარი და შეწყვიტოს საკასაციო წარმოება.

ამრიგად, საკასაციო საჩივრის შემტანი პირის უარი საკასაციო საჩივარზე არ წარმოადგენს საკასაციო წარმოების შეწყვეტის უპირობო საფუძველს.

სულ სხვა მდგომარეობას აქვს ადგილი როცა შემოტანილია საკასაციო პროტესტი და ზემდგომი პროკურორი გაითხოვს ამ პროტესტს.

საკასაციო პროტესტის შემომტანი პროკურორის ან ზემდგომი პროკურორის მიერ საკასაციო პროტესტის გამოთხოვა საკასაციო წარმოების შეწყვეტის უპირობო საფუძველია. კანონმდებლის მოსაზრება ამ შემთხვევაში საკვებით წათელია: პროკურატურა არის ორგანო, რომელიც ზედამხედველობას უწევს

კანონიერების დაცვას, ამიტომ, ის არ ჩაიდენს ისეთ მოქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს ან არღვევს ვისიმე კანონით დაცულ ინტერესებს.

საჩივარზე უარის მიღების და პროტესტის გათხოვის შესახებ სასამართლო გამოიტანს განჩინებას, რომლითაც შეწყვეტს საკასაციო წარმოებას.

ახალ კოდექსში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნორმებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების, განჩინებისა და დადგენილების გადასინჯვის შესახებ.

კოდექსის 337-ე მუხლის თანახმად, რომლის პირველი ნაწილი იმეორებს „...საფუძვლების“ 49-ე მუხლის მე-6 ნაწილს, საზედამხედველო ინსტანციაში საქმის წარმოების დროს მხარეებს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს ეგზავნებათ მათ საქმეზე შეტანილი პროტესტის ასლები. საჭირო შემთხვევაში მხარეებს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს ეცნობებათ საქმის განხილვის დრო და ადგილი.

საქმის ზედამხედველობის წესით გადასინჯვის სასამართლო წარმოების დემოკრატიული საფუძვლების შემდგომი გაფართოების მიზნით ჩვენი რესპუბლიკის საპროცესო კოდექსში ჩამოყალიბებულია ნორმა, რომლის თანახმად თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდნენ მხარეები, მათ უფლება აქვთ მისცენ სასამართლოს ზეპირი ახსნა-განმარტება (341 მუხ. მე-6 ნაწ.).

ამრიგად, ზედამხედველობის წესით საქმის განხილვაში შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მხარეებმა და საქმეში მონაწილე სხვა პირებმა არა მარტო იმ შემთხვევაში როცა მათ ეცნობათ საქმის განხილვის დრო და ადგილი, არამედ იმ შემთხვევაშიც როცა ასეთი მათ არ ეცნობათ, მაგრამ სასამართლოს სხდომაზე გამოცხადდნენ თავისი ინიციატივით.

ახალ საპროცესო კოდექსში შემდგომი განვითარება ჰპოვა „საფუძვლების“ იმ ნორმებმა, რომლებიც სააღსრულებო წარმოებას ეხება. 352-ე მუხლის თანახმად გაფართოებულია იმ გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა წრე, რომლებიც უნდა აღსრულდეს იმ წესით, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის არსებობს. 364-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს აღმასრულებლის აცილებას და ზუსტად განსაზღვრავს აცილების საფუძვლებს.

კოდექსის ბოლო მე-VI კარი შეეხება უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა სამოქალაქო პროცესუალურ უფლებებს.

კოდექსს ერთვის სამი დანართი.

* * *

ასეთია ძირითადად საქართველოს სსრ ახალი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი. მისი სახით ჩვენ გვაქვს სრულყოფილი კოდექსი. ახლა მთავარია, რომ სამოქალაქო პროცესი წარიმართოს ამ კოდექსში ჩამოყალიბებული დებულებებისა და ნორმების ზუსტი შესაბამისობით.

ახალი საპროცესო კოდექსის ნორმების პრაქტიკაში სწორად გამოყენების მიზნით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორმა თავის სამეცნიერო-კვლევით გეგმით გაითვალისწინა კოდექსის მეცნიერულ-პრაქტიკული კომენტარების შემუშავება.

კოდექსის კომენტარების შემუშავება და ამ კოდექსის უმნიშვნელოვანესი დებულებების თეორიული დასაბუთება კიდევ უფრო ხელმისაწვდომს გახდის მას ფართო მასებისათვის და ხელს შეუწყობს პროცესის წარმართვას სასამართლო წარმოების წესების ზუსტი შესაბამისობით, რაც უზრუნველყოფს განსახილველ საქმეზე დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანას.

მოქვენებითი მოგვიბა საბჭოთა სისხლის საპატიოსნო თეორიასა და სასაპატიოსნო პრაქტიკაში

თ. შავშულია,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

აუცილებელი მოგვიბა, ე. ი. სამართლებრივი ინტერესების დაცვა საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან ხელმყოფისათვის ზიანის მიყენების გზით, გამორიცხავს ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას. ამგვარი მოქმედების მართლზომიერება აიხსნება იმით, რომ იგი ჩადენილია ხელყოფის თავიდან აცილების მიზნით და ობიექტურად კონკრეტულ სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობის დაცვას ემსახურება.

პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც სუბიექტი ისეთივე მიზნით მოქმედებს, როგორც აუცილებელი მოგვიბების დროს, ე. ი. ისწრაფვის დაცვას კონკრეტული სამართლებრივი ინტერესი, მაგრამ „თავდასხმა“, რომელსაც იგი იგერიებს, მოჩვენებითია, იგი მხოლოდ მის წარმოდგენაში არსებობს. ამგვარ „მოგვიბას“ საბჭოთა სისხლის სამართალში „მოჩვენებით მოგვიბას“ უწოდებენ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი მოჩვენებით მოგვიბად თვლის ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირი რეალურად არ განიცდის ხელყოფას და მხოლოდ შეცდომით ფიქრობს, რომ ადგილი აქვს თავდასხმას.¹


პროფ. პაშე-ოზერსკის აზრით, მოჩვენებითი მოგვიბა ეს არის მოგვიბა წარმოდგენილი, მოჩვენებითი, მაგრამ სინამდვილეში (ობიექტურად) არარსებული ხელყოფისა, ე. ი. შეცდომის შედეგი.²

მოჩვენებითი მოგვიბების ცნების ეს განსაზღვრა, ისევე როგორც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მიერ მოცემული განსაზღვრება, მოითხოვს შევსებას. საქმე იმაშია, რომ საკითხი მოჩვენებითი მოგვიბების შესახებ (სისხლისსამართლებრივი გაგებით) დგება არა ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მოქალაქე იგერიებს არარსებულ ხელყოფას, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი ამგვარი მოგვიბების შედეგად ზიანს აყენებს „ხელმყოფს“. ამიტომ უდავოდ სწორია პროფ. ნ. დურმანოვი, როდესაც მოჩვენებითი მოგვიბების ცნების განსაზღვრებაში შეაქვს, „ხელმყოფისათვის“ ზიანის მიყენების მომენტი. პროფ. ნ. დურმანოვის აზრით მოჩვენებითი მოგვიბა გამოიხატება ისეთი ადამიანისათვის ვნების მიყენებაში, რომელსაც პირი შეცდომით თვლის ხელმყოფად.³

¹ Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924—1963, М., 1964 стр. 185.

² Н. Н. Паше-Озерский, Необходимая оборона и крайняя необходимость М., 1962, стр. 100.

³ Н. Д. Дурманов, Обстоятельства, исключющие общественную опасность, деяний, М., 1961, стр. 30.



საკითხი მოჩვენებითი მოგერიების შესახებ შეიძლება დაისვას მხოლოდ მაშინ, როდესაც „მომგერიებელი“ მოქმედებს კონკრეტული სამართლებრივი ინტერესის დაცვის მიზნით. ეს მომენტიც, ჩვენი აზრით, უნდა აისახოს მოჩვენებითი მოგერიების ცნების განსაზღვრებაში. ამგვარად მოჩვენებით მოგერიებად უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი კონკრეტული სამართლებრივი ინტერესების დაცვის მიზნით ზიანს აყენებს ადამიანს, რომელსაც იგი შეცდომით თვლის თავდამსხმელად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ სუბიექტის მოქმედებაში არ არის დადგენილი კონკრეტული სამართლებრივი ინტერესების დაცვის მიზნის არსებობა, მაშინ მოქმედება არ უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც მოჩვენებითი მოგერიება.

ა. იცავდა კოლმეურნეობის ბოსტანს. შუალამისას იგი ჩამოჯდა თივის ძნასთან და ჩასთვლიმა. უცბად იგი ხმაურმა გამოაღვიძა. ამ მომენტში მან დაინახა სილუეტი, რომელიც მისკენ მოიწევედა. შეშინებულმა და დაბნეულმა ა-მ, რომელმაც ვერ გაარჩია, მხეცი იყო ეს თუ ადამიანი, გაისროლა სანადირო თოფი. ამ გასროლით სასიკვდილოდ დაიჭრა პ., რომელიც ცარიელი ტომრით შემოსულიყო კოლმეურნეობის ბოსტანში კარტოფილის მოსაპარად.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ ა-ს მოქმედება ჩათვალა მოჩვენებით მოგერიებად და დააკვალიფიცირა, როგორც გაუფრთხილებელი მკვლელობა.

ჩვენი აზრით, ა-ს მოქმედება არ წარმოადგენს მოჩვენებით მოგერიებას. თუ ა. ისროდა მოგერიების მიზნით, მაშინ მისი მოქმედება წარმოადგენს ან აუცილებელ მოგერიებას, ანდა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებას, რადგან სამართლით დაცული ინტერესების ხელყოფას რეალურად ჰქონდა ადგილი. თუ კი ა.-ს არ ამოძრავებდა ამგვარი მიზანი და მან გაისროლა დაბნეულობით, ისე რომ არც ჰქონდა შეგნებულნი, თუ რას სჩალოდა, მაშინ მისი მოქმედება არ წარმოადგენს აუცილებელ მოგერიებას, მაშასადამე, არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს არც მისი ფარგლების გადამეტებას. მაგრამ ასეთ შემთხვევაში არ გვაქვს არც მოჩვენებითი მოგერიება, რადგან მისი არსებობისათვის, ისევე, როგორც აუცილებელი მოგერიების არსებობისათვის სუბიექტი უნდა მოქმედებდეს მოგერიების მიზნით.¹

კონკრეტული სამართლებრივი ინტერესის დაცვის მიზანს, რომელსაც ადგილი აქვს მოჩვენებითი მოგერიების დროს, არ შეუძლია განაპირობოს ასეთი მოქმედების საზოგადოებრივად სასარგებლო ხასიათი, მოჩვენებითი მოგერიება არ ემსახურება სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დაცვას, რადგან იგი მიმართულია მოჩვენებითი, და არა რეალური ხელყოფის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე მოჩვენებითი მოგერიების პირობებში მოქალაქისათვის ზიანის მიყენება ყოველთვის წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშს.²

მეორეს მხრივ მოჩვენებითი მოგერიების დროს ყოველთვის გამოირიცხებულია განზრახვი ბრალის არსებობა, რადგან ასეთ შემთხვევაში არ არსებობს გა-

¹ თუ ა — არ მოქმედებდა დაცვის მიზნით, მაშინ მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც გაუფრთხილებელი მკვლელობა მოჩვენებით მოგერიებაზე მითითების გარეშე.

² ამიტომ ჩვენ არაზუსტად მიგვაჩნია მ. იაკუბოვიჩის აზრი იმის შესახებ, თითქოს მოჩვენებითი მოგერიება ზოგ შემთხვევაში შეიძლება იყოს საშიშროებას მოკლებული. (იხ. მ. ი. Якубович, Вопросы теории и практики необходимой обороны М., 1961, стр. 164).

წარსხვის აუცილებელი ელემენტი-ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება.

ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების შეუგნებლობა მოჩვენებითი მოგერიების დროს გაპირობებულია ფაქტიური შეცდომით. ამიტომ მომგერიებლის პასუხისმგებლობის საკითხი წყდება იმის მიხედვით მიუძღვის თუ არა მას ბრალი შექმნილი სიტუაციის არასწორად შეფასებაში. ასეთ შემთხვევაში — აღნიშნულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1956 წლის 26 ოქტომბრის დადგენილებაში, — პირმა შეიძლება პასუხი აგოს ან გაუფრთხილებლობისათვის ან საერთოდ გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.¹

იმ შემთხვევაში, როდესაც მომგერიებელი შეცდომას უშვებს შექმნილი ვითარების შეფასებაში და აყენებს ზიანს მოქალაქეს, მაშინ როცა მას შეეძლო და მოვალეც იყო სწორად შეეფასებინა ფაქტიური გარემოება, რომელშიაც იგი მოქმედებდა, მან პასუხი უნდა აგოს ზიანის გაუფრთხილებლობით მიყენებისათვის.

საღამოს 10 საათზე მოქ. დ-ს ეზოში შევიდა უცნობი და ცდილობდა დაეჭირა მისი ძაღლი. დ-ს შეკითხვა, თუ ვინ იყო იგი და რა უნდოდა, უცნობმა უპასუხოდ დატოვა. დ. შებრუნდა სახლში და გამოიტანა პურის საჭრელი დანა. ამ დროს უცნობს უკვე დაეჭირა ძაღლი. დ-მ გაიფიქრა, რომ მას საქმე ჰქონდა მძარცველთან, რომელიც ჯერ დაახრჩობდა მის ძაღლს, ხოლო შემდეგ გაძარცვავდა მას. ამით შეშინებულმა დ-მ თავდაცვის მიზნით დანა ჩაართყა უცნობს და მძიმედ დასჭრა იგი. როგორც შემდეგში გამოირკვა, დაზარალებული მოქ. ბ.

დ-ს ეზოში შევიდა არა მისი გაძარცვის მიზნით, არამედ სიმთვრალის გამო. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დ-ს მოქმედება ჩასთავლა მოჩვენებით მოგერიებად და დააკვალიფიცირა იგი, როგორც გაუფრთხილებლობით სხეულის მძიმე დაზიანება.

თუკი სუბიექტი კონკრეტულ სიტუაციაში არ იყო მოვალე, ანდა არ შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ მოქალაქე, რომელსაც იგი აყენებს ზიანს, ფაქტიურად თავს არ ესხმის სამართლით დაცულ ინტერესებს, მაშინ მოჩვენებითი მომგერიებელი საერთოდ უნდა განთავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

პროფ. ნ. დურმანოვის აზრით, ასეთ პირს, როგორც კეთილსინდისიერად შემცდარს, ეფარდება საფუძვლების მე-13 მუხლი.² ამ მუხლის თანახმად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებიან პირები, რომლებიც ახორციელებენ აუცილებელი მოგერიების უფლებას, ამიტომ მისი შეფარდება არაბრალეული მოჩვენებითი მოგერიებისათვის, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს სწორი. აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა ობიექტური სინამდვილეა. მას ჰქმნის რეალურად არსებული საზოგადოებრივად საშიში ხელყოფა. მოჩვენებითი მოგერიების დროს კი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა არსებობს მხოლოდ მომგერიებლის წარმოდგენაში და არა სინამდვილეში. ეჭვგარეშეა, რომ შეცდომას, თუგინდ საპატიოს, არ შეუძლია მოჩვენებითი მოგერიება აუცილებელ მოგერიებად გადააქციოს. შეცდომის საპატიო

¹ Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР, 1924—1963. М., 1964, стр. 164.

² Н. Д. Дурманов, Цит. ნაშრ. გვ. 30.

2. საბჭოთა სამართალი № 2.



ხასიათი მოჩვენებითი მოგერიების დროს თუმცა წარმოადგენს პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებას, მაგრამ მას არ შეუძლია გამორიცხოს ქმედობის ობიექტური საზოგადოებრივი საშიშროება. არაბრალეული მოჩვენებითი მოგერიება წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშს და მისი აუცილებელ მოგერიებასთან გათანაბრება არ უნდა იყოს მართებული. სწორედ ასე წყდება ეს საკითხი სასამართლო პრაქტიკაშიც.

ზ. ს., პ. ს., და ბ. ს. კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან შეთანხმებით ჩაუსაფრდნენ ქურდებს, რომლებმაც რამდენიმე დღით ადრე გაქურდეს მეზობლის ბინა, ხოლო შემდეგ შეეცადნენ ზ. ს.-ს ბინის გაქურდვას. გვიან ღამით, ორღობეში გამოჩნდა ოთხი უცნობი. ისინი საეჭვოდ იქცეოდნენ. ფრთხილად ათვალიერებდნენ ჭიშკრებს და ოხედებოდნენ ეზოებში. როდესაც მიუახლოვდნენ ზ. ს.-ს ეზოს და გაიგონეს ძაღლის ყეფა, ერთ-ერთი მათგანი გაემართა ჭიშკრისაკენ. ზ. ს.-მ შესძახა: „შესდექ — ხელები მალა“, უცნობი მოულოდნელობისაგან დაიბნა და ჰაერში ისროლა რევოლვერიდან. ამან საბოლოოდ დაარწმუნა ზ. ს., რომ მას საქმე ჰქონდა ყაჩაღებთან და თავის დასაცავად სანადირო თოფიდან ესროლა უცნობს. უცნობი სასიკვდილოდ დაიჭრა. როგორც გამოირკვა, მოკლული და მისი თანმხლები პირები მილიციის მუშაკები იყვნენ, რომლებიც თვით ეძებდნენ ქურდებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა ზ. ს.-ს მოქმედება მიიჩნია მოჩვენებით მოგერიებად და გაანთავისუფლა იგი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. ზ. ს.-ს მოქმედებაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად პრეზიდიუმმა ჩასთვალა ის, რომ ზ. ს.-მ დაუშვა მისატევებელი ფაქტიური შეცდომა.

არ უნდა ჩაითვალოს მოჩვენებით მოგერიებად შემთხვევა, როდესაც პირი იგერიებს რეალურ საზოგადოებრივად საშიშ ხელყოფას, თუმცა იგი ცდება ხელმყოფის პიროვნებაში და იმ მიზნებში, რომელსაც ხელმყოფი ისახავს.

სამხედრო მსახური ჩ. თავის ქვემდგომებთან გ. და პ.-სთან ერთად ეძებდა განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეს. შუალამისას, როდესაც ჩ. გ. და პ. მიდიოდნენ ორღობეში, შემოესმათ სიტყვები: „მე ეხლა მათ ვუჩვენებ“, რასაც თან მოჰყვა სროლა. ტყვიამ ისე ახლო ჩაუარა ჩ.-ს, რომ სახეში შეაყარა ღობიდან ასწლეთილი ნაფოტები. ჩ.-მ გაიფიქრა, რომ მას თავს დაესხა დამნაშავე, რომელსაც იგი ეძებდა და თავდაცვის მიზნით ბოსტანში მდგარი ბუდრუგანის მიმართულელებით ორჯერ გაისროლა. ჩ.-ს გასროლილი ტყვიებით მოკლული იქნა ს. და მსუბუქად დაიჭრა მისი ქმარი ს. როგორც გამოირკვა ჩ.-ს ესროდნენ არა დამნაშავენი, არამედ ს.-ები, რომლებმაც ჩ. გ. და პ. მიიჩნიეს ქურდებად.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა ჩ.-ს მოქმედება ჩასთვალა მოჩვენებით მოგერიებად და იგი, როგორც კეთილსინდისიერად შემცდარი, გაანთავისუფლა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.¹

ეს მაგალითი საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში ჩვეულებრივად მოაქვთ, როგორც მოჩვენებითი მოგერიების ტიპური შემთხვევა. თუმცა, ჩვენი აზრით, ჩ.-ს მოქმედების ამგვარი შეფასება საეჭვოა, ჩ. იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების და არა მოჩვენებითი მოგერიების მდგომარეობაში, რადგან იგი იგერიებდა არა მოჩვენებით არამედ რეალურ, ობიექტურად სა-

¹ Судебная практика Верхового Суда СССР, 1956, № 5, стр. 1.

ზოგადოებრივად საშიშ თავდასხმას. ჩ-მ დაუშვა შეცდომა ხელმყოფის პიროვნებაში და იმ მიზნების შეფასებაში, რასაც ისახავდნენ თავდამსხმელები. ჩ. ფიქრობდა, რომ მას თავს დაესხნენ განსაკუთრებით საშიში დამნაშავენი, სინამდვილეში კი მას სროლა აუტეხეს მოქალაქეებმა თავისი ქონების დაცვის მიზნით. ამგვარად მოჩვენებითი მოგერიების მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მოქს-ები და არა ჩ. მოქალაქეთა მოქმედება ობიექტურად ატარებდა თავდასხმის ხასიათს და ამიტომ მათი საზოგადოებრივად საშიში ხელყოფის წინააღმდეგ აღმოცენდა აუცილებელი მოგერიების უფლება. აქედან გამომდინარე ჩ. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან უნდა განთავისუფლებულიყო არა როგორც თავდასხმის არსებობაში კეთილსინდისიერად შემცდარი, არამედ როგორც პირი, რომელმაც გამოიყენა აუცილებელი მოგერიების უფლება.

არ ჩაითვლება მოჩვენებითი მოგერიებად ისეთი შემთხვევები, როდესაც მომგერიებელი თავს იცავს რეალური ხელყოფისაგან, თუმცა სცდება თავდასხმის ინტენსიობაში.

მილიციელი ცდილობდა დაეკავებინა რეციდივისტი შ. რომელიც მან საერთო სატხოვრებლის სხვენზე ნახა. შ. არ ნებდებოდა და შუბით თავს ესხმოდა. (მილიციელი თვლიდა, რომ შ-ს ხელში ეჭირა რკინის შუბი). მილიციელმა გამაფრთხილებელი გასროლის შემდეგ, რაზედაც შ-მ შუბის მოღერებით უპასუხა, დასჭრა შ.. როგორც გამოირკვა, შ-ს ხელში ეჭირა არა რკინის შუბი, არამედ ხის შუბი. მ. იაკუბოვიჩს ეს შემთხვევა მოაქვს მოჩვენებითი მოგერიების მაგალითად,¹ თუმცა ჩვენი აზრით აქ მოგერიება არ ყოფილა მოჩვენებითი.

მილიციელი იგერიებდა რეალურ და არა მოჩვენებით თავდასხმას, მაგრამ იგი ცდებოდა თავდასხმის იარაღში, რამაც განაპირობა შეცდომა თავდასხმის ინტენსიობის შეფასებაში. მილიციელი თავდასხმას სთვლიდა უფრო ინტენსიურად ვიდრე იგი სინამდვილეში იყო. მაგრამ ასეთ შეცდომას არ შეუძლია რეალური თავდასხმა გადააქციოს მოჩვენებითად. თუ მილიციელის მიერ გამოყენებული დაცვითი ღონისძიება აშკარად არ შეესაბამებოდა ხელყოფის ხასიათს და საშიშროებას, მაშინ ადგილი აქვს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაშეტებას. მაგრამ, რამდენადაც მილიციელი კეთილსინდისიერად ცდებოდა თავდასხმის ინტენსიობის სწორად შეფასებაში, ამდენად იგი უნდა განთავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებაში ბრალის უქონლობის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1956 წ. 23 ოქტომბრის დადგენილების თანახმად, თუ მოჩვენებითი მოგერიების დროს პირი აყენებს დაზარალებულს ზიანს, რომელიც აშკარად აღემატება თავდასხმის რეალობის პირობებში დასაშვებ ზიანის მიყენების ფარგლებს, მაშინ მან პასუხი უნდა აგოს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებისათვის.²

ამ აზრს არ იზიარებს პროფ. პაშე-ოზერსკი, რომელიც საერთოდ უარყოფს მოჩვენებითი მოგერიების მდგომარეობაში აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების შესაძლებლობას. ჩვენ მხარს ვუჭერთ პროფ. ნ. პაშე-ოზერსკის. თუ არ არსებობს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა, გამორიცხულია

¹ ივ. მ. ი. Якубович, ციტ. ნაშრ. გვ. 156.

² Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР, 1924—1963, М., 1964, стр. 185.

მისი ფარგლების გადამეტების შესაძლებლობაც. მოჩვენებითი მოგერიების დროს შესაძლებელია ვილაპარაკოთ მხოლოდ მოგერიების მოჩვენებით ფარგლებზე. მაგრამ მოჩვენებითი მოგერიების ფარგლების რეალობაში გადატანა და მისი გათანაბრება აუცილებელი მოგერიების ფარგლებიდან ისეთივე არასწორი იქნება, როგორც მოჩვენებითი მოგერიების გათანაბრება აუცილებელ მოგერიებასთან.

ჩვენი აზრით, მოჩვენებითი მოგერიების პირობებში მიყენებული ზიანისათვის პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი ყოველთვის უნდა გადაწყდეს ბრალის ფორმებზე შეცდომის ზემოქმედების წესების მიხედვით.

მოჩვენებითი მოგერიების შესახებ საკითხის შესწავლის დროს მიზანშეწონილია შევეხოთ ე. წ. არადროული მოგერიების საკითხს.

არადროულ მოგერიებად ჩვეულებრივად თვლიან სამართლებრივი ინტერესების დაცვის მიზნით თავდამსხმელისათვის ზიანის მიყენებას თავდასხმის დამთავრების ანდა თავდასხმაზე ხელის აღების შემდეგ, თუ ეს გამოწვეული არ იყო დამნაშავეის დაკავების აუცილებლობით.¹

საბჭოთა მეცნიერების ერთი ჯგუფი² უარყოფს არადროული მოგერიების შემთხვევებში აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების შესაძლებლობას.

მათი აზრით, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებაზე შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ იქ, სადაც არსებობს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა. იქ, სადაც არ არსებობს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა, არ არის არც მისი ფარგლების გადამეტების შესაძლებლობაც.

ჩვენ საცხებით ვეთანხმებით ამ შეხედულებას, რადგან, მართლაც, წარმოუდგენელია გადაამეტო აუცილებელი მოგერიების ფარგლებს, როდესაც ეს უკანასკნელი არ არსებობს.

თუ ჩვენ მივიღებთ ამ დებულებას, მაშინ იბადება საკითხი, როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს არადროულ მოგერიებას?

ვკირიჩენკოს აზრით, თუმცა თეორიული თვალსაზრისით არადროული მოგერიება არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება, პრაქტიკული თვალსაზრისით მაინც მიზანშეწონილი იქნება ასეთ შემთხვევებს მიუყენოთ ნორმა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების შესახებ.³

თეორიის და პრაქტიკის ამგვარ ფათიშვას ჩვენ ვერ დავეთანხმებით. თეორიული დებულება იმდენად არის ჭეშმარიტი, რამდენადაც იგი განმტკიცებულია პრაქტიკის მიერ. თეორიისა და პრაქტიკისათვის სხვადასხვაგვარი ჭეშმარიტებანი არ იარსებებენ.

პროფ. ი. სლუცკის აზრით, დაცვის შეუსაბამობა თავდასხმასთან დროის მიხედვით ერთ-ერთი გამოვლინებაა დაცვისა და თავდასხმის ინტენსივობის შეუსაბამობისა.⁴

არადროული მოგერიების შეტანა არათანაზომიერ მოგერიებაში მის დაქ-

¹ Уголовное право, общ. часть. 1952, стр. 257.

² ი. სლუცკი, გ. მენდელსონი, ი. ტკაჩევსკი, ნ. პაშე-ოზერსკი და სხვ.

³ В. Ф. Кириченко, Основные вопросы учение о необходимой обороне в советском уголовном праве, 1948, М., стр. 65—66.

⁴ И. И. Слущкий, Обстоятельства исключяющие уголовную ответственность, Л., 1956, стр. 76.

ვემდებარებულ ნიშნად, ჩვენი აზრით, ვერაფერ ახალს ვერ მისცემს ვერც სისხლის სამართლის თეორიას და ვერც პრაქტიკას. იგი ვერ ხსნის არადროულ მოგერიებას და ბუნდოვანს ხდის თვით არათანაზომიერ მოგერიებასაც.

გ. მენდელსონის და ი. ტკაჩევსკის აზრით, არადროული მოგერიების დროს პირი, როგორც წესი, იმყოფება უეცარი და ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოწვეულია არამართლზომიერი თავდასხმით. ამიტომ მომგერიებლის მიერ ამ მდგომარეობაში პირის მოკვლა უნდა დაკვალიფიცირდეს რსდსრ-ს 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 138 მუხლით.¹

არადროული მოგერიების გაიგივება დანაშაულთან, რომელიც ჩადენილია უეცარი და ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, ჩვენის აზრით, არ უნდა იყოს მართებული.

არადროული მოგერიების დროს არსებითი მნიშვნელობა აქვს არა პირის აღელვებულ მდგომარეობაში ყოფნას, არამედ იმას, რომ მომგერიებელი სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების ზეგავლენით ვერ ამჩნევს თავდასხმის დამთავრებას და ამა თუ იმ სამართლებრივი ინტერესების დაცვის მიზნით ზიანს აყენებს „თავდამსხმელს“, თუმცა ამ მომენტში თავდასხმა შეწყვეტილია და ამდენად „თავდამსხმელისათვის“ ზიანის მიყენება აღარ გამოდგება დაცვით ღონისძიებად. მომგერიებლის აღელვებული მდგომარეობა ამ შემთხვევაში შეიძლება გახდეს მიზეზი სინამდვილის სწორად შეუფასებლობისა, მაგრამ იგი არ შეიძლება იყოს არადროული მოგერიების აუცილებელი ნიშანი. უეცარი და ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაულის დროს კი კანონმდებელი საკმარისად თვლის მოქმედების უეცარი და ძლიერი სულიერი აღელვების ფაქტის არსებობას, თუკი ეს აღელვება გამოწვეულია დაზარალებულის მხრივ უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით.

სხვაგვარ შეხედულებას ავითარებს პროფ. ნ. ღურმანოვი. მისი აზრით, „აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების განსაზღვრა, რომელიც მოცემულია „საფუძვლების“ მე-13 მუხლში, მთლიანად გამორიცხავს გადამეტების ისეთ სახეს, როგორც არის „არადროული მოგერიება“, მაგრამ თუ კი მომგერიებელი აკენებს ზიანს ხელყოფის დამთავრების შემდეგ იმის გამო, რომ არა აქვს შეგნებული და ამ ვითარებასა და გარემოებაში არც შეუძლია შეიგნოს, რომ ზელოფა უკვე აღარ არის სახეზე, მაშინ... ასეთი პირი როგორც კეთილსინდისიერად შემძღარი, უნდა გაუთანაბრდეს აუცილებელ მოგერიებაში მყოფ პირს“.²

ჩვენის აზრით, თუ პირი არ ითვალისწინებს და კონკრეტულ სიტუაციაში მას არც შეუძლია გაითვალისწინოს თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, მაშინ მის მოქმედებაში გამორიცხულია ბრალის არსებობა. ბრალის არ არსებობა წარმოადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებას, მაგრამ იგი შეიძლება არ გამორიცხავდეს ქმედობის ობიექტურ საზოგადოებრივ საშიშროებას. აუცილებელ მოგერიებასთან ისეთი არადროული მოგერიების გათანაბრება, როდესაც მომგერიებელი არ ითვალისწინებს და მას არც შეუძლია გაითვალისწინოს თავდასხმის დამთავრების მომენტი, ფაქტიურად ნიშნავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველ-

¹ Г. Мендельсон и Ю. Ткачевский, О пределах необходимой обороны, Социалистическая законность, 1956, № 7, стр. 35,

² Н. Дурманов, Цит. ნაშრ. გვ. 29.

ლი გარემოების გათანაბრებას ისეთ გარემოებასთან, რომელიც გამოიწვევს არა მარტო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, არამედ ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებასაც. ეს კი ეწინააღმდეგება ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროებას იმ გაგებას, რაც მიღებულია საბჭოთა სისხლის სამართალში.

ჩვენის აზრით, არადროული მოგერიების დროს ჩვენ საქმე გვაქვს მოჩვენებით მოგერიებასთან.

არადროული მოგერიების დროს, ისევე როგორც მოჩვენებითი მოგერიებისას მომგერიებელი უშვებს ფაქტიურ შეცდომას. მას ჰგონია, რომ იგი იცავს ამა თუ იმ სამართლებრივ ობიექტს, მაშინ როდესაც სინამდვილეში თავდასხმა უკვე შეწყვეტილია, ანდა დასაცავი ობიექტი უკვე მოსპობილია.

არადროული მოგერიების შემთხვევაში შეცდომის მიზეზად ჩვეულებრივად გვევლინება ის, რომ მომგერიებლის ფსიქიკა ჯერ კიდევ ვანიცდის თავდასხმის უშუალო გავლენას. სწორედ ამიტომ ვერ აფასებს მომგერიებელი შექმნილ ვითარებას, ვერ ამჩნევს, რომ ხელყოფა შეწყდა და ამდენად მას აღარ გააჩნია აუცილებელი მოგერიების უფლება.

აქედან გამომდინარე არადროული მოგერიებისას პირის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს ბრალის მიხედვით (ისევე, როგორც ეს ხდება მოჩვენებითი მოგერიების დროს)

არადროული მომგერიებელი თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ კი დამტკიცდება, რომ კონკრეტულ სიტუაციაში მას არ შეეძლო ან არ ევალბოდა გაეთვალისწინებინა თავდასხმის დამთავრების მომენტი.

თუ მომგერიებელი არ ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ თავდასხმა უკვე დამთავრებულია, მაშინ, როდესაც იგი მოვალე იყო და შეეძლო კიდევ ამის გათვალისწინება, და ზიანი მიაყენა „თავდასხმელს“, მაშინ მან პასუხი უნდა აგოს ამ ზიანის გაუფრთხილებლობით მიყენებისათვის.

თუ პირმა იცის, რომ თავდასხმა დამთავრებულია და მიუხედავად ამისა ზიანს აყენებს მოქალაქეს, რომელიც დასაცავ ობიექტს თავს აღარ ესხმის, მაშინ ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს ჩვეულებრივად სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით არადროულ მოგერიებაზე მითითების გარეშე.

არადროული მოგერიების ამგვარი გაგება, ჩვენი აზრით, თეორიულად და პრაქტიკულად გამართლებულია. იგი იძლევა მყარ კრიტერიუმს არადროული მოგერიების შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გადასაჭრელად.



საჩივრის ინსტიტუტის საკითხისათვის საბჭოთა ადმინისტრაციულ საპროცესოში

ა. აბესაძე

სოციალისტური კანონიერების განუხრელი დაცვა საერთო-სახალხო სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშანია. კომუნისტურ გარემოში გადასვლა, რასაც მოსდევს პიროვნების თავისუფლების, საბჭოთა მოქალაქეების უფლებების ყოველმხრივ განვითარება, ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოსაგან, ყველა თანამდებობის პირისა და მოქალაქისაგან ობიექტური აუცილებლობით მოითხოვს ამ პრინციპის ცხოვრებაში გატარებას. „პარტია აყენებს ამოცანას, — ნათქვამია კომუნისტური პარტიის პროგრამაში, — უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვა, აღმოფხვრას მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევა, მოხდეს დამნაშავეობის ლიკვიდაცია, აღიკვეთოს მისი წარმომშობი ყველა მიზეზი“.

სოციალისტური კანონიერების პრინციპის დაცვისა და განმტკიცების საქმეში დიდ როლს ასრულებენ მშრომელთა საჩივრები და განცხადებები. წინამდებარე სტატიაში სწორედ საჩივრის ინსტიტუტთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე შევჩერდებით.

* * *

სახელმწიფო მმართველობის სფეროში, მოქალაქის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ საშუალებებთან ერთად საჩივარს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. საჩივრის გამოყენებით მოქალაქეს ერთის მხრივ შესაძლებლობა ეძლევა აღადგინოს თავისი დარღვეული უფლება, ხოლო მეორეს მხრივ ამ სამართლებრივი ინსტიტუტის გამოყენებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს საბჭოთა სახელმწიფო აპარატის საქმიანობის გაუმჯობესება, შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამომწვეურება და აღმოფხვრა, მოქმედ კანონმდებლობაში არსებულ ამა თუ იმ ხარვეზის შევსება და სხვ. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „აუცილებლად უნდა მივაჩიოთ მოსახლეობა იმას, რომ საფუძვლიან საჩივარს სერიოზული მნიშვნელობა აქვს და მას სერიოზული შედეგი მოსდევს“.²

სახელმწიფო მმართველობის სფეროში საჩივრის სპეციფიკურმა ხასიათმა განაპირობა შეხედულებათა ის სხვადასხვაობა, რასაც ამ ინსტიტუტის დახასიათებისას ვხვდებით საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში. მაგალითად, ვ. თადევოსიანის აზრით, სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების უკანონო მოქმედების, ან აქტების გასაჩივრება, კანონიერების დარღვევის დადგენის მეთოდს მიეკუთვნება;³ ი. ზღირის განმარტებით, საჩივრის უფლება სახელმწიფო მმართველობაში კანონიერების უზრუნველყოფის საშუალება კი არ

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბილისი, 1961, გვ. 117.
² Ленинский сборник, XXI, стр. 227.
³ В. С. Тадевосян. Прокурорский надзор в СССР, Госюриздат, М., 1956, стр. 106.

არის, არამედ „ის მხოლოდ სამართალ-დარღვევის ფაქტების გამოვლენის, აღმოჩენის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, რომელიც თავისთავად ჯერ კიდევ არ აღადგენს დარღვეულ უფლებას.¹

საჩივრის ინსტიტუტის ეს განსხვავებული შეფასება იმიტოა გამოწვეული, რომ ზემოთ დასახელებული ავტორები პირველ რიგში საჩივარს არ განიხილავენ როგორც ერთ მთლიან სამართლებრივ ინსტიტუტს. ისინი მშრომელთა საჩივრის დახასიათებისას იფარგლებიან ამ ინსტიტუტის მხოლოდ ცალკეულ ნიშანზე მითითებით. ზოგჯერ საჩივარი არც შეჰყავთ მოქალაქეთა უფლებების დაცვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საშუალებების სისტემაში. ასეთ საშუალებებად ისინი გულისხმობენ მხოლოდ იმ სპეციალურ სახელმწიფო ორგანოებს, რომელთაც სახელმწიფო მმართველობაში კანონიერების განუხრელ შესრულებაზე სისტემატური მეთვალყურეობის გაწევა ევალებათ.²

ჩვენის აზრით, საკითხის ასეთი ცალმხრივი გადაწყვეტა ვერ ხსნის საჩივრის ინსტიტუტის სამართლებრივ ბუნებას. საჩივარი რთული სამართლებრივი ინსტიტუტია, რომელშიც თავს იყრის მრავალი განსხვავებული ელემენტი. საჩივარი ერთ შემთხვევაში გამოდის როგორც მოქალაქის უფლების გამომხატველი, რომელსაც სახელმწიფო ორგანოს, ან თანამდებობის პირის მიერ გარკვეული ვალდებულების შესრულება შეესაბამება, ხოლო მეორეს მხრივ იგი შეიძლება გამოვიდეს, როგორც ქვემოდან კრიტიკის ფორმა და სხვ. საჩივარი, როგორც სახელმწიფო მმართველობის სფეროში მოქალაქის უფლებისა და კანონიერი ინტერესის დაცვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საშუალება, შესაძლებლობათა განსაზღვრულ კომპლექსს წარმოადგენს.³

მმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების უკანონო მოქმედებისა და აქტების გასაჩივრებას საფუძვლად უდევს როგორც უფლებების, ისე კანონიერი ინტერესების დარღვევა. სახელმწიფო მმართველობის ორგანოების აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობის სირთულე, ცალკეული ორგანიზაციული თუ სხვა ხასიათის ნაკლოვანებანი ჯერ კიდევ იწვევენ ისეთ სამართალდარღვევებს, რომელთა დროული შემჩნევა და აღმოფხვრა მარტო სპეციალური საზედამხედველო, ან ზემდგომი მმართველობის ორგანოების მიერ ძნელია. ასეთ შემთხვევებში, პირადი დაინტერესება, რაც საჩივრის ფორმაშია გამოხატული, ეფექტური საშუალებაა სახელმწიფო მმართველობაში მოქალაქის უფლებების დასაცავად.

საჩივარი, რომელ სახელმწიფო, ან საზოგადოებრივი ორგანოსა თუ თანამდებობის პირის სახელზეც არ უნდა იყოს შეტანილი, ყოველთვის მოსაჩივრის ამა თუ იმ დარღვეული უფლების აღდგენას მოითხოვს. თავისი შინაარსით, „საჩივარი არის მიმართვა სახელმწიფო ორგანოს, ან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი მოქალაქის უფლების, ან კანონიერი ინტერესის დარღვევის გამო, ან მოქალაქის მიმართვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის, ან სახელმწიფო

¹ Я. А. Здир. Государственные инспекции в СССР, Госюриздат, 1960, стр. 3.

² იხ. მაგალითად, Я. А. Здир, დასახელებული ნაშრომი, გვ. 3.

³ „საბჭოთა სახელმწიფოში საჩივრის უფლებას, — წერს ა. ლუნევი, — აქვს ის დამახასიათებელი თავისებურება, რომ იგი წარმოადგენს მოქალაქის კანონიერი უფლების დაცვის საშუალებასაც მათი დარღვევის შემთხვევაში და ისეთ საშუალებასაც, რომელიც ხელს უწყობს კანონიერების განმტკიცებასა და სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებას — საბჭოთა კანონიერების დამრღვევებთან ბრძოლის საშუალებას“. იხ. А. Е. Лунев, Обеспечение законности в СССР. М., 1963, стр. 154.

ორგანოს უფლების და ინტერესის დარღვევის გამო¹. საჩივრის უფლება უქმნის ციკლი არ არის, არამედ სოციალისტური კანონიერების პრინციპის შინაარსიდან გამომდინარე პიროვნების რეალური უფლება², რომელიც საბჭოთა საზოგადოებაში მოქმედი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი გარანტიებით არის დაცული და უზრუნველყოფილი³.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველ დღეებიდანვე საბჭოთა სახელმწიფო თავისი ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაში დიდ ყურადღებას აქცევდა და აქცევს მშრომელთა საჩივრების მიღებისა და განხილვის საკითხს. ეს შესაბამის ასახვას პოულობს საბჭოთა კანონმდებლობაშიც⁴. მშრომელთა საჩივრებსა და განცხადებებს ახლაც დიდი მნიშვნე-

¹ В. И. Ремнев. Право жалобы в СССР, М., 1964, стр. 29.

² საბჭოთა კონსტიტუციისაგან განსხვავებით, ზოგიერთი სახალხო-დემოკრატიული ქვეყნის კანონმდებლობას მმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების უკანონო მოქმედების, ან აქტის გასაჩივრების უფლება, მოქალაქის სხვა უფლებების გვერდით, პირდაპირ აქვს შეტანილი კონსტიტუციებში. იხ. მაგალითად, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის 73-ე მუხლი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის 89-ე მუხლი და სხვ.

«Конституции зарубежных социалистических государств», Госюриздат, 1956, стр. 280 и 60.

ამჟამად, როცა მუშავდება ახალი საბჭოთა კონსტიტუცია, საჩივრის უფლების შეტანას სსრ კავშირის კონსტიტუციაში მოქალაქეთა სხვა უფლებების გვერდით, მოითხოვენ საბჭოთა ავტორებიც. იხ. მაგალითად, А. Л. Надавний. Охрана прав граждан местными советами, М., 1963, стр. 6.

³ მტრულ კლასობრივ საზოგადოებაში სახელმწიფო ორგანოების, ან თანამდებობის პირების უკანონო მოქმედებებისა, თუ აქტების გასაჩივრების უფლება ისეთივე ყალიბი და შეკვეცილი ხასიათისაა, როგორც მთელი ექსპლუატატორული სამართალი. ცალკეულ შემთხვევებში ოფიციალური კანონმდებლობა არც მალავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას მშრომელთა საჩივრებისადმი. მაგალითად, ფეოდალურ საქართველოში (1807-იანი წლები) სასამართლოებს ეკრძალებოდათ გლეხებისაგან ისეთი საჩივრების მიღება, რომელიც მიწის მფლობელის წინააღმდეგ იყო მიმართული. იხ. Ш. Чхетია. К истории крестьянской реформы в Грузии, Тбилиси, 1950 г. стр. 485.

საჩივრის უფლება შეზღუდულ ხასიათს ატარებდა მეფის რუსეთშიც, სადაც იგი თვითმპყრობელობასთან გლეხობის ბრძოლის გამოხატულების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა. დაწერილებით ამის შესახებ იხ. Э. С. Панина. Жалобы помещичьих крестьян первой половины XIX в. как исторический источник Ж. «История СССР», 1946, № 6, стр. 115—117.

⁴ მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების მიღებისა და განხილვის საკითხს არეგულირებდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში გამოცემული ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები და დადგენილებანი, როგორცაა მაგალითად:

«Постановления IV Всероссийского чрезвычайного съезда Советов рабочих и крестьянских депутатов от 8 ноября 1918 г. «О точном соблюдении законов». СУ РСФСР, 1918, № 90, стр. 908. Постановление ЦИК и СНК от 25 июня 1932 г. «О революционной законности», СЗ СССР, 1932, № 50, стр. 298. Постановления Президиума ЦИК от 13 апреля 1933 г. «О рассмотрении жалоб трудящихся и принятии по ним необходимых мер», СЗ СССР, 1933 г., № 26, стр. 153. Постановления ЦИК СССР от 14 декабря 1935 г. «О положении дел с разбором жалоб трудящихся», СЗ СССР, 1936, № 31, стр. 274. Постановления комиссии советского контроля при СНК СССР от 30 мая 1936 г. «О рассмотрении жалоб трудящихся», СЗ СССР, 1936 г. № 131, стр. 274. და სხვ.

უკანასკნელ წლებში გამოცემული აქტებიდან აღსანიშნავია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის 2 აგვისტოს დადგენილება. «О серьезных недостатках в рассмотрении писем, жалоб и заявлениях трудящихся» იხ. «Справочник партийного работника», вып. 2, 1959, стр. 550—554. რომელმაც მიუთითა ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე და დასახა გზები მის აღმოსაფხვრელად.

ლობა აქვს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების საქმიანობაში დღემდე აქა-იქ შემორჩენილი ბიუროკრატიზმის, სუბიექტივიზმისა და სხვა მახინჯ მოვლენათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

საბჭოთა კანონმდებლობით პირთა წრე, რომელთაც მმართველობის ორგანოების, ან თანამდებობის პირების არაკანონიერი აქტის, ან მოქმედების გასაჩივრება შეუძლიათ, შემოფარგლული არაა რაიმე ჩარჩოებით. საჩივრის უფლების სუბიექტი შეიძლება იყოს სსრ კავშირის ყველა მოქალაქე, ეროვნების, რასისა თუ სქესისაგან დამოუკიდებლად¹. საბჭოთა სამართლით საჩივრის უფლება აქვს არა მარტო ინდივიდუალურ პირს, არამედ პირთა ჯგუფსაც,² საჩივრის შეტანა შეუძლია არა მარტო იმ მოქალაქეს, ვისი ინტერესებიც არის დარღვეული, არამედ სხვა დაინტერესებულ მოქალაქესაც.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ცალკეული ავტორი საჩივრად თვლის აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულება-ორგანიზაციების მიმართვას სათანადო ორგანოებისადმი, რომელიც შეიცავს ამ დაწესებულებებში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევებზე მითითებას³.

საბჭოთა კანონმდებლობა არ აწესებს საჩივრის სტანდარტულ ფორმებს. საჩივარი შეიძლება შეტანილი იქნეს, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების საერთო განყოფილებები, სამინისტროების, უწყებებისა და სხვა საბჭოთა დაწესებულებების საჩივრის ბიუროები ვალდებული არიან რეგისტრაციაში გაატარონ ყველა საჩივარი და მისცენ მას მსვლელობა. საჩივარი მიიღება იმ ორგანოს მიერ, ვისაც საჩივარში აღძრული საკითხის გადაჭრა ევალება. თუ საჩივარი შეცდომით სხვა სახელმწიფო ორგანოში იქნა შეტანილი, ამ უკანასკნელს შეუძლია ან სათანადო ახსნა-განმარტებით უკან დაუბრუნოს მოქალაქეს საჩივარი, ან თვითონ გადაეზავნოს იგი დანიშნულებისამებრ. ასეთ შემთხვევაში საჩივრის შემტანს დაუყოვნებლივ ეცნობება წერილობით.

საჩივარი, როგორც წესი, შეტანილი უნდა იქნეს იმ ზემდგომი სახელმწიფო, ან საზოგადოებრივ ორგანოში, რომელსაც მოქალაქის უფლების დამრღვევი ორგანო ექვემდებარება. აკრძალულია საჩივრის განსახილველად გადაეზავნა იმ სახელმწიფო ორგანოსა, ან თანამდებობის პირისათვის, ვისი მოქმედებაც გასაჩივრებულია. პერსონალური პასუხისმგებლობა შემოსული საჩივრის დროულად განხილვისა და გადაწყვეტისათვის შესაბამის სახელმწიფო, ან საზოგადოებრივი ორგანოს ხელმძღვანელს ეკისრება.

საჩივრის საფუძველზე აღმოცენებული აღმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტად გამოდის სახელმწიფოს აღმასრულებელ-განმკარგუ-

¹ ვარკვეული შეზღუდვით, საჩივრის უფლების განხორციელებით სარგებლობენ აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირები და ის უცხოელები, რომლებიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე იმყოფებიან. ასეთ შემთხვევებში, — წერს გ. პეტროვი, — „შეზღუდვას წარმოადგენს უცხოელების კონკრეტული აღმინისტრაციული უფლებაუნარიანობა და ქმედობაუნარიანობა. ის იწყება სსრ კავშირის ტერიტორიაზე შემოსვლიდან და გრძელდება სსრ კავშირში მათი ყოფნის მთელ დროს“. Г. И. Петров. Сущность советского административного права, М., 1953, стр. 76.

² გამოწაკის წარმოადგენენ სამხედრო მოსამსახურეები, რომელთაც სამხედრო სამსახურის სპეციფიკური პირობების გამო კოლექტიური საჩივრის შეტანის უფლება არ გააჩნიათ. См. 98 Дисциплинарного устава Вооруженных сил Союза ССР, утвержденного Указом Президиума Верховного Совета СССР от 23 августа 1960 г. (Воениздат, 1962).

³ В. И. Ремнев. Право жалобы в СССР, М., 1964, стр. 27.

ლებელი საქმიანობის განმხორციელებელი ორგანოს, ან თანამდებობის პირის მოქმედება, ან უმოქმედობა. ასეთი ქმედობა საჩივრის შეტანის საფუძველი გახდება მაშინ, თუ იგი არღვევს მოქალაქის უფლებას, ან კანონიერ ინტერესებს¹.

ამრიგად, საჩივარი ერთ-ერთი სახეა სამართლებრივი ნორმის შინაარსიდან გამომდინარე მოქალაქის იურიდიული მოქმედებისა, რომლის მიზანსაც დაზარდვული უფლების დაცვა წარმოადგენს. საჩივრის უფლება ამ იურიდიული მოქმედების გამოვლენებაა. თავისი შინაარსით ის არის არა მარტო მოსაჩივრის განსაზღვრული ქცევის გამომხატველი, არამედ გულისხმობს ვალდებული პირის განსაზღვრული ქცევის შესრულებასაც, რომლის მიზანი მომჩივანის დარღვეული უფლების აღდგენა და გამოსწორებაა.

თუ საჩივარში ყოველთვის დარღვეულ უფლებაზეა მითითება, მშრომელთა წერილებსა და განცხადებებში, როგორც წესი, ლაპარაკია არა დარღვეული უფლების შესახებ, არამედ მითითებულია ავტორისათვის ცნობილ ისეთ ფაქტებზე, რომლებიც კონკრეტულად არ არიან დაკავშირებულნი მოქალაქის უფლებების დარღვევასთან, მაგალითად: მშრომელთა ინდივიდუალურ ან კოლექტიურ წერილებში შეიძლება ლაპარაკი იყოს კონკრეტული თანამდებობის პირის საქმიანობის დადებით, ან უარყოფითი მხარეების შესახებ, სახელმწიფო აპარატის ცალკეულ რგოლებში შემჩნეულ ნაკლოვანებათა შესახებ და სხვ.² იურიდიულ ლიტერატურაში საჩივრისაგან ამ ფორმების განსხვავებას არა მარტო ტერმინოლოგიური, არამედ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. „წერილები, — წერს ლ. რატნერი, — თავისთავად არ წარმოშობენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას ადრესატსა და ავტორს შორის და ამ უკანას-

¹ ადმინისტრაციული საჩივრის ობიექტის გარკვევას ხელს უშლის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ზუსტი წრის დადგენა, რომელიც იურიდიულ ლიტერატურაში დღემდე სადავოდ რჩება. საკითხი იმის შესახებ, რომ აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობა მარტო სახელმწიფო მმართველობის ორგანოს კომპენტენციაა თუ მას სხვა სახელმწიფო ორგანოებიც ასრულებენ, საბჭოთა ავტორების მიერ სხვადასხვაგვარად არის განმარტებული. ჩვენ ვიზიარებთ იმ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობა, მართალია, ძირითადი და ტიპური სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის, მაგრამ მას გარკვეული სახით, კანონის შინაარსიდან გამომდინარე ზოგიერთი სხვა სახელმწიფო ორგანოებიც ასრულებენ. სწორია ე. დოდინი, რომლის მიხედვითაც „ადმინისტრაციული გადაცდომის ობიექტს წარმოადგენენ ის საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებიც საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ორგანოს მიერ აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობის განხორციელების პროცესში აღმოცენდებიან. იხ. Е. В. Додин. Основы административной ответственности: Автореферат кандидатской диссертации, М., 1965, стр. 9.

² საბჭოთა კანონმდებლობაში დღემდე არაა მოწესრიგებული საჩივრისა და განცხადება-წერილის გამიჯვნის საკითხი. ერთადერთი აქტი, რომელშიც ასეთი გამიჯვნის ცდაა მოცემული, არის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატთან არსებული საჩივრებისა და განცხადებების ბიუროს ინსტრუქცია, მიღებულია 1919 წელს, რომელიც მნიშვნელოვნად მოძველებულია. იხ. «Известия Государственного контроля», 1919 г., № 10, стр. 30.

მშრომელთა წერილებსა და განცხადებებს საჩივრებისაგან ანსხვავებს ზოგიერთი სახალხო დემოკრატიული ქვეყნის კანონმდებლობა. იხ. მაგალითად, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის 1957 წლის 9 ივნისის კანონი «Об общих постановлениях административного процесса, ВНР». Обзор Венгерского права (на русском языке), Будапешт, № 1, 1958, стр. 56.

კნელს არ შეუძლია თავის წერილის საფუძველზე მოითხოვოს ამა თუ იმ პროცესუალური ნორმების დაცვა“.¹

საჩივრის, განცხადებისა და წერილის ცნებების სწორ გამიჯვნაზე დამოკიდებულია აგრეთვე მათი განხილვა-გადაწყვეტის ვადების საკითხიც. სსრ კავშირის ცაკის 1935 წლის 14 დეკემბრის დადგენილებით „მშრომელთა საჩივრების განხილვის საქმეთა მდგომარეობის შესახებ“, რომელიც დღესაც ძალაშია, რესპუბლიკურ საოლქო და სამხარეო ორგანოებში შეტანილ საჩივარზე გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იქნას ერთი თვის ვადაში იმავე ორგანოებში სამხედრო პირის მიერ შეტანილ საჩივარზე — 15 დღის ვადაში, ხოლო საქალაქო და რაიონულ ორგანოებში შესულ საჩივარზე პასუხი გაცემული უნდა იქნას არა უგვიანეს 20 დღისა, სამხედრო მოსამსახურეთა საჩივარზე კი — 7 დღეში.

სამწუხაროდ, ჩვენი კანონმდებლობა ზუსტად არ განსაზღვრავს მშრომელთა წერილებისა და განცხადებების განხილვის ვადებს. პრაქტიკაში ისინი იხილება იმავე ვადებში, როგორც საჩივარი, რაც, საბოლოო ანგარიშში, უარყოფითად მოქმედებს სახელმწიფო მმართველობაში მოქალაქის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაზე. იმის გამო, რომ თავისი იურიდიული ბუნებით ეს ინსტიტუტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, საჭიროა განსხვავებული იყოს მათი განხილვისა და გადაწყვეტის ვადებიც, რომელთა დაცვა ყველა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანოსა და თანამდებობის პირის აუცილებელ მოვალეობად უნდა იქცეს.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების პრაქტიკაში, სამწუხაროდ, გვხვდება მშრომელთა საჩივრების განხილვის ვადების დარღვევის შემთხვევები. მაგალითად, 1963 წელს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროში შემოსულ 2351 განცხადება-საჩივრიდან პასუხი გაცეა ვადების დარღვევით 146-ს, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში 13.909 განცხადება — საჩივრიდან — 249-ს.²

მსგავსი შემთხვევები იმიტოა გამოწვეული, რომ საჩივრების განხილვისას ფორმალურად უდგებიან ვადების საკითხს, მხედველობის გარეშე ტოვებენ დარღვეული უფლების შინაარსს. ამიტომ საჩივრის განხილვას არ შეუძლია მოგვეცეს სასურველი ეფექტი.

იმისათვის რომ საჩივარმა თავის მიზანს მიაღწიოს და გახდეს მმართველობის სფეროში მოქალაქის უფლებების დაცვის რეალური საშუალება, მოქმედ კანონმდებლობაში ზოგიერთი ცვლილებები უნდა იქნეს შეტანილი.³ პირველ რიგში, როგორც ეს არაერთხელ აღინიშნა იურიდიულ ლიტერატურაში, მომწიფდა ერთიანი საკავშირო აქტის გამოცემის პირობები, რომელიც დაადგენს

¹ Л. И. Ратнер. Об усилении гарантий своевременного и правильного разрешения жалоб трудящихся «Советское государство и право», 1959, № 9, стр. 55.

² იხ. „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები, № 7 (240), 1964 წ.“

³ ცალკეულ წინადადებების შესახებ იხ. А. А. Аскеров. Очерки советского строительства. М., 1953, стр. 210. А. Керимов. Обеспечение законности в СССР, М., 1956, стр. 161—165. Ц. А. Ямпольская. О субъективных правах советских граждан и их гарантиях. Сборник «Вопросы советского государственного права», М., 1959, стр. 199—200 და სხვ.

ყველა სახელმწიფო ორგანიზაცია-დაწესებულებასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების მიღება-განხილვის საფუძვლებს. სრულყოფილად უნდა იქნას გამოყენებული სახელმწიფო მმართველობაში მოქმედი ორგანიზაციული და სამართლებრივი გარანტიები. საჩივრების განხილვა-გადაწყვეტაში ფართოდ უნდა მოვიზიდოთ მასები, ვადაძლიეროთ საჩივრის განხილვის პროცესუალური ნორმების განუხრელად დაცვა. სასურველია, საჩივრის განხილვას ესწრებოდეს მომჩივანი, მასვე აუცილებლად უნდა ეცნობოს საჩივრის განხილვის შედეგი და სხვ.

მიზანშეწონილია, ნორმატიული წესით მოწესრიგდეს საჩივრების შესრულების შემოწმების ვადები. აღმასკომების საერთო განყოფილებებმა, სამინისტროებისა და უწყებების საჩივრის ბიუროებმა, აღნიშნულის შესახებ, სასურველია, კვარტალში ერთხელ მაინც ჩააბარონ ანგარიში შესაბამისი უწყებებისა და დაწესებულების ხელმძღვანელებს.

დაზუსტებასა და ნორმატიულ რეგლამენტაციას მოითხოვს იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა მიზეზითაც არ მოხდა კანონიერი საჩივრის დაკმაყოფილება. ასეთმა პირებმა პასუხი უნდა აგონ პირველ რიგში დისციპლინარული, ხოლო სათანადო შემთხვევაში, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის წესით.

პასუხისმგებლობის სახით შერჩევა დამოკიდებული უნდა იყოს თანამდებობის პირის ბრალზე, მის მიზანსა და მოტივზე¹. ამ ორ უკანასკნელ ნიშანს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მათი ქმედობის კვალიფიკაციისათვის, არამედ დამრღვევის პიროვნების დახასიათებისათვისაც. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე დარღვეული უფლების ხასიათი.

სახელმწიფო მმართველობის სფეროში მოქმედი სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საშუალებების გვერდით შემოდინიშნული ღონისძიებების განხორციელება, ჩვენის აზრით, სრულყოფს საჩივრის ინსტიტუტის ფორმას. ეს კი, თავის მხრივ ხელს შეუწყობს მოქალაქეთა უფლებების დაცვას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საშუალებებით.

¹ არ შეიძლება დავეთანხმოთ საბჭოთა და სახლხო დემოკრატიული ქვეყნების იმ ავტორებს, რომლებიც პირის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მისაცემად საკმარისად თვლიან მხოლოდ დარღვევის ფაქტის არსებობას. ეს ავტორები მხედველობის გარეშე ტოვებენ სამართალდამრღვევი პირის ბრალეულობის საკითხს, რაც უმართებულოა.

იხ. მაგალითად, ა. ა. ხოჭოლავა. მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვა სასამართლოში. თბილისი, 1957, გვ. 11. იხ. აგრეთვე, П. Стаинов, А. Ангелов. Административное право народной республики Болгарии, Госюриадат, 1960, стр. 279—280.

გაფლანგვა-გატაცების თაობაზე ახილვის უმჯობესი საკითხის მათი ჩადენის და დაფარვის ხერხების გამოვლინების

ი. შორაღანი

სოციალისტური საკუთრების გაფლანგვა-გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის სწორი ორგანიზაციისათვის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ დანაშაულის აცილებას, გატაცების ჩადენისა და მისი დაფარვის ხერხების გათვალისწინებით.

გაფლანგვა-გატაცების ჩადენის და მათი დაფარვის ხერხის ქვეშ იგულისხმება იმ საშუალებათა კომპლექსი, რომელსაც იყენებს დამნაშავე სოციალისტური ქონების გატაცებისა და შემდგომში მისი კვალის დაფარვისათვის. ამ კომპლექსში შედის: ა) გატაცების ჩადენისათვის პირობების მომზადება, ბ) ქონების უშუალო ამოღება, გ) დანაშაულის კვალის დაფარვა, დ) გატაცებული ქონების გასაღება, ე) გატაცებული ქონების გამოყენება ან გადაძალა.

სახელმწიფო ქონების გატაცება მისი ჩადენის ხერხების მიხედვით ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: 1. გატაცება ჩადენილი თანამდებობის პირის მიერ გაფლანგვის, მითვისების და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით. 2. გატაცება ჩადენილი ვარეშე პირის მიერ, რომელიც პასუხს არ აგებს გატაცებული ქონების შენახვაზე (ქურდობის, გაძარცვის, ყაჩაღობის და თაღლითობის გზით).

გაფლანგვა-გატაცებას, რომელიც დაკავშირებულია სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან, უფრო ხშირად იდენენ ის პირები, რომლებიც მატერიალურად პასუხისმგებელი არიან გატაცებულ ქონებაზე ან პასუხს აგებენ ორგანიზაციის, საწარმოს, დაწესებულების, სამეურნეო, საწარმოო და საფინანსო საქმიანობაზე.

გატაცების ჩადენის და დაფარვის ხერხის შერჩევას, დამნაშავეთა ჯგუფის წევრები იყენებენ ამა თუ იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, კოლპეკრატის სამეურნეო საქმიანობის თავისებურებებს, მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის სპეციფიკას, აღრიცხვის სისტემაში, კონტროლის და დაცვის ორგანიზაციაში არსებულ სუსტ რგოლებს.

უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში გახსნილი და გამოძიებული იქნა სოციალისტური საკუთრების დიდი ოდენობის გატაცების მთელი რიგი საქმეები, რომლებიც საკმაოდ მოხერხებულად იყო შენიღბული. სხვადასხვა ხერხებით გაფლანგვა-გატაცების შემთხვევებს ადგილი ჰქონდა მსუბუქი, საქსოვი, კვების მრეწველობის საწარმოებში, ვაჭრობაში, მშენებლობაზე და სოფლის მეურნეობაში.

დამნაშავეთა ჯგუფის წევრები, რაც შემთხვევაში საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკები, მატერიალურ პასუხისმგებელი პირები, საბუღალტრო და საანგარიშო დარგის მუშაკები, ზოგჯერ სარევიზიო აპარატის მუშაკებიც, მოხერხებულად ფარავდნენ თავიანთ დანაშაულებრივ მაქინაციებს და ბოროტმოქმედებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეთა გამოძიება დაკავშირებული იყო მთელ რიგ სირთულესთან, დამნაშავენი მთლიანად იქნენ მხილებულნი და მათ შესა-



ფერისი სასჯელი მიიღეს. აღნიშნულ საქმეთა გამოძიებისას ყურადღება ექცეოდა იმ მიზეზების და პირობების გამოვლინებას, გამოკვლევას და აღმოფხვრას, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს ამ დანაშაულის ჩადენა. სოციალისტური საკუთრების გატაცების ყოველი საქმე კონკრეტული თავისებურებებით ხასიათდება. მიუხედავად ამ კონკრეტული თავისებურებისა, შესაძლოა გამოყოფილი იქნეს ზოგიერთი ზოგადი, ტიპური თავისებურებანი, რომლებიც საფუძვლად დაედება გატაცების თავიდან აცილების რეკომენდაციების შემუშავებას მათი ჩადენის ხერხების გათვალისწინებით და იმ მიზეზების და პირობების აღმოფხვრას, რომლებმაც განაპირობეს სახელმწიფო და საზოგადო ქონების გატაცება.

საგამომძიებლო და სასამართლო პრაქტიკა მოწმობს, რომ სახელმწიფო საზოგადო ქონების გატაცების ხელშემწყობ ტიპურ პირობებს მიეკუთვნება:

1. ხელმძღვანელი მუშაკების და მატერიალურ პასუხისმგებელ პირთა შერჩევისას მთავრობის და პარტიის მიერ დადგენილი პრინციპების დარღვევა.

2. აღრიცხვის, ანგარიშგებისა და სამეურნეო ოპერაციების გაფორმების ცუდი ორგანიზაცია.

3. არასაკმარის კონტროლი მასალების და ნედლეულის ხარჯვასა და საქონლის გაცემაზე.

4. მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის და სარევიზიო მუშაობის არადაამაკმაყოფილებელი დონე, რის გამოც დროულად არ ხდება დამნაშავეთა გამოვლინება და ეს პირები ხანგრძლივი დროის განმავლობაში განაგრძობენ დანაშაულებრივ საქმიანობას.

5. სოციალისტური საკუთრების დაცვის ცუდი ორგანიზაცია და ნაკლოვანებები საშვის სისტემაში.


6. ნაკლოვანებები პროკურატურის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოთა მუშაობაში, რომლებიც მოწოდებულნი არიან თავიდან აიცილონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცება.

როგორც მართებულად აღნიშნავს ვ. ნ. კუდრიავცევი, ზოგიერთი ამგვარი პირობა შესაძლებელია დამნაშავემ თვითონ შექმნას ხელოვნურად. მაგალითად, ქონების აღრიცხვაში განზრახ შექმნას ქაოტური მდგომარეობა. ზოგიერთს კი პირიქით—არც კი მოიცავს მისი ცნობიერება, მაგალითად, მილიციის ორგანოთა ცუდი მუშაობა. მაგრამ მათი სხვადასხვა ხასიათის მიუხედავად, ყველა პირობა, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულის განხორციელებას მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რადგან ამ პირობების გარეშე დანაშაული ვერ იქნებოდა ჩადენილი.

როდესაც დამნაშავეს შეგნებული აქვს დანაშაულის ხელის შემწყობი გარემოებანი, ეს ჩვეულებრივ იწვევს დანაშაულებრივი საქმიანობის აქტივიზაციას, უკონტროლობისა და მიმნებებლობის ვითარებას ჩვეულებრივ მიყავს დანაშაულის გაგრძელებამდე, მისი მასშტაბების გაფართოებამდე.

დანაშაულობრიობის, კერძოდ გაფლანგვა-გატაცების მიზეზების შესწავლის პრობლემა დაყენებული იყო ვ. ი. ლენინის მიერ ჟერ კიდევ 1921 წელს. ვ. ი. ლენინის მიერ შედგენილ დოკუმენტში — „შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესი ადგილობრივი დაწესებულებებისათვის“ ხაზი გაესვა გაფლანგვა-გატაცების შესახებ ზუსტი და სრული ცნობების მიწოდების აუცილებლობას.

„...პასუხისგებაში აძლევენ თუ არა მმართველებს? გამგებებს? ფაბკო-



მებს? (მტაცებლობასთან ბრძოლის არასაკმარისობისათვის). ადგილობრივად ე. ი. ამა თუ იმ ადგილას არსებული საწყობები, როგორც სახელმწიფოს კუთვნილნი, ისე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების კუთვნილნი. საწყობთა შესახებ ანგარიშების მოკლე შენაჯამები, თვითეული ანგარიშის წარდგენის დროის აღნიშვნით.

ადგილობრივ ხელისუფალთა ცნობები საერთო-სახელმწიფოებრივ საწყობთა შესახებ. მათი დაცვის ხერხები. მტაცებლობა. საწყობების მოსამსახურეთა რიცხვი და ა. შ...¹

ვ. ი. ლენინის განაწესში შემუშავებული იქნა გაფლანგვა-გატაცების და მისი ხელისშემწყობი პირობების შესწავლის მთელი პროგრამა.

გაფლანგვა-გატაცების ხელისშემწყობი პირობების გამოვლინებისა და შესწავლისათვის ჩატარებული მუშაობა უფრო ეფექტურია თუ ეს მუშაობა წარმოებს სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების, მრეწველობის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის მიხედვით. ასეთ აზრს იზიარებენ პრაქტიკოსი იურისტები და ის მეცნიერნი, რომლებიც მუშაობენ დანაშაულობათა შესწავლის და მისი თავიდან აცილების პრობლემებზე. კერძოდ, ვ. ნ. კუდრიავცევი, ვ. გ. ტანასევიჩი და სხვები.

როგორც სასამართლო და საგამომძიებლო პრაქტიკა მოწმობს, ჩვენს რესპუბლიკაში სახელმწიფო და საზოგადო ქონების გატაცების ტიპიურ სახეს წარმოადგენს გატაცება, რომელიც ჩადენილია სამრეწველო საწარმოებში, სხვადასხვა ხერხით მატერიალურ ფასეულობათა ზედმეტობის შექმნის გზით, რომელსაც დამნაშავენი არ აღრიცხავენ და რომლის შემდგომ რეალიზაციას ახდენენ სავაჭრო ქსელის მეშვეობით.

მატერიალურ ფასეულობათა ზედმეტობის შექმნის ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენს პროდუქციის გამოშვებისას ერთეულ ნაწარმზე იმაზე ნაკლები ნედლეულის და მასალის ხარჯვა, ვიდრე ეს გათვალისწინებულია სახელმწიფო სტანდარტით უხარისხო და არასტანდარტული პროდუქციის გამოშვება.

მაგალითისათვის შეიძლება მოტანილი იქნეს საქმე მსხვილი გაფლანგვა-გატაცების შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა ყოფილ № 1 ფეხსაცმელების ფაბრიკაში.

როგორც გამოძიებით დადგინდა, ფაბრიკაში ტყავეული მასალების ფაქტიურ გამოყენებაზე არ იყო დაწესებული კონტროლი, გამოჭრისას ხელოვნურად იქმნებოდა ტყავის ეკონომია, რის შედეგადაც, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუარესების ხარჯზე დამნაშავეთა ჯგუფი ითვისებდა დიდ თანხებს.

ამ დანაშაულის დიდი მასშტაბით განხორციელებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ზემდგომი ორგანოების მიერ ტყავის მასალის ხარჯვაზე არსებული ნორმების გადასინჯვისათვის დროულად არ იყო მიღებული ზომები. ასევე არ იყო გატარებული ღონისძიებანი მასალების, ნედლეულის გამოჭრის და გამოყენების სათანადო ნორმების დაწესებისათვის ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობის საქონლის ნომენკლატურის მიხედვით.

გამოძიების პროცესში დადგენილი იქნა, რომ ფაბრიკაში გაფლანგვა-გატაცებას და სხვა ბოროტმოქმედებას აგრეთვე ხელს უწყობდა ნედლეულის, მასა-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., 32., გვ. 501-502.

ლებს, ნახევარფაბრიკატების და მზა ნაწარმის შინა სპამქრო აღრიცხვაში და შინა საუწყებო კონტროლის საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები.

წარმოებაზე ნედლეულის და მასალების შეგნებულად გაზრდილი ნორმებით ჩამოწერის გზით ჩადენილი გატაცების ფაქტები გამოვლინებული იქნა აგრეთვე საქსოვ მრეწველობაში.

თბილისის ყოფილ № 1 და № 3 სატრიკოტაჟო ფაბრიკებში უშვებდნენ უხარისხო პროდუქციას და როგორც ეს დადგენილი იქნა ტექნოლოგიური ექსპერტიზით, ნაწარმის დამზადებაზე ნედლეული გახარჯული იყო იმაზე გაცილებით ნაკლები, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო ნორმით. ამით იქმნებოდა ნართის ზედმეტობა, რითაც მზადდებოდა აღურიცხველი პროდუქცია. ფაბრიკაში შემოღებული არ იყო ნაწარმის აღრიცხვა მათი სახეობის და ფასონის მიხედვით. არ იყო ტექნიკური დოკუმენტაცია ნაწარმის დეტალების განლაგებაზე. კაპრონის ბლუზების გამოშვებისას მითითებული არ იყო გამოშვებული იყო იგი მოკლე თუ გრძელი სახელოებით. ფაბრიკა უშვებდა როგორც ერთ ისე მეორე სახეობის ბლუზებს, ხოლო ნედლეულის ჩამოწერას ყველა შემთხვევაში ახდენდა, როგორც გრძელ სახელოებიანი ბლუზების დამზადებაზე.

სახელმწიფო ქონების გატაცების თავისებური ხერხი იქნა დადგენილი. თბილისის ხორცკომბინატში, სადაც წლების მანძილზე, დამნაშავეთა ჯგუფმა შეძლო საკმაოდ დიდი თანხის მითვისება. დამნაშავეთა მიერ აქ გამოყენებული ხერხი იმაში გამოიხატებოდა, რომ ისინი სახელმწიფო ქონების გატაცებას ახდენდნენ ყალბი აქტების, სასასწორო განრიგების და ფაქტურების შედგენის გზით; საწყობის და მაცივრის კამერებში არასწორი ინვენტარიზაციით, ბუნებრივი დანაკარგების არასწორი გაანგარიშებით და მსხვილფეხა რქოსანი საქონლის დამზადებისას სხვადასხვა მაქინაციების წარმოებით. ბუნებრივი დანაკარგების ნორმების დამატებით ჩამოწერის მიზნით, დგებოდა ყალბი აქტები იმის შესახებ, რომ თითქოს ამ პერიოდში მაცივრის კამერები არ იყო თავისუფალი და ამის გამო ხორცი ინახებოდა კორიდორებში. გამოძიებით კი დადგინდა, რომ მაცივრის კამერებში საკმაოდ იყო თავისუფალი ადგილი და არავითარი აუცილებლობით არ იყო გამოწვეული ხორცის კორიდორებში დიდი ხნით გაჩერება.

სამრეწველო საწარმოთა სამეურნეო-ორგანიზატორული საქმიანობის ერთ-ერთ გავრცელებულ ნაკლს, რომელიც ხელს უწყობს გაფლანგვა-გატაცებას, წარმოადგენს მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის, მიღების, შენახვის, გაცემის და გადაზიდვის წესების შეუსრულებლობა, ანგარიშგების ცუდად დაყენება და სამეურნეო ოპერაციების არასწორი გაფორმება.

გორის ბამბეულის კომბინატში წლების მანძილზე ეწეოდა დანაშაულებრივ საქმიანობას დამნაშავეთა ჯგუფი, რომელსაც სათავეში ედგნენ ბუღალტერიის მუშაკები: მთავარი ბუღალტერი ც-ე, მისი მოადგილე ს-ე, ყოფილი ბუღალტერი გ-ე და სხვები.

კომბინატში ცუდად წარმოებდა მატერიალურ ფასეულობათა ყველა სახის აღრიცხვა. ინვენტარიზაციები და აღწერები ტარდებოდა ფორმალურად, დაწესებული არ იყო დამხმარე მასალების ხარჯვის ნორმები და მათი ჩამოწერა ხდებოდა სათანადო დოკუმენტაციის გარეშე.

გაფლანგვა-გატაცების თავისებურ ხერხს მიმართავენ დამნაშავენი მშენებლობებზე. სამშენებლო მოედნებზე და გადაზიდვისას სამშენებლო მასალების გატაცების კვალის დაფარვის მიზნით, დამნაშავენი ხშირად ადგენენ ფიქტიურ

აქტებს ან ხელოვნურად ზრდიან ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობას. იტაცებენ რა ფულად სახსრებს ვითომდაც ხელფასის გაცემის სახით, დამნაშავეთა ჯგუფის წევრები, დანაშაულის შენიღბვის და დაფარვის მიზნით, ადგენენ ყალბ განრიგებს ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოზე, ხელოვნურად ზრდიან შესრულებული სამუშაოს მოცულობას. უკანასკნელი გაადვილებულია იმით, რომ დამკვეთი ორგანიზაციის წარმომადგენლები ხშირ შემთხვევაში ყოველგვარი შემოწმების გარეშე ხელს აწერენ ისეთ აქტებს (ფორმა № 2), რომლებშიც შეგნებულად შეტანილია არასწორი მონაცემები შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესახებ.

ამ კატეგორიის საქმეებზე ჩატარებულმა გამოძიებამ ცხადყო, რომ სამშენებლო ორგანიზაციებში ვაფლანგვა-გატაცებას უმთავრესად ხელს უწყობს სამშენებლო მასალების მიღებასა, შენახვასა და გადაზიდვაზე სათანადო კონტროლის დაუწესებლობა.

უკანასკნელი წლების საგამომძიებლო და სასამართლო პრაქტიკა მოწმობს, რომ ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენს გატაცების ის საქმეები, რომლებიც ჩადენილია ვაჭრობის მუშაკების მიერ, მსუბუქი, საქსოვი, სატრიკოტაჟო, კვების და სხვა მუშაკებთან, აგრეთვე დამამზადებელ ორგანიზაციების მუშაკებთან კავშირში. ასეთი კავშირით ჩამოთვლილ საწარმოთა მუშაკებს საშუალება ეძლევათ რეალიზაცია უყონ საწარმოებში გატაცებულ საქონელს.


ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიებისა და ვაფლანგვა-გატაცების ხელისშემწყობი პირობების გამოკვლევისათვის, საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ყველა ეს ხერხი, რომლებსაც მიმართავენ დამნაშავენი თავიანთი დანაშაულებრივი მიზნების განხორციელებისათვის. გათვალისწინებულ უნდა იქნეს თუ რა გზით ხდება იმ საქონლის რეალიზაცია, რომელიც გატაცებულია სამრეწველო საწარმოებიდან და მომმარაგებელ ორგანიზაციებიდან.

ამ კატეგორიის საქმეებზე გამოძიებისას, საჭიროა გამორკვეული იქნას ხომ არა აქვს ადგილი მალაზიების მეშვეობით აღურიცხველი საქონლის რეალიზაციის და დადგინდეს ამ საქონლის შეძენის წყაროები.

ქ. ქუთაისის პროკურატურის მიერ გამოძიებული იქნა ვაფლანგვა-გატაცების საქმე, რასაც წლების მანძილზე ადგილი ჰქონდა „ქუთაისვაჭრობის“ № 64 და სხვა მალაზიებში.

დამნაშავეთა დიდი ჯგუფი, რომლებიც მოკალათებული იყვნენ „ქუთაისვაჭრობის“, გარეუბნის კოოპერატივის მალაზიებში, ელექტრომექანიკურ და საავტომობილო ქარხნებში და სხვა ორგანიზაციებში, წლების მანძილზე ეწეოდნენ სახელმწიფოს კუთვნილი დიდი თანხების გატაცებას. დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელების მიზნით აღნიშნული პირები ქმნიდნენ სხვადასხვა სახის ყალბ საბუთებს, მიმართავდნენ გატაცების სხვადასხვა ხერხებს.

საქართველოს სსრ პროკურატურის მიერ გამოძიებული იქნა ლავოდების რაისამომხმარებლო კავშირის ვარდისუბნის სოფლის კოოპერატივის თავმჯდომარის ხ-ეს, საწყობის გამგე შ-ეს და სხვათა ბრალდების საქმე. როგორც გამოძიებით გამოიკვია, აღნიშნული პირები დაუკავშირდნენ რა დაქვემდებარებული მალაზიების მუშაკებს, აწარმოებდნენ ნავაჭრი თანხების ამოღებას და ასეთის მითვისებას. დანაშაულის კვალის და გატაცებით გამოწვეული დანაკლისის დაფარვის მიზნით, მათ მალაზიაში შეჰქონდათ უფაქტურო საქონელი, რასაც ისინი იძენდნენ ქ. თბილისში დაბალ ფასებში.



მათ დანაშაულებრივ მაქინაციების მასშტაბზე მიუთითებს ის გარემოება, რომ სოფლის კოლბერატივში მათ მიერ შეტანილი იყო 20 ტონა ლურსმანი, 10 ტონა მავთული და სხვა საქონელი.

ვაჭრობის სისტემაში გატაცების კვალი ხშირად იფარება ინვენტარიზაციების უხარისხოდ ჩატარებით.


ამ ბოლო დროს მიღებულ იქნა სერიოზული ღონისძიებანი იმ მიზეზების და პირობების აღსაკვეთად, რომლებიც ხელს უწყობენ ვაჭრობის სისტემაში გაფლანგვა-გატაცების ჩადენას. სამმართველოებში და სავაჭრო ორგანიზაციებში საკონტროლო სარევიზიო აპარატი გამოყოფილია ბუღალტერის მუშაკთა შემადგენლობიდან; ამასთან ზოგ ადგილას შექმნილია საკონტროლო სარევიზიო განყოფილებები, რომლებიც უშუალოდ ემორჩილებიან ორგანიზაციების ხელმძღვანელებს. ქ.თბილისში ლიკვიდირებულია „თბილმრეწვაჭრობის“ წვრილ-საცალო სავაჭრო ბაზა, გამსხვილებული იქნა სავაჭრო საწარმოების და საზოგადოებრივი კვების მთელი რიგი წვრილი ობიექტები. იმ მალაზიებს, რომლებიც დამოუკიდებელ სამეურნეო ანგარიშზე არიან, აეკრძალათ საქონლის მიღება უშუალოდ მომწოდებელი ორგანიზაციისაგან. აღრიცხვის დარგის მუშაკთა რიცხვიდან, საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია სპეციალური ჯგუფები, რომლებიც ქალაქის აქტივთან ერთად გამოყენებულია შემოწმებების და მოულოდნელი რევიზიების ჩასატარებლად. ყველა ამ ღონისძიებამ ხელი შეუწყო გაფლანგვა-გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს, რამდენადაც ეს ღონისძიებები აძინებენ და ზოგჯერ შეუძლებელს ხდიან დანაშაულის ჩადენას, მაგრამ სავაჭრო ორგანიზაციების შიდა საუწყებო კონტროლის საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ნაკლოვანებებს.

პრაქტიკა მოწმობს, რომ ჯერ კიდევ აქვს ადგილი რევიზიების უხარისხოდ ჩატარების შემთხვევებს, რის შედეგადაც სახელმწიფო ქონების გატაცების ფაქტების გამოვლინება ხდება დავვიანებით, რაც საშუალებას აძლევს დამნაშავე პირებს ვაფარდონ დანაშაულებრივი საქმიანობის მასშტაბები და დღითიდღე გაზარდონ გატაცებული თანხების ოდენობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 10 ივლისის დადგენილებით, გათვალისწინებულია კომპლექსური რევიზიების ჩატარება, რაც პრაქტიკაში ჯერ კიდევ ხშირად არ ხორციელდება. ყოველთვის არ სრულდება მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სავაჭრო საწარმოებში დოკუმენტალური რევიზიები ტარდებოდეს ყოველწლიურად.

სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს საკოლმეურნეო ქონების გატაცების თავიდან აცილების მიზნით წარმოებული მუშაობა. მთელ რივ კოლმეურნეობებში ირღვევა დებულება სასოფლო-სამეურნეო არტელის მთავარი (უფროსი) ბუღალტრის შესახებ, დამტკიცებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 28 სექტემბრის დადგენილებით. ჯეროვნად არ სრულდება მითითება საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების შესახებ, დამტკიცებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ. ამის შედეგად საბუღალტრო აღრიცხვა რივ კოლმეურნეობებში არადაამაყმაყოფილებელ დონეზე დგას.

მთელ რივ კოლმეურნეობებში მოწესრიგებული არ არის მსხვილფეხა საქონლის და პროდუქტების აღრიცხვა, ანგარიშსწორება მოქალაქეებთან და სხვა კოლმეურნეობებთან. საქონლის შეძენაზე გაცემული თანხების სათანადოდ გაფორმების ნაცვლად დგება აქტები, რომლებიც არ არის ხელმოწერილი ფულის



მიმღები პირების მიერ. ზოგიერთ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი წარმატებების და თვალის ახვევის მანვე პრაქტიკა. ყველაფერი ეს განაპირობებს და ხელს უწყობს საკოლმეურნეო ქონების გაფლანგვა-გატაცებას.

კოლმეურნეობები რიგ შემთხვევაში ცუდად მარაგდებიან სათადარიგო ნაწილებით, საწვავით, საბურავებით, სამშენებლო მასალებით. ამის გამო ადგილი აქვს ისეთ ფაქტებს, როდესაც კერძო მეწარმე საქმოსნები ეწვეიან კომერციულ შუამავლობას კოლმეურნეობების დავალებით. ამის გამო კოლმეურნეობებს საწვავის, სათადარიგო ნაწილების და სხვა მასალის შეძენა უხდებათ გაზრდილ ფასებში, ამას გარდა ეს ხელს უწყობს საკოლმეურნეო თანხების გაფლანგვა-გატაცებას.

ამ ბოლო წლებში გამოძიებულია საქმეები კოლმეურნეობებში საკმაოდ დიდი თანხების გატაცების შესახებ, რაც ჩადენილი იყო კერძო პირებიდან სხვადასხვა საქონლის, სათადარიგო ნაწილების, სამშენებლო მასალის, პირუტყვის და სხვათა შესყიდვაზე ყალბი აქტების გაფორმების გზით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ განხილული იყო სისხლის სამართლის საქმე ბოლნისის რაიონის ერთ-ერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკების ბ-ეს, ჩ-ეს, ს-ის და სხვათა მიმართ. წინასწარ შეთანხმდნენ რა საკოლმეურნეო ქონების გატაცებაზე, კოლმეურნეობის ფერმის ყოფილი გამგე ბ-ე და სარევიზიო კომისიის წევრი ს-ი გაემგზავრნენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მსხვილფეხა საქონლის შესაძენად და თან წაიღეს დიდი რაოდენობის საქვეანგარიშო თანხა. შეიძინეს რა დიდძალი პირუტყვი, შესყიდვის აქტებში ხელოვნურად გაზარდეს საქონლის ფაქტიური ღირებულება და ამ გზით დიდი თანხები მიითვისეს. როგორც გამოირკვა დამნაშავეებს ხელს უწყობდნენ ბოლნისის სადაბო საბჭოს ყოფილი მდივანი და თავმჯდომარე, რომლებიც ყალბ აქტებს ბეჭდის დასმით ადასტურებდნენ.

საგამომძიებლო სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცება ისეთი ხერხითაც, როცა კოლმეურნეობათა თანამდებობის პირები დანაშაულებრივ კავშირში შედიან სამრეწველო საწარმოებთან და ამ გზით ითვისებენ თანხებს.

კოლმეურნეობების და საწარმოთა მუშაკების დანაშაულებრივი კავშირის გზით ჩადენილი გაფლანგვა-გატაცების ხერხი იმაში მდგომარეობს, რომ ხდება საწარმოებში შექმნილი ზედმეტობის რეალიზაცია და ბრუნვიდან ამოღებულ თანხას ითვისებენ. ზოგიერთ საწარმოში ნედლეულის გადამუშავების და მისი ტექნოლოგიის სპეციფიკურობის გამო იქმნება ზედმეტობა, რისი ღირებულების გატაცებაც შემდგომში ხდება.

ასეთი ხერხით იქნა გატაცებული სახელმწიფო ქონება დამნაშავეთა ჯგუფის მიერ, რომელშიც შედიოდა მანარაძის რაიონის ნასაკირალის ჩაის ფაბრიკის და ამავე რაიონის სოფ. მელიქედურის კოლმეურნეობის ზოგიერთი მუშაკი.

ჩაის ფაბრიკის მთავარმა ტექნოლოგმა რ-ემ, ისარგებლა რა იმით, რომ ფაბრიკაში შექმნილი იყო პირველი ხარისხის ჩაის ფოთლის ზედმეტობა 9 ტონის ოდენობით, დაუკავშირდა სოფ. მელიქედურის კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს დ-ეს და ბულალტერ შ-ეს და მათ გადაწყვიტეს აღნიშნული ჩაის ფოთლის ღირებულების გატაცება. დამნაშავეთა ჯგუფის წევრებმა შემდეგ ხერხს მიმართეს: ჩაის ფაბრიკის ცენტრალურ მიმღებ პუნქტში გამოიწერა ყალბი ქვითარი, იმის შესახებ, თითქოს მელიქედურის კოლმეურნეობამ ჩაის ფაბრიკას

ჩააბარა 9 ტონა პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი. ამ გზით გაფორმდა ეს უსაქონლო ობერაცია. ამის შემდეგ ჩაის ფაბრიკამ ბანკის საშუალებით კოლმეურნეობას ჩაურიცხა 9 ტონა ჩაის ღირებულება 8000 მანეთი. კოლმეურნეობის სალაროდან აღნიშნული თანხის ამოღების და მითვისების მიზნით, კოლმეურნეობის მუშაკებმა თავის მხრივ შემდეგ ხერხს მიმართეს: კოლმეურნეობის თავჯდომარემ ყოფილი ბრივადირების ც-ეს და კ-ეს ხელის შეწყობით შეადგინეს ყალბი დოკუმენტები იმის შესახებ, თითქოს ჩაის მოსაკრეფად დაქირავებული ყავდათ გარეშე პირები. არარსებულ პირებზე გამოიწერა ხელფასის გაცემის უწყისები, რომელზედაც ხელმოწერები ყალბად გაკეთდა. ამ გზით სალაროდან ამოღებული იქნა ფულადი თანხა რაც დამნაშავეთა ჯგუფის წევრებმა გაინაწილეს.

მთელი პრაქტიკული მუშაობა ვაფლანგვა-გატაცების ხელისშემწყობი მიზეზების და პირობების აღმოფხვრისათვის გატაცების და მისი დაფარვის ხერხების ვათვალისწინებით უნდა წარმოებდეს შემდეგი ძირითადი გზებით:

1. გაუმჯობესდეს საფინანსო და საგეგმო ორგანოების, სამეურნეო ორგანიზაციების, სამინისტროების და უწყებების მიერ მატერიალურ ფასეულობათა დაცვის მიზნით ჩატარებული მუშაობა.

2. გაძლიერდეს სოციალისტური საკუთრების დაცვის მიზნით გამოცემულ კანონების შესრულებაზე საპროკურორო ზედამხედველობა.

3. გაძლიერდეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, პროკურატურის და სასამართლო ორგანოების საქმიანობა. ამალდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების საქმეთა გამოძიების ხარისხი, ამასთან ვათვალისწინებული უნდა იქნას, რომ ამ კატეგორიის საქმეებზე გამოძიება მხოლოდ მაშინ არის ხარისხიანი და სრულყოფილი, როდესაც გამოსაძიებელ საქმეზე ძირფესვიანად გამოკვლეულია ვაფლანგვა-გატაცების ხელისშემწყობი პირობები და მიზეზები, აგრეთვე დამნაშავეს პიროვნების დამახასიათებელი გარემოებანი.

4. უკეთ მოეწყოს უწყებათა, ცალკეულ საწარმოთა და სისტემების მიხედვით, ვაფლანგვა-გატაცების ხელისშემწყობი პირობების შესწავლა, ვაფლანგვა-გატაცების ხელისშემწყობ გარემოებათა შესახებ საპროკურორო-საგამომძიებლო ორგანოების მასალების განზოგადება და ამ გარემოებათა აღკვეთის მიზნით სათანადო ღონისძიებების შემუშავება.

5. ვაფლანგვა-გატაცების თავიდან აცილებისათვის პროფილაქტიკურ მუშაობაში ჩაბმულ იქნას საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო მასები.

6. მნიშვნელოვნად გაძლიერდეს სოციალისტური საკუთრების დაცვის საკითხებზე სამართლებრივი პროპაგანდა.

ბოლო ხანებში სახალხო მეურნეობის საბჭომ, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა გარკვეული მუშაობა ჩატარეს საუწყებო საფინანსო კონტროლის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სახალხო მეურნეობის საბჭოს და დგენილებებში, ბრძანებებსა, და ინსტრუქციებში ხაზგასმულია საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის ხარისხის და ეფექტურობის ამაღლების აუცილებლობაზე.

ამ მხრივ საყურადღებოა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს 1961 წლის 10 იანვრის განკარგულებით დამტკიცებული ინსტრუქცია სახალხო მეურნეობის საბჭოს ორგანიზაციებში და უწყებებში დოკუმენტალური რევიზიების ჩატარებისა და საფინანსო კონტროლის შესახებ. ამ ინსტრუქციის 313-ე მუხლი მოითხოვს, რათა ვაფლანგვა-გატაცების ფაქტების ძირფესვიანი გამო-

კვლევის საფუძველზე, რევიზორმა დაადგინოს ის მიზეზები და პირობები, რომლებიც ამ დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას იძლევა. ამავე საკითხს ეხება ინსტრუქციის მე-4 მუხლი, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ ორგანიზაციებში რევიზიების ჩატარებისას უნდა მოწმდებოდეს, თუ როგორ ახორციელებენ ბუღალტერიის ორგანოები კონტროლის ფუნქციას, რითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სოციალისტური საკუთრების დაცვა და საფინანსო დისციპლინის გამტკიცება.

რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო სარევიზიო აპარატის მუშაობის სწორი ორგანიზაციისათვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1963 წლის 20 მაისის № 35-10 წერილს, რომელიც ავალებს კონტროლიორ-რევიზორებს, რევიზიის მასალების მიხედვით, მთავარ კონტროლიორ-რევიზორს ან ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო სარევიზიო სამმართველოს წარუდგინონ წინადადებანი იმ ზომების შესახებ, რომლებიც უნდა გატარდეს გაფლანგვა-გატაცების ხვრელების დახურვის მიზნით; კერძოდ, აღრიცხვის სისტემის, ნედლეულის და მასალების ნორმების გადასინჯვის, პროდუქციის გამოშვებისას ნედლეულის საკონტროლო საშვის სისტემის გაუმჯობესების და სხვათა შესახებ.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში გაფლანგვა-გატაცების გავრცელებული ხერხების და მათი ხელშემწყობი პირობების გათვალისწინებით, სახალხო მეურნეობის საბჭომ მიიღოს ზომები, სახელმწიფო სტანდარტების და ტექნიკური პირობების დაცვაზე კონტროლის გაძლიერების მიზნით. ეს ღონისძიებები მიმართულია იქითკენ, რათა არ იქნას დაშვებული უხარისხო პროდუქციის გამოშვება, რომლის ხარჯზე დამნაშავე პირები ახერხებენ ნედლეულის და მასალების რეზერვების შექმნას და შემდგომში აღურიცხველი პროდუქციის გამოშვებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ იმ ღონისძიებებთან ერთად, რომლებიც განხორციელდა რესპუბლიკაში გაფლანგვა-გატაცების ხელისშემწყობი მიზეზების და პირობების აღმოფხვრის მიზნით, აუცილებელია უფრო მჭიდრო კონტაქტი დამყარდეს ფინანსთა სამინისტროს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სახელმწიფო ბანკის და სამშენებლო ბანკის საკონტროლო სარევიზიო მუშაობაში. ამასთან საჭიროა ამაღლდეს მთავარი (უფროსი) ბუღალტრის როლი და პასუხისმგებლობა საფინანსო კონტროლის განხორციელების საქმეში.

სოციალისტური საკუთრების გატაცების ხელისშემწყობი მიზეზების და პირობების აღმოფხვრა დიდად არის დამოკიდებული პროკურატურის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და სასამართლო ორგანოების მუშაობაზე. ამ საქმეში დიდი როლი ენიჭება სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ კანონების შესრულებაზე საპროკურორო ზედამხედველობას.

1964 წლის მარტში გაიმართა სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელმაც განიხილა სსრ კავშირის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოხსენება, საერთო ზედამხედველობის ხაზით მუშაობის მდგომარეობისა და კანონების დაცვაზე საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ.

როგორც კოლეგიაზე აღინიშნა პროკურატურის ორგანოებმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარეს სოციალისტური საკუთრების დაცვის მიზნით. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვის საკითხებზე პროკურორების

საქართველო
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს

მიერ შეტანილი წარდგინებების საფუძველზე საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები ღებულობენ ზომებს, რომლებიც მიმართულია გაფლანგვა-გატაცების ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრისაკენ. ამასთან ერთად ხაზგასმული იყო, რომ ცალკეული პროკურორები კანონების დარღვევასთან და დანაშაულებასთან ბრძოლის საქმეში სათანადოდ არ აფასებენ საერთო ზედამხედველობის როლს, არ ანიჭებენ მას პირველხარისხოვან მნიშვნელობას.

უკანასკნელ წლებში საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების მიერ აღვილობრივ, პარტიულ ორგანოებში, უწყებებსა და ორგანიზაციებში შეტანილი იქნა მნიშვნელოვანი წარდგინებები და პროტესტები, სოციალისტურ საკუთრების დაცვის შესახებ კანონების დარღვევებზე, რასაც უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გაფლანგვა-გატაცების თავიდან აცილებისათვის.

საერთო ზედამხედველობის ხაზით ჩატარებული შემოწმების საფუძველზე აღძრული იქნა მთელი რიგი საქმეები, მათ შორის: „საქსოოვეტმოპარაგების“ სისტემაში მომხდარი გაფლანგვა-გატაცების შესახებ, დიდუბის № 6 წისკვილკომბინატში დიდი რაოდენობით მარცვლეულის დანაკლისის ფაქტზე და სხვა.

რესპუბლიკის პროკურატურამ სოციალისტური საკუთრების დაცვის მიზნით განახორციელა ღონისძიებანი პარტიულ სახელმწიფო კონტროლის ორგანოებთან ერთად: რესპუბლიკის მსხვილ საწარმოებში შემოწმდა სახელმწიფო დოვლათის შენახვის და დაცვის მდგომარეობა. ერთობლივი შემოწმების შედეგად გამოვლინდა გაფლანგვა-გატაცების ფაქტები: თბილისის ხორცკომბინატში, ფეხსაცმელწარმოების გაერთიანება „ისანში“ და სხვა.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მოკვლევის, გამოძიების, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებისაგან მოითხოვს, საქმეზე მოკვლევის, გამოძიების ჩატარებისას და საქმის სასამართლოში განხილვისას, გამოარკვიონ ის მიზეზები და პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას და მიიღონ ზომები მათ ასაცილებლად.

გამომძიებლისათვის შედგენილ სპეციალურ მეთოდურ სახელმძღვანელოში „დანაშაულის გამოძიების დაგეგმვა“, მითითებულია, რომ საგამომძიებლო ვერსიების შემუშავება, მხოლოდ მაშინ უწყობს ხელს საქმეზე ჭეშმარიტ გარემოებათა დადგენას, როდესაც ვერსიები დგება დანაშაულის ჩადენის და დაფარვის სხვადასხვა ხერხების შესწავლის და მათი გამოძიების თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც განზოგადებული სახით მოცემულია ცალკეული სახის დანაშაულის გამოძიების მეთოდიკაში.

გაფლანგვა-გატაცების საქმეებზე გამოძიების ხარისხის ამაღლების ამოცანები მოითხოვს გრძლად იქნეს შესწავლილი იმ მიზეზების და პირობების კომპლექსი, რომლებმაც გაადვილეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცება და მისი დაფარვა. ამასთან გამომძიებელი ვალდებულია ითვალისწინებდეს:

1. საქმის სრულყოფილად გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე შესაძლებელია საგამომძიებლო მოქმედებები სპეციალურად ჩატარდეს იმისათვის, რომ გამორკვეული იქნეს გაფლანგვა-გატაცებლობის ხელისშემწყობი პირობები.

2. თუ გამოძიების პროცესში გამოვლინებული იქნება ამა თუ იმ საწარმოს ან ორგანიზაციის სხვა ნაკლოვანებებიც, რომლებიც აგრეთვე ხელს უწყობენ გაფლანგვა-გატაცებას, გამომძიებელი ვალდებულია ძირფესვიანად გამოიკვლიოს ამ ნაკლოვანებების მიზეზი და მასში დანაშაულებრივი პირები.

ქართული
საზოგადოებრივი

3. აუცილებელია გამორკვეული იქნას გაფლანგვა-გატაცების ჩადენის ხერხები და მათი ხელისშემწყობი პირობები ხომ არ არის ტიპიური სახალხო მეურნეობის სხვა ანალოგიური დარგებისათვის ან ობიექტებისათვის, რათა შემდგომ უშუალოდ ან პროკურორის მეშვეობით, დააყენოს საკითხი უწყებათა, სამინისტროების, სახალხო მეურნეობის საბჭოს სამმართველოების წინაშე ამ პირობების აღკვეთისათვის.

გაფლანგვა-გატაცების ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრის სერიოზულ საშუალებას წარმოადგენს საქმის მასალების მიხედვით გამოძიებლის მიერ შეტანილი წარდგინება.

წარდგინებაში მითითებული უნდა იყოს დანაშაულის ხელისშემწყობ პირობებსა და გარემოებებზე, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია საქმეზე გამოვლინებულ გატაცების ხერხებთან. წარდგინებაში აგრეთვე მოცემულ უნდა იყოს წინადადებანი, მიმართული გამოვლინებულ დარღვევათა აღსაკვეთად ან არსებულ ინსტრუქციებში და წესებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

გამოძიებლის წარდგინებით რეკომენდებული წინადადებანი უნდა პასუხობდეს სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვის მოთხოვნებს. ეს წინადადებანი მიზანშეწონილი უნდა იყოს სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით და ხელს უნდა უწყობდეს მატერიალური რესურსების ნორმების გაუმჯობესებას, მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვაზე აღრიცხვისა და კონტროლის მოწესრიგებას.

იმ გარემოებათა გამოვლინებაში, რომლებმაც გაადვილეს სახელმწიფო საკუთრების გატაცება, უდიდესი როლი ენიჭება სასამართლო საბუღალტრო, ტექნოლოგიურ, კრიმინალისტურ და სხვა სახის ექსპერტიზებს.

ასე მაგალითად: სასამართლო საბუღალტრო ექსპერტიზას შეუძლია გამოარკვიოს საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად არის დაცული ჩეკების, ზედღებულების ან უწყისების გამოწერისათვის დადგენილი წესები: ამა თუ იმ ოპერაციის გატარების, ბუღალტრული საბუთების მიღების სისწორე და სხვა.

ტექნოლოგიურ ექსპერტიზას შეუძლია პასუხი ვასცეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორც არის საკითხი იმის შესახებ თუ რამდენად სწორია ნედლეულის და მასალების ხარჯვის ნორმები, პროდუქციის გამოსავლიანობა და დანაკარგები, ფაქტიურად რა რაოდენობის ნედლეული და მასალაა გახარჯული ერთეულ ნაწარმის დამზადებაზე; პასუხობს თუ არა მზა პროდუქცია ტექნიკურ პირობების მოთხოვნებს და თუ ადგილი აქვს გადახვევას, კონკრეტულად რაში გამოიხატება ეგი და სხვა.

გაფლანგვა-მტაცებლობის ხელისშემწყობ გარემოებათა გამორკვევის მიზნით, გაფლანგვა-გატაცების ჩადენის და დაფარვის ხერხების გათვალისწინებით გამოძიებლები ხშირად მიმართავენ კრიმინალისტურ ექსპერტიზას. კრიმინალისტური ექსპერტიზის საშუალებით გამოძიებელს შეუძლია დაადგინოს თუ რა ხერხით იყო დამზადებული ყალბი საბუთი, როგორია ქაღალდის და საწერი მოწყობილობის თავისებურებანი, საბუთების ფორმისა და რეკვიზიტების შესახებ, რამაც ხელი შეუწყო სიყალბის ჩადენას და მის შენიღბვას.

გაფლანგვა-გატაცების საქმის გამოძიებისას, პროკურორმა უნდა მოითხოვოს გამოძიებლისაგან ყველა იმ გარემოებათა სრული გამოკვლევა, რომლებიც დაკავშირებულია, როგორც დანაშაულის შემთხვევასთან, ისე დამნაშავის პიროვნების ჩამოყალიბებასთან.

პრაქტიკაში ხშირად გვხვდება ისეთი საქმეები, რომლებიც ისე არის გამოძიებული, რომ არ არის შესწავლილი დანაშაულის პიროვნება, მისი ცხოვრების პირობები, ის მიზეზები, რომლებმაც ხელი უბიძგეს მას დანაშაულისაკენ, მაშინ როდესაც ყველა ამ ფაქტორებს დიდი მნიშვნელობა აქვს გაფლანგვა-გატაცების თავიდან აცილების მუშაობის სწორად წარმართვისათვის.

გაფლანგვა-გატაცების თავიდან აცილების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო ორგანოების მიერ ამ ხაზით გატარებულ ღონისძიებებსაც. გაფლანგვა-გატაცების ჩამდენ პირთა დასჯასთან ერთად სასამართლო ვალდებულია თუ კი ეს არ არის დადგენილი გამოძიების პროცესში, თვითონ გამოარკვიოს სამსჯავრო გამოძიების დროს შესაძლებლობის ფარგლებში, თუ რა გარემოებებმა განაპირობეს ამ დანაშაულის ჩადენა და მიიღოს ზომები მათი შემდგომში თავიდან ასაცილებლად.

ამ მიმართებით მუშაობის სწორი ორგანიზაციისათვის და შესაბამის ღონისძიებების გატარების მიზნით, დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკის განზოგადებას. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა, თავის 1959 წლის 11 ოქტომბრის დადგენილებით რეკომენდაცია მისცა სასამართლოებს, გაფლანგვა-გატაცების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკა განზოგადონ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში სოციალისტური საკუთრების გატაცების გავრცელებული ხერხების გათვალისწინებით (მაგალითად, მოსავლის აღების პერიოდში საწყობებიდან, ელევატორებიდან ხორბლეულის ან სხვა მარცვლეულის გატაცების საქმეები და სხვა).

გაფლანგვა-გატაცების ხელისშემწყობი მიზეზების და პირობების შესახებ, რომლებიც გამოვლინებული იქნება საქმის განხილვის დროს, საჭიროა სასამართლოს მიერ შეტანილი იქნეს წარდგინებები სათანადო ორგანიზაციებში და უწყებებში. ამ წარდგინებებში უნდა მოცემული იყოს იმ კონკრეტული ზომების შესახებ, რომლებიც უნდა გატარდეს მომავალში გაფლანგვა-გატაცების ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრის მიზნით.

გაფლანგვა-გატაცების თავიდან აცილების ამოცანების წარმატებით გადაჭრა დიდად არის დამოკიდებული ერთის მხრივ სასამართლო, პროკურატურის და მილიციის ორგანოთა ფუნქციების ზუსტად გამიჯვნაზე, ხოლო მეორეს მხრივ ამ ორგანოთა მიზანდასახულ ერთობლივ მოქმედებაზე, მათი მუშაობის მჭიდრო კოორდინაციაზე, პროკურატურის მაორგანიზებელი როლის უზრუნველყოფით.

ამ მიმართებით დიდად სასარგებლოა პროკურატურის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და სასამართლო ორგანოების მიერ, გაფლანგვა-გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიების ერთობლივი განხილვა, დაგეგმვა, და გატარება, საკონტროლო-სარევიზიო და სხვადასხვა ინსპექციების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ეს მუშაობა უფრო ეფექტურია თუ იგი ტარდება გაფლანგვა-გატაცების ჩადენის და მისი დაფარვის ხერხების გათვალისწინებით.

ამ ბოლო დროს იურიდიული ჟურნალების ფურცლებზე გამოჩნდა მეტად საინტერესო სტატიები, რომელთა ავტორები წინააღმდეგ იძლევიან დანერგული იქნას პრაქტიკაში სახელმწიფო და საზოგადო ქონების დაცვის ტექნიკური საშუალებები. ამ ავტორების აზრით, უნდა მოეწყოს მატერიალურ ფასეულობათა საცავების დაცვითი სიგნალიზაცია, უნდა ავტომატიზებული იქნას იმ ტვირთების აღრიცხვა, რომლის გადატანა ხდება სავაჭრო, სამშენებლო, კვების და სხვა ორგანიზაციებისა და წარმოებისათვის.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა ა. ლევის სტატია, რომელშიაც იგი წინააღმდეგობას იძლევა დამუშავებული იქნეს აღრიცხვის საბუთების ტიპური ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნება სიყალბის შეტანის საწინააღმდეგო დაცვის საშუალებებით. როგორც სამართლიანად აღნიშნავენ თავის სტატიაში ვ. მიტროფონოვი და ნ. ნიმცოვიჩი, „...აღრიცხვის, ანგარიშგების და კონტროლის საბუთები უნდა გადაიქცეს იმ ავტომატურ სირენად, რომელიც მაშინვე მისცემს ნიშანს, როგორც კი სახალხო დოვლათს შეეხება გამტაცებლის ხელი“.

ადმინისტრაციული ორგანოების ბრძოლა გაფლანგვა-გატაცების წინააღმდეგ, მათი ხელისშემწყობი მიზეზების და პირობების შესწავლა, დამნაშავეს პიროვნების გამორკვევა უნდა ხორციელდებოდეს საზოგადოებრიობასთან მჭიდრო კავშირში.

გაფლანგვა-გატაცების ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრის მიზნით საზოგადოებრივი ძალების მობილიზებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კარგად დაყენებულ სამართლებრივ პრობაგანდას, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების სიფხიზლის ამაღლებას და ისეთი ვითარების შექმნას, რომელიც გამორიცხავს გაფლანგვა-გატაცების ჩადენის შესაძლებლობას.

სპეკულაციის დანაშაულის შეამჯობინება

ა. შაენაი

საბჭოთა სახელმწიფო სპეკულაციას თავიდანვე თვლიდა საშიში სახის დანაშაულად. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველ წლებში ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიური საფუძვლების განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვაჭრობის სწორ ორგანიზაციას, რასაც უდიდოდ გარკვეულ ზიანს აყენებდნენ სპეკულანტები.

საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე საკანონმდებლო აქტებში ხაზგასმული იყო სპეკულაციის წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლის წარმოების აუცილებლობა. ჯერ კიდევ 1917 წლის 10 ნოემბერს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის დადგენილებით „მტაცებლები, წამგლეკები, სპეკულანტები ხალხის მტრებად“ გამოცხადდნენ.

1917 წლის 15 ნოემბერს სახალხო კომისართა საბჭომ ვ. ი. ლენინის ხელმოწერით მიიღო დეკრეტი „სპეკულაციასთან ბრძოლის შესახებ“, ხოლო 1918 წლის 22 ივლისს—დეკრეტი „სპეკულაციის შესახებ“.

ამ საკანონმდებლო აქტებში გარკვეული იყო სპეკულაციის სხვადასხვა სახეები. სპეკულაციის წინააღმდეგ უღმობელი ბრძოლის აუცილებლობას ხაზი გაესვა აგრეთვე სახალხო კომისართა საბჭოს მიმართვაში ყველა მშრომელისადმი (1918 წლის 8 აგვისტო)¹.


1919 წლის 21 ოქტომბერს მიღებულ იქნა დეკრეტი — „სპეკულაციის, სახელმწიფო საწყობებიდან მტაცებლობის და თანამდებობრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. სპეკულაციის ყველა წყაროს და მასთან დაკავშირებულ თანამდებობრივ დანაშაულის შესასწავლად, მის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემატურად წარმოების მუდმივი მეთვალყურეობისათვის, ბრძოლის საშუალებების ვაერთიანებისა და ცხოვრებაში განხორციელებისათვის შეიქმნა უწყებათაშორისო კომისია. აღსანიშნავია, რომ დეკრეტს თანახლავს იმავე წლის 22 ოქტომბერს ვ. ი. ლენინის ხელით დაწერილი დამატება სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე უწყებათაშორისო კომისიების ფუნქციების შესახებ.²

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებას არ შეუსუსტებია ბრძოლა სპეკულაციის წინააღმდეგ. 1921 წლის 24 მაისის დეკრეტი იძლეოდა ნატურალური გადასახადების ჩაბარების შემდეგ დარჩენილი პროდუქტების თავისუფალი გაცვლის, შესყიდვის ან გაყიდვის უფლებას. ამასთანავე ამ წესის შეგნებული დარღვევა, რაც ხელს უშლიდა ნორმალურ ვაჭრობას, გამოცხადდა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებად.

კლასობრივი ბრძოლის ფორმების ცვლილებებთან ერთად, იცვლებოდა სპეკულაციის ცნებაც. 1921 წლის 15 ივლისის დეკრეტით — „გაცვლისა და ნატურალური გადასახადის დეკრეტის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ შეიცვალა სპეკულაციის ცნება, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა

¹ В. И. Ленин, О социалистической законности, Изд. „Советская Россия“, М. 1958, стр. 203-204.

² იქვე, გვ. 427—428.



რსფსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში. ამ კოდექსის 137-ე მუხლის მიხედვით, სპეკულაციად იქნა მიჩნეული „საქონელზე ფასების ხელოვნურად გაღვივება ვაჭრების ურთიერთშორის შეთანხმების ან მოლაპარაკების, ან ბოროტი განზრახვით საქონლის ბაზარზე გაუტანლობის მეშვეობით“.

თითქმის ანალოგიურად განსაზღვრავდა სპეკულაციას რსფსრ 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის პირველი რედაქცია.

1932 წლის 20 მაისს კერძო ვაჭრობის აკრძალვის შესახებ კანონის გამოცემასთან დაკავშირებით კვლავ შეიცვალა სპეკულაციის ცნება. 1932 წლის 22 აგვისტოს, როდესაც სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ გამოსცეს დადგენილება „სპეკულაციასთან ბრძოლის შესახებ“ სპეკულაციის ცნება კვლავ ერთგვარად შეიცვალა. 22 აგვისტოს კანონი სპეკულანტების წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე სავსებით გეგმაზომიერი ღონისძიება იყო. კანონი ითვალისწინებდა სპეკულანტების მკაცრად დასჯას — „თავისუფლების აღკვეთას 5-დან 10 წლამდე ამნისტიის შეუფარდებლად“.

ახალი კანონმდებლობა, რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების შესაბამისი მუხლები, კერძოდ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლი განასხვავებენ სპეკულაციის სახეებს.

ახალი კანონი ახდენს სწორ დიფერენცირებას, ცალცალკე გამოყოფს მარტივ, კვალიფიციურ და წვრილმან სპეკულაციას. მარტივი სპეკულაცია განმარტებულია რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის პირველ ნაწილში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებში, კერძოდ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის პირველ ნაწილში. იმავე მუხლის მეორე ნაწილი მიუთითებს კვალიფიციურ სპეკულაციაზე. ესტონეთის და ყაზახეთის რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში კვალიფიციური სპეკულაცია ცალკე არ არის გამოყოფილი.

ყაზახეთისა და ტაჯიკეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსებში ცალკე მუხლები აქვთ დათმობილი ბინებით სპეკულაციას (შესაბამისად 169-ე და 168-ე მუხლები), ხოლო სომხეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსში იგივე დანაშაული 156-ე მუხლის მესამე ნაწილშია გათვალისწინებული.

მარტივ სპეკულაციად ითვლება საქონლის ან სხვა საგნების, აგრეთვე სასაქონლო დოკუმენტების შესყიდვა და გადაყიდვა გამორჩენის მიზნით, იმ დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე, რასაც კვალიფიციური სპეკულაცია ითვალისწინებს.

რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით მარტივი სპეკულაციის სასჯელის ზომად განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმა სამას მანეთამდე.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის პირველი ნაწილით მარტივი სპეკულაცია ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ას მანეთამდე.

რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მეორე ნაწილის

მხედვეთ სპეკულაცია კვალიფიციურია, თუ იგი ჩადენილია ხელობის ან დიდი ოდენობით და სასჯელის ზომად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით ორიდან შვიდ წლამდე, ქონების კონფისკაციით. უკრაინის, ბელორუსის, თურქმენეთის და საქართველოს სს რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების ანალოგიური მუხლებით, სპეკულაცია კვალიფიციურ ფორმად ითვლება თუ იგი ჩადენილია განსაკუთრებით საშიში რეცედივისტის მიერ ზემოთ მითითებული დამამძიმებელი გარემოების გარეშეც. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის მეორე ნაწილი სასჯელის ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ორიდან შვიდ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

აზერბაიჯანის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლით ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულია „აღრე სპეკულაციისათვის ნა-სამართლობა“, ლატვიის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 149-ე მუხლი კი სხვა დამამძიმებელ გარემოებასთან ერთად სპეკულაციას კვალიფიციურად მიიჩნევს, როცა იგი ჩადენილია „წინასწარი მოლაპარაკებით პირთა ჯგუფის მიერ“.


ზუსტი ზღვარი, თუ რა მოცულობის, ოდენობის ან ღირებულების საგნებია საზომი, რომ სპეკულაციის სახეები ერთმანეთისაგან განვასხვავოთ, დადგენილი არ არის. იგი კონკრეტული შემთხვევის მიხედვით უნდა განსაზღვრონ საგამომძიებლო-სასამართლო ორგანოებმა.

ამასთან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ წვრილმანი სპეკულაცია არის „მცირე რაოდენობის საქონლის შესყიდვა და გადყიდვა გამორჩენის მიზნით“. წვრილმანი სპეკულაციის დროს სპეკულაციის საგანი მცირეა, ასევე მცირეა მისი ღირებულება და მიღებული მოგებაც.

სპეკულაციის ობიექტი. სპეკულაციის ობიექტია — საბჭოთა ვაჭრობა და მომხმარებელთა მატერიალური ინტერესები.

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციის ზრდა, შრომის ნაყოფიერების განუზრელად ამაღლება, პროდუქციის თვითღირებულების თანდათანობით შემცირება მატერიალურ საფუძველს ქმნის საქონლის ფასების თანმიმდევრული შემცირებისათვის. საბჭოთა ადამიანების მყიდველობითი უნარის გადიდების გამო ბაზარი წარმოებას უყენებს მოთხოვნას, რათა გაფართოვდეს პირადი მოხმარების საგნების დამზადება.

დიდა სახელმწიფო, კოლექტიური და საკოლმეურნეო ვაჭრობის როლი მოსახლეობის მომსახურებაში. მაგრამ, ზოგჯერ დროულად და სწორად არ ხდება საქონლის დანაწილება და ადგილებზე შეტანა, ერთგვარი შეფერხება ვაჭრობაშიც იმ საქონლით, რომელიც საკმაო რაოდენობით მოიპოვება. ზოგიერთ სავაჭრო ობიექტში დაბალია ვაჭრობის კულტურა. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ყველა მუშაკი როდი ასრულებს საბატოო მოვალეობას კმაყოფილი ყავდეს მომხმარებელი. არის შემთხვევები, დაბალი ხარისხის საქონლის გასაყიდად გამოშვებისა, რომლის რეალიზაციაც ძნელდება და სხვა. ამ სახის დროებით სიძნელეებს მოსახლეობის მომარაგების საქმეში იყენებს ზოგიერთი ბარაზიტული ელემენტი და სპეკულაციას ეწევა. ყიდულობს და შემდეგ გადიდებულ ფასებში ყიდის სხვადასხვა სახის საქონელს. ყოველივე ამით ხელი ეშვება გვემაზომიერ ვაჭრობას და ზიანი მოაქვს თვით



მომხმარებლისთვისაც, რომელმაც შეიძინა საქონელი ან სხვა საგანი სპეკულანტისაგან და გადაიხადა მის ღირებულებაზე გაცილებით მეტი. ილახება აგრეთვე ეკონომიური ინტერესები იმ მოქალაქეებისა, რომლებმაც სავაჭრო ორგანიზაციებში ვერ შეიძინეს საჭირო საქონელი სპეკულანტების მოქმედების გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი 1938 წლის დეკემბრისა და 1940 წლის თებერვლის დადგენილებებში სპეკულაციის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ მიუთითებდა, რომ „სპეკულაცია წინანდებურად კვლავ არის დანაშაულის ერთ-ერთი ყველაზე საშიში სახე და არსებითად წარმოადგენს მეურნეობის სოციალისტური სისტემის საზიანო მიმართულ მოქმედებას“.

სასამართლო ვალდებულია სასტიკად ებრძოდეს სპეკულაციას, რომელიც ძირს უთხრის ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიურ საფუძველს და დეზორგანიზაცია შეაქვს საბჭოთა ვაჭრობაში.¹

სპეკულაციის საგანი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის საქონელი, აგრეთვე სხვა საგანი, რომელიც უფლებას იძლევა საქონლის შეძენაზე, (მაგალითად, საქონლის შესაძენი ქვითარი, თეატრის ან ფეხბურთის ბილეთი და სხვ.) აგრეთვე საგნები, რომელთა შექმნაში ადამიანთა შრომა არ არის დახარჯული (ველური ბალახი, წურბელა და სხვ.).²

სპეკულაციის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე ისეთი ნივთები, რომლებიც ამოღებულია საერთო სამოქალაქო ბრუნვიდან (მაგალითად, ცეცხლმსროლელი იარაღები, ძვირფასი ზოდები და სხვ.).³

იმ შემთხვევაში, როცა სპეკულაციის საგნად მიჩნეულია საქონელი, რომლის შენახვა ან გასაღება თავისთავად სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს სპეკულაციის დანაშაულთა ერთობლიობით; მაგალითად, სათანადო ნებართვის გარეშე ცეცხლმსროლელი იარაღის შენახვა, ტარება და გადაყიდვა.

თუ სავალუტო ფასეულობაა სპეკულაციის საგანი, აღარ არის საჭირო დამნაშავის მიმართ სპეკულაციის მუხლის წარდგენა და დანაშაული პირდაპირ უნდა დაკვალიფიცირდეს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლით ან სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი მუხლებით, კერძოდ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 89-ე მუხლით, როგორც სავალუტო წესების დარღვევა, სადაც აგრეთვე გათვალისწინებულია ვალუტით სპეკულაცია.


მოვიყვანოთ რამდენიმე დამახასიათებელ მაგალითს.

პ. და ჩ. მიმართ საქმე აღიძრა სპეკულაციისათვის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17—165-ე მუხლის მეორე ნაწილით იმის გამო, რომ ისინი არ ეწეოდნენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, დაუკავშირდნენ ერთმანეთს, შეიძინეს წმინდა ოქროს ზოდები და ფხვნილი, ხარისხით 958 პროცენტიანი ერთი კილოგრამის რაოდენობით. (ყოველი გრამი უნდა გაე-

¹ ვ. მ. ჩხიკვაძე, „სპეკულაციასთან ბრძოლა“, თბ. 1941, გვ. 36—38.

² Уголовный кодекс РСФСР 1960 г; Комментарий, изд. Ленинградского университета, 1962, стр. 184.

³ Советское уголовное право, часть особенная, госиздат, М., 1962 г; стр. 250.



ყიდათ 5,50 კაპიკად). პ. და ჩ.-მ ვანის რაიონიდან წაიღეს იგი გადაყიდვის მიზნით და გზაში დაკავებულ იქნენ.

პ. და ჩ. მიმართ საქმეზე წინასწარი გამოძიება დამთავრდა სპეკულაციის მცდელობით, მაგრამ იმის გამო, რომ მათ მოქმედებაში სახეზე იყო როგორც სპეკულაციის მცდელობა, ასევე სავალუტო წესების დარღვევა (მუხლი 89) ხოლო ეს უკანასკნელი თავის დისპოზიციაში ითვალისწინებს ვალუტით სპეკულაციას, დამატებითი გამოძიების პროცესში პ. და ჩ.-ს მოეხსნათ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17—165-ე მუხლის მეორე ნაწილი და მათი ქმედობა დაკვალიფიცირდა იმავე კოდექსის 89-ე მუხლის მეორე ნაწილით.

ი/ არსად არ მუშაობდა. სპეკულაცია მას ხელობად ჰქონდა გადაქცეული. ი. ერთი მხრივ უკავშირდებოდა სახელმწიფო ქონების გამტაცებლებს დ-სა და ლ-ს, რომლებიც დატაცებული ტყავით ფარულად კერავდნენ ფეხსაცმელებს და ყიდდნენ ი-ზე, რომელიც თავის მხრივ კავშირში იყო მაღაზიის მუშაკებთან გ-სთან და თ-სთან. შეჰქონდა მათთან მაღაზიაში ყალბი დამღებიანი ფეხსაცმელები მომატებულ ფასებში, სარეალიზაციოდ, ხოლო ნაწილს თვითონ უკეთებდა რეალიზაციას გადიდებულ ფასებში.

როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა ვაჭრობის ინტერესები მჭიდროდ დაკავშირებულია საბჭოთა მომხმარებლის ინტერესებთან. სპეკულანტური ელემენტები ცდილობენ გამორჩენა მიიღონ მშრომელებისაგან, ამასთანავე ხელს უშლიან ვაჭრობას. ამიტომ, ჩვენი აზრით, არასწორია, როცა სისხლის სამართლის ზოგიერთ ნაწილში სპეკულაციის ობიექტად მხოლოდ „საბჭოთა ვაჭრობას თვლიან“.¹

სპეკულაციის ობიექტის ასეთი განსაზღვრა სრულყოფილად ვერ გამოხატავს ქმედობის ნამდვილ აჩსს. ვფიქრობთ, უფრო ზუსტია როცა სპეკულაციის ობიექტად მიჩნეულია „როგორც საბჭოთა ვაჭრობა, ისე მომხმარებელთა მატერიალური ინტერესები“.²

სპეკულაციის ობიექტური მხარე. სპეკულაციის ობიექტურ მხარეს განსაზღვრავს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების შესაბამისი მუხლები, კერძოდ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლი, რომელთა დისპოზიციით, სპეკულაციის აუცილებელ პირობად ითვლება საქონლის ან სხვა საგნების შესყიდვა და გადაყიდვა, მაგრამ მარტო ესეც არ არის საკმარისი. სპეკულანტის მიზანს ხომ გამორჩენის მიღება შეადგენს, მარტოდენ საქონლის შესყიდვა და გადაყიდვა არ შეიძლება სპეკულაციად მივიჩნიოთ თუ არ არის გამორჩენის მიღების მიზანი. შესყიდვაში იგულისხმება საქონლის თუ სხვა საგნის როგორც ერთეული, ისე სისტემატური ყიდვა ან ვაცვლა.³

ა. თავის საკარმიდამო ნაკვეთზე მოყვანილ თამბაქოს ცვლიდა დაფნის ფო-

¹ Уголовное право, особ. часть, юриздат НКЮ СССР, М, 1943, стр. 350.

² Советское уголовное право. Госиздат юридической литературы, 1958, стр. 277; А. А. Пентковский, В. Д. Меншагин, Б. М. Чхиквадзе—Курс Советского уголовного права, 1, 2, госиздат, 1959, стр. 291; Советское уголовное право 1962, стр. 249—250.

³ Уголовный кодекс РСФСР, 1960 г., комментарий, изд. Ленинградского университета, 1962, стр. 283; курс советского уголовного права, часть особенная, т. II, 1959, стр. 294.

თოლზე. მან ვ.-საგან ასეთი გზით შეიძინა 88 კილოგრამი დაფნის ფოთლოვანი წაილო ქ. კუიბიშევეში და საკოლმეურნეო ბაზარზე კილოგრამს 25-30 მანეთად ყიდდა. გამოძიებით დადგენილ იქნა, რომ ა. ვაცვლას აწარმოებდა გამორჩენის მიზნით და კიდევ ლებულობდა ასეთს.

ზოგჯერ საქონლის გაცვლის ფაქტის დადგენისას საგამომძიებლო-სასამართლო ორგანოების მხრივ ადგილი აქვს ქმედობის შეცდომით დაკვალიფიცირებას სპეკულაციით. ს. მოკვლეული მასალების საფუძველზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს სპეკულაციის მცდელობისათვის. მან პირადი საკუთრების ვენახიდან მიღებული ღვინო, 40 ლიტრის რაოდენობით, ზესტაფონიდან წაილო და ქობულეთის რაიონში მოქ. ზ-ს გადაუცვალა 55 კილოგრამ მანდარინზე, რომლის გაყიდვაც უნდოდა ხაშურის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარზე, რა დროსაც იგი დააკავეს. ს-მ დაკითხვის დროს განაცხადა, რომ ოჯახური საჭიროების გამო უნდოდა საკუთარი ღვინის გასაღება, მაგრამ ვინაიდან იგი ძნელად იყიდებოდა, ხოლო მანდარინზე გაზრდილი მოთხოვნილებების გამო ხაშურში უფრო ადვილად შეეძლო ამ უკანასკნელის რეალიზაცია, ამიტომ ერთი სახის პროდუქტი მეორეზე გადაცვალა და მის მიზანს გამორჩენის მიღება არ შეადგენდა. ს-ს ამ ვერსიის გაბათილება გამოძიებამ ვერ შეძლო, რის გამოც საქმე მის მიმართ წარმოებით მოისპო ქმედობაში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1946 წლის 20 სექტემბრის დადგენილებაში — „სპეკულაციის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ — მითითებულია, რომ: „მშრომელთა მიერ საქონლის შემთხვევითი გაყიდვა და გადაცვლა, რაც შეძენილია პირადი საჭიროებისათვის და არა გადაყიდვისათვის, აგრეთვე კოლმეურნის ან ინდივიდუალური მეურნის მიერ საკუთარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გაყიდვა, ვაჭრობის დადგენილი წესების დაუარღვევლად, არ შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის შემადგენლობას“¹.

სპეკულაციის ფაქტის დადგენისას უნდა გავითვალისწინოთ საქონლის ან სხვა საგნის, არა მარტო სისტემატური შესყიდვა-გადაყიდვა, როგორც ამას ზოგჯერ მიუთითებენ, არამედ მოგების მიზნით შესყიდვა-გადაყიდვის ერთეული შემთხვევებიც².

ე. დაკავებულ იქნა იმ დროს, როცა მან ბინაში მიიყვანა მოქალაქე შ. და ერთი წყვილი ქალის ლაქის ტუფლი, ღირებული 19 მანეთად, მიყიდა 30 მანეთად. ე. არსად არ მუშაობდა, ადრე გასამართლებული იყო სპეკულაციისათვის, ასევე, წინა ნასამართლობის მქონე კ., რომელიც არ ეწეოდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, დაკავებულ იქნა საკოლმეურნეო ბაზარზე სწორედ იმ მომენტში, როცა მამაკაცის ერთ წყვილ იმპორტულ ფეხსაცმელს, რომლის სახელმწიფო ფასი 30 მანეთია, მოქალაქე პ-ს 50 მანეთს უფასებდა. მოქ. ე. დამ-

¹ Сборник действующих постановлений Пленума Верховного Суда СССР, 1924—1951 г. г.; М; 1952, стр. 33.

² Уголовное право, особ. часть, юриздата НКЮ, М; 1943 г; стр. 350; Советское уголовное право, особ. часть, госюриздата, М; 1958, стр. 277; Курс советского уголовного права, особ. часть, госюриздата, М; 1959, стр. 295; Советское уголовное право, особ. часть, госиздат юридической литературы, М; 1962, стр. 295.

თავრებული სპეკულაციისათვის, ხოლო კ. მცდელობისათვის გასამართლებულ იქნენ.

როცა სპეკულაციის მიზნით ნაყიდა საქონელი ან სხვა საგნები, მაგრამ გადაყიდა არ მომხდარა, ადგილი აქვს სპეკულაციის მცდელობას. აღნიშნული დანაშაული კვალიფიცირდება რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 15-154, და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების შესაბამისი მუხლებით, კერძოდ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17-165-ე მუხლებით.

ზ. და ე. რომლებიც არსად არ მუშაობდნენ, დაუკავშირდნენ ერთმანეთს, გაემგზავრნენ ქ. კრასნოდარში, შეიძინეს იქ 340 კილოგრამი ლობიო (კილოგრამი 85 კაპიკად), ჩამოიტანეს ქ. ქუთაისში და საკოლმეურნეო ბაზარზე დაკავებულ იქნენ იმ დროს, როცა კილოგრამ ლობიოს 2 მანეთს და 50 კაპიკს აფასებდნენ. ისინი სპეკულაციის მცდელობისათვის გაასამართლეს.

ქ. მოსკოვის ერთ-ერთ საფოსტო განყოფილებაში დაკავებული იქნა ს., რომელიც ამანათებს გზავნიდა ქ. ქუთაისში; ამანათებში აღმოჩნდა მამაკაცის 13 ცალი ნეილონის პერანგი; ბინის ჩხრეკისას ს-ს აღმოაჩნდა აგრეთვე ნეილონის პერანგები და სხვადასხვა სახის სამრეწველო საქონელი ღირებული 2.749 მანეთად. ს-მ განაცხადა, რომ ამანათებს უგზავნიდა კ-ს სასპეკულაციოდ. ისინი სპეკულაციის მცდელობისათვის იქნენ გასამართლებულნი.

პიროვნების მიერ საქონლის მხოლოდ შესყიდვა, თუნდაც დიდი რაოდენობით, რომელიც აღემატება მის საჭიროებას, არ შეიცავს სპეკულაციის შედეგნილობას. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია დადგინდეს — აქვს თუ არა პიროვნებას, გამორჩენის მიღების მიზანი. თუ ასეთი მიზანი არ არის, მხოლოდ საქონლის შექენის გამო პასუხისმგებლობა მიეცემა ან გასამართლება სპეკულაციისათვის დაუშვებელია.

ი. და დ. მივილინებით იმყოფებოდნენ ქ. მოსკოვში, სადაც შეიძინეს ქალისა და მამაკაცის 6 ცალი საზაფხულო იმპორტული პალტო. მათ მიმართ მილიციის ორგანოებში საქმე აღიძრა სპეკულაციის მცდელობისათვის, თუმცა როგორც ი., ასევე დ. დაკავებისას განმარტავდნენ, რომ თითო პალტო შეიძინეს საკუთარი საჭიროებისათვის, ხოლო დანარჩენები მეზობლებისათვის, რომლებმაც დააბარეს პალტოების ყიდვა. მიუთითეს კიდევ გვარები, ხოლო ი-მ მოკვლევას წარუდგინა პალტოების ზომები, ქაღალდზე დაწერილი, რაც ემთხვევოდა შენაძენის ზომებს. გამოძიების პროცესში დადასტურდა, რომ ი-ს მიერ ქაღალდზე დანიშნული ზომები დაწერილი იყო ერთ-ერთი მეზობლის ხელით, მან და აგრეთვე სხვა მეზობლებმაც დაადასტურეს, რომ ნამდვილად დააბარეს ი-ს და დ-ს პალტოების შექენა და ფულიც გაატანეს. საქმე მოიპო წარმოებით დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

ასეთ დროს საჭიროა კრიტიკულად შეფასდეს წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოს მიერ წამოყენებული ვერსიის სისწორე. ზოგჯერ გაქნილი სპეკულანტიც მიმართავს ხერხს, რათა მოსალოდნელი „ჩავარდნის“ შემთხვევაში თავის დაძვრენის საშუალება ექნეს, წინასწარ აფრთხილებს ნაცნობებს დაუდასტურონ, რომ საქონლის შექენა მათ დაავსლეს.

სპეკულაციაში შემჩნეული ქ. დააკავეს 350 მეტრი ქსოვილით. ქ-მ განმარტა, რომ ქსოვილი დედისა და მეზობლების ბ. და ზ-ს დავალებით შეიძინა, რაც მეზობლებმაც დაადასტურეს. დაკითხულ იქნა ქ-ს დედაც, რომელმაც უარყო შვილისათვის ქსოვილის ყიდვის დავალების მიცემა. მხოლოდ ამის შემდეგ ბ.

და ზ. იძულებული გახდნენ სიმართლე ეთქვათ. დანაშაული აღიარა ქ-მატ, რომელიც სპეკულაციის მცდელობისათვის გაასამართლეს კიდევ. სპეკულაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს საქონლის შეძენის წყაროს, ისევე როგორც არა აქვს მნიშვნელობა სასპეკულაციო საქონელი თუ სხვა საგანი ვისი თანხითაა შეძენილი.

იმ შემთხვევაში, როცა სასპეკულაციო საქონელი მოპოვებულია დანაშაულებრივი გზით, პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს ორივე დანაშაულის ერთობლიობით; თუ სასპეკულაციო საქონელი სახელმწიფო ან საზოგადო ქონების მტაცებლობის გზითაა შეძენილი, დამნაშავეს პასუხისმგებლობა დაეკისრება როგორც სპეკულაციისათვის, ისე მტაცებლობისათვის.

შესყიდული საქონლის ან სხვა საგნის გადაყიდვა იმ შემთხვევაში ჩაითვლება სპეკულაციად, როცა ასეთი ხდება გამორჩენის მიზნით. ხოლო თუ საქონელი შეძენილია ოჯახის საჭიროებისათვის, მაგრამ შემდეგ რაიმე მიზეზით მოხდა მისი გაყიდვა, შესაძლოა გადიდებულ ფასებშიც კი, სპეკულაციას ადგილი არა აქვს.

ცოლ-ქმარ მ. და ე-ს მიმართ საქმე აღიძრა სპეკულაციისათვის. ისინი ისვენებდნენ ქ. რიგაში, სადაც პირადი საჭიროებისათვის 486 მანეთად შეიძინეს საწერი მაგიდა და წიგნების კარადა და გაგზავნეს ქ. თბილისში ბიძის სახელზე. რიგიდან დაბრუნების შემდეგ მოუხდათ ბინის გამოცვლა; სხვა ბინაში გადასვლასთან დაკავშირებით აღნიშნული კარადა დამაგიდა გაყიდეს 540 მანეთად. მაგრამ რამდენადაც ზედმეტად ალებული თანხით გზის ხარჯები გადაიფარა. საქმე მოისპო წარმოებით მ. და ე-ს ქმედობაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

არის შემთხვევები, როცა სპეკულაციით არასწორად კვალიფიცირდება აკრძალული რეწვის შედეგად წარმოებული საქონლის გაყიდვა. დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ სპეკულაციის დროს დამნაშავე არავითარ პირად შრომას არ აქსოვს იმ საქონლის წარმოებაში, რომლის გადაყიდვისაც ახდენს. და ეს მაშინ, როცა აკრძალული რეწვის წარმოებისას გარკვეული შრომა იხარჯება, რაც სპეკულაციისაგან ძირითადად განასხვავებს ამ სახის დანაშაულს.

სულ სხვა საქმეა, როცა სპეკულანტები ზოგჯერ შენიღბულად მოქმედებენ და გადასაყიდად შეძენილ საქონელს მხოლოდ ფორმას უცვლიან. აქ კი არსებითად სპეკულაციისთან გვაქვს საქმე, ვინაიდან მიზანი სწორედ გამორჩენის მიღებაა, თუმცა აღნიშნულ მოქმედებას აკრძალული რეწვის სახე აქვს ფორმალურად.

ი-ს შემოწმებისას აღმოჩნდა საქონლის 56 ცალი ტყავი ლაქით გადამუშავებული. გამოირკვა, რომ ი. სხვა დროსაც ყიდულობდა საქონლის ტყავს, დაქირავებული შრომის გამოყენებით აწარმოებდა მის ვადამუშავებას და შემდეგ ყიდდა. გამოძიებით დადგინდა, რომ ტყავის შეძენასა და ლაქით დამუშავებას ი. ახარჯავდა გაცილებით ნაკლებ თანხას, ვიდრე მისი გადაყიდვით ღებულობდა, მისი მიზანი უშრომლად გამორჩენის მიღება იყო. ი-ს მოქმედება დაკვალიფიცირებულ იქნა ორი დანაშაულის — აკრძალული რეწვისა და სპეკულაციის ერთობლიობით.

დიდი შეუფარებლობა გადასამუშავებლად შეძენილი საქონლის ღირებუ-

ლებასა, მის გადამუშავებაზე დახარჯულ შრომასა, ერთის მხრივ და უკანონოდ წარმოებული პროდუქციის გასაყიდ ფასს შორის მეორეს მხრივ, მოწმობს, რომ პიროვნებას მასალების შეძენის დროს მიზნად ჰქონდა გამორჩენის მიღება არაშრომითი შემოსავლით.

„ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში სახეზეა აკრძალული რეწვისა და სპეკულაციის დანაშაულის ერთობლიობა“¹.

სპეკულაციის სუბიექტური მხარე გამოიხატება მხოლოდ პირდაპირ განზრახვაში. სპეკულანტს შეგნებული აქვს თავისი მოქმედების დანაშაულებრივი ხასიათი. ამავე დროს სპეკულანტისათვის აუცილებელია სპეციალური მიზანი — საქონლის ან სხვა საგნების შესყიდვით და გადაყიდვით უშრომლად გამორჩენის მიღება. თუ პიროვნებას საქონლის შესყიდვისას ან მანამდე არა აქვს მიზნად, რომ გამორჩენა მიიღოს, იგივე საქონლის გადაყიდვა რაიმე სხვა მიზნით არ შეიცავს სპეკულაციის ნიშნებს.

მოქ. ბ-ს მიმართ მილიციის ორგანოებმა საქმე აღძრეს სპეკულაციაზე იმის გამო, რომ მან ბავშვის პიჯაკი, ხალათი და ორი ცალი სვიტრი გადიდებულ ფასებში მიყიდა მოქალაქე პ-ს. გამოძიების პროცესში დადგინდა: ტანსაცმელი, რომელიც ბ-ს შეძენილი ჰქონდა თავისი ბავშვისათვის, ორი წლის მანძილზე არ უხმარია, შეძენის დროს ზომაში დიდი მოუყვია, ხოლო შემდეგ პატარა (ხმარებაში არ ყოფილა ბავშვის ავადმყოფობის გამო). ბ. იძულებული გახდა გაეყიდა ეს ტანსაცმელი, თუმცა ნამდვილ ფასზე მეტი აიღო, მავრამ, ვინაიდან საქონლის შეძენის დროს ბ-ს მიზნად არ ჰქონდა გამორჩენის მიღება, მის მიმართ საქმე მოისპო დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

სახალხო სასამართლომ გაამართლა მოქ. ქ. მას ბრალად ედებოდა 7 ლორის შესყიდვა სასპეკულაციოდ. მართლაც, დაკლა ლორები და გადიდებულ ფასებში რეალიზაცია უყო ხორცს. სასამართლოს სამსჯავრო გამოძიებით დადგინდა, რომ ქ-მ საკოლმეურნეო ბაზარზე შეიძინა ერთი დედა-ლორი, რომელიც მაკე აღმოჩნდა. გოჭების დაყრის შემდეგ ლორი და ნამატი ქ-მ ალრიცხვაზე ააყვანინა. ერთი წლის შემდეგ დედა-ლორი და დაღორებული გოჭები დაკლა და საკოლმეურნეო ბაზარზე გაყიდა. იმის გამო, რომ არ იყო საფუძველი ქ-ს პასუხისმგებაში მიცემისათვისაც კი, იგი კანონიერად გაამართლეს ქმედობაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

სპეკულაციისათვის უმართებულად იქნა მსჯავრდებული რ., რომელმაც ქ. მოსკოვში შეიძინა პიანინო 526 მანეთად და 6 თვის შემდეგ გაყიდა 650 მანეთად. საქართველოს სსრ უმინისტროსი სასამართლოს სისხლისსამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ საქმე წარმოებით მოსპო იმ მოტივით, რომ სახალხო სასამართლომ არ გაითვალისწინა პიანინოს გადატანის ხარჯები და შესყიდვის მიზანი, ხოლო მისი სასპეკულაციოდ შეძენა საქმის მასალებით არ იყო დადგენილ.

როგორც ცნობილია, სპეკულაციის მიზანს საერთოდ გამორჩენა წარმოადგენს, მავრამ არის შემთხვევა, როცა სპეკულანტი ვერ აღწევს სასურველ შე-

¹ Курс советского уголовного права, особ. часть, т. II, госиздат юридической литературы, М; 1959 г. стр. 307.

დებს, ვერ ლებულობს მას. ამით ქმედობის კვალიფიკაცია არ იცვლება, ვინაიდან მისი განმსაზღვრელი გამორჩენის მიღების მიზანი და არა შედეგი.

ბ. ეწეოდა მსხვილფუნქს პირუტყვის სპეკულაციას. მან ერთი წლის მანძილზე ნ სული საქონელი იყიდა, დაკლა და გაყიდა საკოლმეურნეო ბაზარზე. საქმის მასალებით დადგინდა, რომ ბ. საქონლის შესყიდვას და ხორცის რეალიზაციას ახდენდა გამორჩენისათვის, მაგრამ ბაზარზე ხორცის ფასების ხშირი ცვლილების გამო, მას გამორჩენა არ მიუღია, პირიქით, პირუტყვის შეძენაზე დახარჯული თანხაც ვერ აინაზღაურა. მიუხედავად ამისა, ბ-ს ქმედობა დაკვალიფიციურდა და გასამართლდა სპეკულაციისათვის, ვინაიდან მას გამორჩენის მიღების მიზანი ამოქმედებდა.

დ-ს საქმესთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია მიუთითებდა: „თუნდაც დადგენილ იქნეს, რომ ამა თუ იმ გარემოების გამო გადაყიდვა მოხდა ფაქტიურად მოგების მიუღებლად, ანდა წაგებითაც, რადგან საქმეზე გამორჩენის მიღების მიზანი ყიდვის დროს გადაყიდვისათვის დადასტურებულია, არსებობდა ყველა საფუძველი რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 107-ე მუხლის (ახალი კოდექსის 154-ე მუხლი — ა. ყ.) გამოყენებისათვის, რომელიც გულისხმობს არა აუცილებლად გამორჩენის ფაქტს, არამედ გამორჩენის მიღების მიზანს“¹.

სპეკულაციის სუბიექტი. საქართველოს სსრ ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლით სპეკულაციის სუბიექტის განსაზღვრა შეზღუდული არ არის მხოლოდ კერძო პირით, როგორც ეს ძველი კანონით იყო. ამით ახლა მეტი სიცხადეა შეტანილი სპეკულაციის დანაშაულის სუბიექტის განსაზღვრაში. ასე, რომ სპეკულაციის სუბიექტად შეიძლება იყოს „როგორც კერძო, ისე თანამდებობის პირი“².

საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით სპეკულაციის სუბიექტად მხოლოდ კერძო პირი ითვლებოდა, რითაც სრულყოფილად არ იყო განსაზღვრული ამ სახის დანაშაულის სუბიექტის ცნება.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა სპეკულანტის როლში თანამდებობის პირებიც გამოდიან. ადგილი აქვს თანამდებობის პირთა მიერ უშუალო სპეკულაციას, ზოგჯერ კი — სპეკულანტებთან კავშირის გზით, გადაყიდვისათვის სათანადო საქონლის ან სხვა სავნის გადაცემას მოგების განაწილებით.

ფესხაცმელების სპეციალიზებული მალაზიის მუშაკები, სექციის გამგეები ე. და გ. გამოძიებით დაუდგენელი პირებისაგან იძენდნენ კუსტარულად შეკერილ ფესხაცმელებს, ნაწილი შეპქონდათ მალაზიაში, უსვამდნენ ყალბ დამლას და აწარმოებდნენ რეალიზაციას, ხოლო ნაწილს აძლეოდნენ მათთან კავშირში მყოფ სპეკულანტებს ი. და ა-ს. ფესხაცმელების ფაქტიური ღირებულება გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე მას ყიდდნენ, მოგებას ურთიერთმორის იხაწილებდნენ. შემოწმებისას მალაზიაში აღმოაჩნდათ 105 წყვილი ასეთი ფესხაცმელი. მალაზიაში ფესხაცმელების უფაქტურად შეტანა რომ შეუძინველი დარჩენილიყო, გაყიდვაში გამოპქონდათ ნაწილ-ნაწილ და მის გადაყიდვას უფარდებდნენ ბაზიდან მიღებული ფესხაცმელების რეალიზაციას. ყალბი ფაქტუ-

¹ Судебная практика Верховного суда СССР, вып. VIII, 1945, стр. 17.

² Совесткое уголовное право, часть особенная, госиздат юридической литературы, М; 1962, стр. 254.

რების შედგენაც აგრეთვე გათვალისწინებული იყო ნამდვილ ფაქტურებში აღნიშნულ არტიკულებთან შეფარდებით. საქმის გამოძიების პროცესში ვერ დადგინდა უფაქტურო ფენსაცმელების შეკერვის წყარო. ამავე დროს სასაქონლო ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ ფენსაცმელები შეკერილი იყო კუსტარულად. ე-ს და გ-ს ქმედობა დაკვალიფიცირდა თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და სპეკულაციის ერთობლიობით.

ტ. მუშაობდა ტანსაცმელის ინდივიდუალური სადაკვეთო საამქროს ბრიგადირად. მან საკუთარ სარდაფში (გირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე) გახსნა ტანსაცმელების მასობრივი სამკერვალო საამქრო, რომლის ბრიგადირად ბ. დაინიშნა.

ტ. და ბ. დაუკავშირდნენ ერთმანეთს და საამქრო პირადი შემოსავლის წყაროდ გადაქციეს. რომ არ გამოვლენებულყო მათი საქმიანობა, საამქროს აბრას ეფარებოდნენ, სინამდვილეში კი დაბალ ფასებში შექმნილი უფაქტურო და უიარლიყო საქონელი — შარვლები, პიჯაკები შეჰქონდათ, ნებისმიერ ავსებდნენ ყალბ ქვითრებს გამოგონილ გვარებზე, თითქოს საქონელი დაკვეთით იყო მიღებული და ა. შ.

გამოძიებით დადგინდა, რომ ნაწილი საქონლისა დაიტაცა ს-მ, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებული იყო ტ-სთან და ბ-სთან, ეს უკანასკნელები კი სპეკულანტ დ-ს შეშვებოთ აგრეთვე ახდენდნენ რელიზაციას გადიდებულ ფასებში.

შემოწმებისას ფარულ საწყობში მათ 12 ათასი მანეთის საქონელი აღმოაჩნდათ. ტ., ბ., ს. და სხვები გასამართლებული იქნენ თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა, სახელმწიფო ქონების მტაცებლობასა და სპეკულაციაში თანამონაწილეობისათვის.

თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, სპეკულაციისა და სოციალისტური საკუთრების გატაცების დანაშაულის ერთობლივად ჩადენის მაგალითის ილუსტრირებისათვის შეიძლება კიდევ ერთი ასეთი ფაქტი დავასახელოთ.

ბ. და გ. მუშაობდნენ რკინა-კავერის მაღაზიაში გამგე-გამყიდველად, დაუკავშირდნენ საწყობის მფლობელებს ა. და ლ-ს. მათთან ერთად ეწეოდნენ შაბიანის დიდი რაოდენობით გატაცებას, შეჰქონდათ მაღაზიაში და რელიზაციას უკეთებდნენ გადიდებულ ფასებში. ხოლო ნაწილს ყიდდნენ სპეკულანტების შ. და გ-ს შეშვებოთ. ამ გზით გაიტაცეს სულ 7-ათასი მანეთის შაბიამანი. ისინი გასამართლებული იქნენ თანამდებობის ბოროტად გამოყენების, სახელმწიფო ქონების მტაცებლობისა და სპეკულაციისათვის.

ანალოგიური შემთხვევისათვის საგულისხმოა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მითითება კვალიფიკაციის ზუსტად ფორმულირების საკითხზე: „სპეკულანტებისათვის საქონლის სასპეკულაციოდ მიყიდვაში დამნაშავე თანამდებობის პირთა მოქმედება დაკვალიფიცირებული უნდა იქნეს ერთობლიობით, როგორც სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და როგორც თანამონაწილეობა სპეკულაციაში. ...უკეთეს საქონლის ყიდვა აშკარად დაკავშირებულია თვით მტაცებლობაში თანამონაწილეობასთან, ასეთი

მოქმედება დაკვალიფიცირებული უნდა იქნეს ერთობლიობით, როგორც მონაწილეობა სახელმწიფო და საზოგადო ქონების მტაცებლობაში და სპეკულაციისაში¹.

როგორც ზემოთ ითქვა, პრაქტიკაში გვხვდება სპეკულაციის ჩადენის ფაქტები, როგორც კერძო, ისე თანამდებობის პირების მიერ, ამიტომ სპეკულაციის სუბიექტის განსაზღვრა უფრო ზუსტია ჩამოყალიბდეს: „სპეკულაციის სუბიექტი შეიძლება იყოს ყველა შერაცხადი პიროვნება, რომელსაც 16 წელი შესრულდა“².

სპეკულაცია მძიმე დანაშაულია. მის წინააღმდეგ საბრძოლველად, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად, საჭიროა საზოგადოებრიობის ფართო ფენების მონაწილეობა.

¹ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მოქმედი დადგენილებების კრებული 1955, გვ. 35.

² Уголовный кодекс РСФСР 1960 г. Общая часть, стр. 10, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, 1960 წ. მუხ. 10; Курс Советского уголовного права, часть особая, госюриздат, 1959, т. II, стр. 302.



**საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების მიწის ნაკვეთების
გაყიდვასთან დაკავშირებით ასაღები სასაბჭოების ღირებულების
ანაზღაურების შესახებ**

მ. ჩიკვაშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

მიწის ნაკვეთებს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 19 ნოემბრის №943 დადგენილების „კოოპერაციული საბინაო მშენებლობის შემდგომი განვითარების შესახებ“ შესაბამისად გამოყოფენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები არა უგვიანეს ერთი თვისა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის მიერ განცხადების შეტანის დღიდან. როგორც წესი, ნაკვეთი გამოიყოფა მასობრივი საბინაო მშენებლობისათვის განკუთვნილ ტერიტორიაზე, იმ საწარმოთან (დაწესებულებასთან) ახლოს, რომელთანაც მოწყობილია კოოპერატივი, უპირატესად შენობათა და ნაგებობათა აულებლად.

ამ საერთო დებულებიდან დაწესებულია გამონაკლისი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 16 მარტის № 159 დადგენილებით. მის შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს გამონაკლისის სახით შეუძლიათ დააკმაყოფილონ საბინაო სამშენებლო კოოპერატივების შუამდგომლობა მიწის იმ ნაკვეთების გამოყოფის შესახებ, რომლებზედაც გაშენებულია მოქალაქეთა პირადი საკუთრების სახლები. ამასთან ეს დაიშვება იმ შემთხვევაში, როდესაც კოოპერატივები კისრულობენ სახლების აღების ხარჯებს, აგრეთვე ამ სახლებში მცხოვრებ პირთა სამსაგიერო საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფას.

მესაკუთრეებისათვის მათი პირადი საკუთრების ასაღები საცხოვრებელი სახლების შენობებისა და ნაგებობების ღირებულების ანაზღაურებას, აგრეთვე ვადსასახლებელ პირების საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილებას საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები ახდენენ იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივლისის №436 დადგენილებით.

ამ დადგენილებით მიწის ჩამორთმევისას გათვალისწინებულია ორი სახის კომპენსაცია: 1) მოქალაქეთა პირადი საკუთრების ასაღები საცხოვრებელი სახლების შენობებისა და ნაგებობების ღირებულების გადახდა, 2) არსებული ნორმების მიხედვით სამსაგიერო საცხოვრებელი ბინების მიცემა. არჩევის უფლება ეკუთვნის ასაღები სახლის მესაკუთრეს.

თუ მესაკუთრეს სურს მიიღოს სახლის ღირებულება, მაშინ მას ფულადი თანხები მიეცემა საბინაო სამშენებლო კოოპერატივის საპაიო ფონდიდან.

ასაღები შენობებისა და ნაგებობათა ღირებულება, რაც მოქალაქეებს უნდა აუნაზღაურდეს, გამოიანგარიშება საშენი მასალების მოქმედი საბითუმო ფასების, ტვირთხიდიის ტარიფებისა და მშენებლობაზე დასაქმებულ მუშათა

ხელფასის განაკვეთების მიხედვით, ამ შენობათა და ნაგებობათა გაცვეთის გათვალისწინებით.

უფრო რთული სამართლებრივი საკითხები აღიძვრის იმ შემთხვევაში, როდესაც მესაკუთრე მოითხოვს სამაგიერო საცხოვრებელი ფართობის მიღებას.

საბინაო სამშენებლო კოოპერატივის უფლება არ აქვს შეიძინოს ან დაიქირავოს საცხოვრებელი ფართობი ასაღები სახლის მესაკუთრისათვის. ამის გამო ასეთ პირებს საცხოვრებელი ფართობი უნდა მიეცეს საბინაო სამშენებლო კოოპერატივის სახლში.

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა რა პირობებში უნდა მიეცეს ბინის ფართობი ასაღები სახლის მესაკუთრეს?

მესაკუთრეს არ შეუძლია მოითხოვოს საბინაო სამშენებლო კოოპერატიულ სახლში საცხოვრებელი ფართობი პირადი საკუთრების უფლებით. არ შეიძლება აგრეთვე მესაკუთრეს საბინაო სამშენებლო კოოპერატივის სახლში საცხოვრებელი ფართობი მიეცეს დამქირავებლის უფლებით, რამდენადაც ეს ეწინააღმდეგება კოოპერატივის წესდებას.

ასაღები სახლის მესაკუთრეს, აგრეთვე სხვა პირებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ასაღებ სახლში არასწავლებ ერთი წლისა, საცხოვრებელი ფართობი ეძლევათ საპაიო შეტანის გარეშე. ამ პირთათვის მიცემული საცხოვრებელი ფართობის ღირებულება დაიფარება კოოპერატიული სახლის საერთო საპაიო ფონდიდან.

საბინაო სამშენებლო კოოპერატივის სახლში საცხოვრებელი ფართობი შეიძლება მიეცეს მხოლოდ კოოპერატივის წევრებს. ამის გამო, ჩვენის აზრით, ასეთ შემთხვევაში საბინაო სამშენებლო კოოპერატივის სახლში მისაცემი საცხოვრებელი ფართობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება გაფორმებული უნდა იქნეს მესაკუთრის სახელზე, როგორც კოოპერატივში შეტანილი პაი.

ასაღებ სახლში მცხოვრებ სხვა პირებს კოოპერატივის სახლში საცხოვრებელი ფართობი არსებული ნორმების მიხედვით მიეცემათ, როგორც კოოპერატივის წევრებს. ასეთ შემთხვევაში საპაიო შენატანი განისაზღვრება მისაცემი საცხოვრებელი ფართობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების რაოდენობით. ამასთან, ამ პირებს კოოპერატივიდან გასვლის (გარიცხვის) ან ბინის გადაცვლის შემთხვევაში საპაიო თანხები არ მიეცემათ.

საბინაო სამშენებლო კოოპერატივის შექმნის პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ასაღები სახლის მესაკუთრე და მასში მუდმივად მცხოვრები პირები ზოგჯერ კოოპერატივებს უყენებენ ვადიდებულ მოთხოვნებს საცხოვრებელი ფართობის მიღების ნაწილში. პრაქტიკაში იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ასაღები სახლების მესაკუთრენი და სხვა პირები მოითხოვდნენ ორჯერ და სამჯერ მეტ საცხოვრებელ ფართობს ვიდრე მათ ჰქონდათ დაკავებულ ასაღებ სახლებში. ასეთი მოთხოვნები ეწინააღმდეგება კანონს.

კანონით გათვალისწინებული წესი იმის შესახებ, რომ ასაღები სახლის მესაკუთრეს მიეცემა არსებული ნორმების მიხედვით ბინები, ხოლო ამ სახლებში მცხოვრებ სხვა პირებს — საცხოვრებელი ფართობი არსებული ნორმების მიხედვით, ჩვენის აზრით, გაგებული უნდა იქნეს ისე, რომ თუ აღნიშნული პირები ასაღებ სახლში სარგებლობდნენ საცხოვრებელი ფართობით არასწავლებ საბინაო სანიტარული ნორმისა, მათ საცხოვრებელი ფართობი უნდა მიეცეს არსებული საბინაო სანიტარული ნორმის მიხედვით. თუ დაკავებული ფართობი სანიტარულ ნორმაზე ნაკლებია, მათ საცხოვრებელი

ფართობი შეიძლება მიეცეს საბინაო სანიტარულ ნორმაზე ნაკლები სიღრმისა და სიგანისა. ამ შემთხვევაშიც მისაცემი საცხოვრებელი ფართობი არ შეიძლება იყოს იმ მინიმალურ ნორმაზე ნაკლები, რაც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერაა დადგენილი აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეების საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფისათვის.

თუ ასაღები სახლის მესაკუთრეს და სხვა პირებს აქვთ უფლება დამატებით საცხოვრებელ ფართობზე და ფაქტიურად სარგებლობდნენ კიდევ ასეთით, მათ საცხოვრებელი ფართობი კოოპერატიულ სახლში უნდა მიეცეს ამის გათვალისწინებით.

კოოპერატივისათვის მიწის ისეთი ნაკვეთის გამოყოფის დროს, რომელზეც აგებულია მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სახლები, სახელმწიფო საწარმოთა და დაწესებულებათა შენობები და ნაგებობანი, ამ ასაღები ობიექტების ღირებულება ჩამოიწერება აღმასკომების, საწარმოებისა და დაწესებულებების ბალანსიდან. ამ შემთხვევაში საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები გათავისუფლებული არიან ასაღები შენობებისა და ნაგებობანის ღირებულების ანაზღაურებისაგან და აგრეთვე იმისაგან, რომ საცხოვრებელი ფართობით დააკმაყოფილონ ამ სახლებიდან გადამასხვებული პირები, რომელთაც სამაგიერო საცხოვრებელ ფართობს აძლევენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები.

ასაღები სახლის მესაკუთრეს აუნაზღაურდება აგრეთვე მიწის ნაკვეთზე მოთავსებული ნარგავებისა და ნათესების ღირებულება. ასაღები შენობების, ნაგებობების, ნარგავებისა და ნათესების ღირებულებას განსაზღვრავს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მიერ შექმნილი კომისია, რომლის შეფასებას ამტკიცებს შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტი.

თუ მესაკუთრე არ ეთანხმება შეფასებას მას შეუძლია ათი დღის ვადაში საჩივრით მიმართოს შესაბამისად თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს (ქალაქ თბილისის რაიონებისათვის), სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს და საქართველოს ასსრ მინისტრთა საბჭოს.

სასამართლო ორგანოებს ამ საკითხის განხილვა არ ექვემდებარებათ.

განუხილად დავისვათ სოსილისჭუკი: კანონიერება

ა. ტაბიძე,

ქ. თბილისის პროკურორი

სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცება კომუნისმის მშენებლობის აუცილებელი პირობაა. კანონიერების განუხრელი დაცვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საპროგრამო მოთხოვნად იქცა.

„პარტია აყენებს ამოცანას, — ნათქვამია პარტიის პროგრამაში, — უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვა, აღმოიფხვრას მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევა, მოხდეს დამნაშავეობის ლიკვიდაცია, აღიკვეთოს მისი წარმომშობი ყველა მიზეზი“.

ბუნებრივია, რომ დანაშაულის ლიკვიდაცია შეუძლებელია თვითდინებით. საზოგადოების ყველა წევრის პრაქტიკულ საქმიანობაზეა დამოკიდებული ამ ამოცანათა განხორციელების დაჩქარება.

დანაშაულობათა ლიკვიდაციის ამოცანის წარმატებითი განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო აპარატის საქმიანობის სრულყოფას, პირველ რიგში ადმინისტრაციული ორგანოების ოპერატიულ და გამართულ მუშაობას.

ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს საქმიანობა მოღვაწეობის ყველა უბანზე, განსაკუთრებით დანაშაულითა წინააღმდეგ ბრძოლისა და სოციალის-

ტური კანონიერების განმტკიცების საქმეში.

ქ. თბილისის პროკურატურის ყურადღების ცენტრში დგას დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია, დანაშაულის თავიდან აცილების, ჩადენილი დანაშაულის გახსნის, მისი სრულყოფილად გამოძიებისა და სასამართლო ორგანოებში საქმეთა კანონიერად განხილვის საკითხები.

კარგად ორგანიზებული საპროკურორო ზედამხედველობა უზრუნველყოფს სისხლის სამართლის გამოძიების დროს სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვას. პროკურორები დროულად უნდა დაეხმობოდნენ ზომებს კანონის ყოველგვარ დარღვევებზე, ვისგანაც არ უნდა გამომდინარეობდეს იგი, იმაზე, რომ არც ერთი დანაშაული არ დარჩეს გაუხსნელი, ხოლო დამნაშავე დაუსჯელი.

ქალაქის პროკურატურის ხელმძღვანელობა თვალყურს ადევნებს იმას, რომ არც ერთი მოქალაქე არ მიეცეს უკანონოდ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, არ შეილახოს მოქალაქეთა კანონით დაცული ინტერესები.

მაგრამ ამ დარგში ჩვენს მუშაობას კერძოდ ვხვდებით არაბრალეული პირის დაუსაბუთებლად დაპატიმრებას, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას და სხ.

საქართველოს
საბჭოთაო
საგარეო
აღმსრებელი
ბიუროსი

კანონის მეტად უხემ დარღვევას წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმის უსაფუძვლოდ აღძვრა.

კალინინის რაიონის პროკურატურამ პასუხისგებაში მისცა ქეთევან ჯანაშვილი, რომელმაც 50 გრ. კატლეტი დააკლო მომხმარებელს. ჯანაშვილი სხვა დროს შემჩნეული არ ყოფილა მსგავს მოქმედებაში. მაშინ, როდესაც იმავე რაიონის პროკურატურამ მოსპო საქმე მიხეილ ცქიტიშვილისა და ვლადიმერ პაპავას მიმართ, რომლებმაც ქუჩაში დებოში ატეხეს, ჩაიდინეს ხულიგნობა, არ დაემორჩილნენ მილიციის თანამშრომლებს, გაუწიეს წინააღმდეგობა, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს მათ. აღნიშნული უკანონო დადგენილება გაუქმებულია.

შეცდომა გამოსწორებულია, მაგრამ მას შეიძლება ადგილი არა ჰქონოდა, თუ აღნიშნულ საქმეთა გამოძიებისას დაცული იქნებოდა საბჭოთა კანონი, თუ პროკურორი კეთილსინდისიერად შეასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას.

ასევე კანონის დიდი დარღვევაა მოქალაქეთა უკანონოდ დაკავება — დაპატიმრება. პირი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნეს აყვანილი პატიმრობაში, როდესაც დანაშაულის ხასიათით და მდგომარეობით ეს ღონისძიება აუცილებლობით არის ნაკარნახევი. ამასთან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის ყველა გარემოებანი, მათ შორის დაპატიმრების პიროვნება, მისი დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულის ქმედებასთან. ეს საკითხი ხშირად არის ჩვენი მსჯელობის საგანი და ტარდება მთელი რიგი ღონისძიებანი დარღვევების აღ-

მოსაფხვრელად. ყველაზე კარგი მაჩვენებელი ამ საქმეში აქვს ოქტომბრის რაიონის პროკურატურას.

სოციალისტური კანონიერების განუხრელად დაცვა და განმტკიცება, ბრძოლა დანაშაულობასთან შეუძლებელია პროკურატურის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს დაწესებულებათა და სასამართლო ორგანოებს შორის მტკიცე კონტაქტის არსებობის გარეშე. ამასთან ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ ორგანოთა ერთობლივი საქმიანობის დროს სათანადო დონეზე უნდა იდგეს პროკურატურის ორგანოების საქმიანობის სპეციფიკა. უნდა გვახსოვდეს, რომ პროკურატურა არის ზედამხედველი ორგანო ყველა უწყებათა, დაწესებულებათა, თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა მიერ კანონების ზუსტად შესრულებაზე.

საქმისათვის ნამდვილად სასარგებლო საქმე გაკეთდა ქალაქის საგამომძიებლო განყოფილების შექმნით, ამით უფრო გააქტიურდა რაიონული განყოფილებების მუშაობაზე ხელმძღვანელობა და კონტროლი, საქმეთა გამოძიების ჩარისხი.

მიუხედავად ამ ერთგვარი წარმატებისა ობიექტურად უნდა აღინიშნოს, რომ საგამომძიებლო განყოფილების საქმიანობა მნიშვნელოვანი წუნით ხასიათდება. ჯერ კიდევ ხშირია უხარისხოდ გამოძიებული საქმეების სასამართლოში წარმართვის, საქმეთა უსაფუძვლოდ გაჭიანურების, არაკანონიერად მოსპობისა და კანონის დარღვევის სხვა ფაქტები.

26 კომისიის სახელობის რაიონის საგამომძიებლო ქვეგანყოფილებას (გა-



მოძღ. ტაბატაძე) დაუბრუნდა დამატებითი გამოძიებისათვის ბალდარშვილის ბრალდების საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა ქარხნიდან 50 მანეთის ღირებულების აბზინდის ქურდობა. საქმის მასალების მიხედვით მისი ბრალი არ დადგინდა, რის შემდეგ საქმე წარმოებით შეწყდა.

ლენინის რაიონის საგამომძიებლო ქვეგანყოფილებამ (გამომძიებელი გაფრინდაშვილი) წარმოებით მოსპო სადოევის ბრალდების საქმე, რომელმაც ნაჯახით დაჭრა თავისი ყოფილი მეუღლე. რაიპროკურორმა აღადგინა აღნიშნული საქმე და გამოძიება დაავალა გამომძიებელ ღვინცაძეს, რომელმაც კვლავ წარმოებით მოსპო ეს საქმე. საქართველოს სსრ სწდს საგამომძიებლო სამმართველომ 1965 წლის 4 იანვარს კვლავ აღადგინა საქმე და გამოძიება მიანდო ქალაქის საგამომძიებლო განყოფილებას.

სამწუხაროდ, მსგავს ფაქტებს ადგილი აქვს ქალაქის სხვა საგამომძიებლო ქვეგანყოფილებებშიც. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ აქ ყველაფერი რიგზე არ არის, არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება საპროკურორო ზედამხედველობა, განყოფილებას საკმარის კონტროლს არ უწევს აგრეთვე რესპუბლიკის საგამომძიებლო სამმართველო.

პარტიულ და საბჭოთა ორგანოების დახმარებით, დანაშაულის წინააღმდეგ დიდ მუშაობას ეწევიან მილიციის ორგანოები, გაუმჯობესდა დანაშაულის გახსნის ხარისხი, მეტი ღონისძიება ტარდება პროფილაქტიკური მიზნით. ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მილიციის ორგანოებს მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ხარვეზები აქვთ.


ცნობილია, რომ დანაშაულის აღკვეთისათვის ძირითადია საქმის გახსნა, დამნაშავის გამოვლენა და მისი კანონიერად დასჯა.

საკმარისია აღინიშნოს, რომ დღეისათვის გაუხსნელია ისეთი საშინელი დანაშაული, როგორცაა ჯავახიშვილის მკვლელობა, რომლის დამწვარი თავი აღმოაჩინეს ორჯონიკიძის რაიონში.

გაუხსნელია აგრეთვე ისეთი დანაშაული, როგორცაა № 3 მაცივირიდან დიდი რაოდენობის პროდუქტების გატაცების ფაქტი და სხვ.

თუ რაოდენ ცუდად ტარდება დამნაშავეთა ძებნა, შეიძლება დავასახელოთ ერთი მაგალითი: 1964 წლის ივნისის თვეში მოკლეს წესიერი ახალგაზრდა, ცნობილი სპორტსმენი ადგიშვილი, რომლის მკვლელობაში ქაჯაიასთან, მაღალაშვილთან და სხვებთან ერთად მონაწილეობდა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გ. დ. ბაქანიძე. იგი მიმალვაშია და დღემდე არ არის დაქმნილი.

ვანსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროკურატურის ზედამხედველობას სამართლო ორგანოების საქმიანობაზე. გასულ წელს ქალაქის პროკურატურის მიერ შესწავლილ იქნა სსსამართლო პრაქტიკა გაფლანგვა-მტაცებლობის, სპეკულაციის, ავტო-ავარიის და რიგ სხვა კატეგორიის საქმეებზე, შემოწმდა აგრეთვე განაჩენების, გადაწყვეტილებების აღსრულების, ვადამდე პირობით განთავისუფლების საკითხები და სხვა. განაჩენების უმეტესობა გაუქმებულია დანტერესებულ პირთა საჩივრებით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ როგორც სჩანს ზოგჯერ პროკურორისა და მათთანაშემწეების გამოსვლები პროცესზე



ფორმალურ ხასიათს ატარებს. საქმეები, რომლებიც გაპროტესტებას ექვემდებარება დატოვებულია პროტესტის გარეშე, ხოლო პროკურორის მონაწილეობის გარეშე განხილული საქმეები არ ისჯება საკასაციო ვადებში.

ოქტომბრის რაიონის სახ. სასამართლომ 1964 წლის 20 თებერვალს წარმოებაში მიიღო გ. ედიგაროვის საქმე, რომლის ქმედობა დაკვალიფიცირებული იყო საქართველოს სსრ სსკ 141 მუხლის მესამე ნაწილით. საქმე დაინიშნა მოსასმენად 6 მარტისთვის, გადაიდო 25 მარტისათვის, ამის შემდეგ გადაიდო შვიდჯერ. საბოლოოდ გასული წლის 7 ივლისს საქმე შეაჩერეს ბრალდებულის გამოუცხადებლობის გამო. 23 ოქტომბერს განახლდა საქმე, მაგრამ სასამართლომ ბრალდებულის მოთხოვნით აიცილა საქმე და გადასცა 26 კომისრების სახ. სასამართლოს. ამ უკანასკნელმა განიხილა საქმე და ედიგაროვს მიუსჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქმეში არსებული მასალებით დადასტურდა, რომ ედიგაროვმა უხეშად დაარღვია მოძრაობის წესები, მანქანა დააჯახა ავტობუსს და დააზიანა 4 მგზავრი, რომელთაგან ერთმა მიიღო მძიმე კატეგორიის, ერთმა ნაკლებად მძიმე და ორმა მსუბუქი კატეგორიის დაზიანება. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ანალოგიური ქმედობისათვის ედიგაროვს 1962 წლის თებერვალში ერთი წელი ჰქონდა მისჯილი, ხოლო 1959 წელს პასუხისმგებლობაში იყო ნამყოფი 1958 წლის 16 მარტის ბრძანებულებით და შემთხვევის დღეს მანქანას მთვრალი მართავდა, ცხადია ეს განაჩენი ლმობიერია. პროცესზე მონაწილე პრო-

კურორს (ამხ. არობელიძეს) ამაზე რეაგირება არ მოუხდენია.


პირველი მაისის სახალხო სასამართლომ გ. წ. 9-13 ოქტომბერს განიხილა ამირიანის ბრალდების საქმე (მოსამ. ნამორაძე) რომლის ქმედობა დაკვალიფიცირებული იყო საქართველოს სსრ სსკ 17-105 მუხლებით.

ამირიანის დანაშაული სასამართლომ დააკვალიფიცირა სსკ 110 მუხლის 1 ნაწილით და მიუსჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, მაშინ, როდესაც საქმის მასალებით დადგენილია, რომ ამირიანი 28 ივნისს სანიკელე საამქროში დღის 11 საათზე წაეჩხუბა დაზარალებულს, მათ ერთმანეთს მიაყენეს შეურაცხყოფა და შემდეგ დასცილდნენ ერთმანეთს. იმავე დღის 18 საათზე, არაფხიზელ მდგომარეობაში ამირიანი დაბრუნდა საამქროში და დაზარალებულს უკანადან ჩაარტყა დანა, დაუზიანა ფილტვის ქსოვილები, რითაც მიაყენა სიცოცხლისათვის საშიში სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება.

მიუხედავად იმისა, რომ პროცესზე მონაწილე პროკურორმა ამხ. ურუშაძემ მოითხოვა ამირიანის ქმედობის დაკვალიფიცირება სსკ 17-105 მუხლებით და მისთვის 7 წლის თავისუფლების აღკვეთის მისჯა, განაჩენი არ გაუპროტესტებია. აღნიშნულზე მხოლოდ ქალაქის პროკურატურამ დაწერა წარდგინება.

ასეთი ფაქტები, სამწუხაროდ არც ისე ცოტაა. როდესაც აშკარად უკანონო განაჩენები გაპროტესტებული არ არის, მოსამართლეებთან ერთად პასუხი პროკურორებმაც უნდა ავიწიო.

დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც პროფილაქტიკური ღონისძიება, დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოე-



ბა-დაწესებულებაში გასვლითი პროცესების მოწყობას, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ჩაბმას ამ საქმეში. ეს კი ფორმალურ ხასიათს არ უნდა ატარებდეს, იგი ნამდვილად საჩვენებელი უნდა იყოს.

შეიძლება ითქვას, რომ გასულ წლებთან შედარებით ამ მხრივ საქმე გაუმჯობესებულია. 1964 წელს 433 საქმე განხილულია გამსვლელ პროცესზე, აქედან 422 საქმეზე პროკურორი მონაწილეობდა. ამ მხრივ კარგი მაჩვენებლები აქვთ ქ. თბილისის პირველი მაისის, ოქტომბრისა და 26 კომისრის რაიონებს.

საზოგადოებრივი ბრალმდებლის მონაწილეობით განხილულია 203 საქმე, რაც ვერ ჩაითვლება საკმარისად და გავალისწინებულ უნდა იქნას შემდგომ მუშაობაში.

როგორც ზემონათქვამიდან ჩანს ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ნაკლოვანებებს. ეს ავალდებულებს პროკურატურას სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად გამუდმებით სრულყოს მუშაობის ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები, მიაღწიოს ახალ წარმატებებს სოციალისტურ კანონიერების შემდგომ განმტკიცებაში.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ღ ე ბ ე

საქართველოს სსრ საკაბითო წოდებების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში მიღწეული წარმატებებისათვის, ქალთა საქართაფორისა დღის 8 მარტთან დაკავშირებით მიენიჭეთ საქართველოს სსრ დამსახურებული იურიისტი საკაბითო წოდება:

1. არზიანს ლუბა დიანოზის ასულს — თბილისის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო მოსამართლეს.
2. არხანგელსკაიას ოლღა მიხეილის ასულს — საქართველოს სსრ პროკურორის უფროს თანაშემწეს.
3. დადიანს თამარ გრიგოლის ასულს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის უფროს კონსულტანტს.
4. ლომთათიძეს ნატალია ერმილეს ასულს — პენსიონერს.
5. სიმონიშვილს ციციწო მიხეილის ასულს — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორს.
6. ცაგურაის თამარ დიმიტრის ასულს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს.
7. ჯაფარიძეს ტოსია მიხეილის ასულს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე

თბილისი, 1965 წლის 6 მარტი.



რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი ქალები

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ქალი ცრემლს ღვრიდა და წყევლიდა თავის მწარე ხვედრს.

ახლა საბჭოთა ქალი—კომუნისტების აქტიური მშენებელია. გაიზარდა ქალის მოღვაწეობის, მისი შრომისა და შემოქმედების სარბიელი.

საბჭოთა ქალები და მათთან ერთად ქართველი ქალები მისაბამ მაგალითს იძლევიან ყველა უბანზე, მათ შორის იურიდიულ დარგშიც.

მართლმსაჯულების ღმერთად ძველ საბერძნეთში ითვლებოდა ქალი—თემიდა, რომელიც სამართალს სასწორზე წონიდა, დღეს ქალი—მართლმსაჯულების მსახური—მითიდან და ზღაპრიდან სინამდვილედ იქცა. საყოველთაოდ ცნობილია ქალი—მოსამართლე, ადვოკატი, პროკურორი, გამომძიებელი, სახელმწიფო არბიტრი, ნოტარიუსი, მრავალია იურისტი ქალი—მეცნიერმუშაკი.

საამაყო, რომ სსრ კავშირში პირველად—საქართველოს იურისტი ქალებს მიენიჭათ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება.

მკითხველებს მოკლედ ვაცნობთ მათ მოღვაწეობას.

ლ. არზიანი

დარბაზში თავშეკავებული ლაპარაკია. ზოგი ნერვიულობას ვერ მალავს: ერთ ადგილას უფრო მეტ ხალხს მოაუყრია თავი. ისინი ხმამაღლა მსჯელობენ. მოულოდნელად ხმაური წყდება. დარბაზში შემოდის სასამართლოს შემადგენლობა. მოსამართლე ლუბა არზიანი სასამართლო პროცესს გახსნილად აცხადებს.



როცა მოსამართლეს ან გამომძიებელს აკვირდები ყოველთვის ცდილობ მათში ამოიკითხო რაღაც მკაცრი, უხილავი, შენთვის უცნობი თვისება, რომელიც მხოლოდ მათ ახასიათებთ. სინამდვილეში ეს „უხილავი, თავისებური“ მუდამდგება მათ ყოველდღიურ რთულ საქმიანობაში.

ლ. არზიანს დინჯად მიყავს პროცესი. მის მშვიდ და სათნო სახეს ოდნავშესამჩნევი ადრევება ეტყობა.

საოცარია, აი უკვე სამი ათეული წელია თითქმის ყოველდღე შედის იგი სასამართლო დარბაზში და ის დიდი განცდა, პირველი განაჩენის გამოტანისას, რომ მიიღო თან დაჰყვა.

შემოსვლისთანავე მარცხნივ გაიხედა. ბრალდებულის სკამზე ახალგაზრდა ყმაწვილი ზის.

რამ მიიყვანა ის დამნაშავეს სკამამდე?

კვირა დღე მეგობრებმა ერთად გაატარეს და აბა რა დროსტარება იქნებოდა ვარსკვლავიანი კონიაკებით ბედის ვარსკვლავების და სხვათა სადღეგრძელოები არ ესვათ. იქნებ სანშობლოს სასმისიც შესვს?! ქუჩაში გამოვიდნენ „ვაჟაკები“. სხეულში ენერგია მოჭარბდათ და ერთერთმა მათგანმა

კვირადღე რატომღაც სრულიად უდანაშაულო ქალიშვილის ფიზიკური შეტყუარადაც დაამთავრა.

არაფერი არ ახსოვს. ახლა ის საბრაღდებო სკამზეა.

დარბაზი თითქოს ორ მტრულ ბანაკად არის დაყოფილი, ერთ მხარეს ბრაღდებულის გულშემმატკივრები არიან, მეორე მხარეს დაზარალებულის.

პროცესი მიმდინარეობს. ბევრი ითქვა.

...იცნობდი იმ გოგონას შეურაცყოფა რომ მიაყენე, სცემე, დაუშავებია შენთვის რამე?!—გაისმა მოსამართლის მკაცრი, ფოლადნარევი ხმა.

— იცი რომ იგი ახლა საავადმყოფოში სავალალო მდგომარეობაში წევს?

— დიახ ოდნავ გამოსკრა...

სცობ თავს დამნაშავედ?

ბრაღდებული ერთხანს სდუმს, შემდეგ თავს მალლა სწევს და ორი წყვილი თვალი პირისპირ უყურებს ერთმანეთს.

მისი ტიუჯი გამოხედვა სინანულს გაუტეხია.

— დიახ, ეცნობ.

ლუბამ იგრძნო, რომ ეს თანხმობა ლიტონი სიტყვა არაა, რომ ამ სიტყვებს იქით გაჩნდა სინანული, რომელიც მართალ გზას დაანახებებს მას.

მოსამართლემ ღრმად იწამა, რომ ეს ახალგაზრდა საბრაღდებო სკამზე აღარ მოხვდება.

კიდევ ერთი კეთილი ზეგავლენა, კიდევ ერთი გამარჯვება.

მისი გამარჯვება, მისი სიხარული ხშირად მზიან-ჩრდილიანია; ჩრდილიანი იმიტომ, რომ რაც არ უნდა იყოს გული ოდნავ გაგკენწლავს, როცა იცი რამდენიმე წლით დედას შეილი მოწყვეტე, სატრფოები დაშორე ერთმანეთს, მაგრამ დანაშაული?! ამის მოტეგება არავის ებატებდა! მზიანი იმიტომ, რომ გზასაცდენილი ღრმად ჩახედა თავისთავში, სიმართლის ფასი დაანახა და მომავალში ცხოვრებისათვის თვალი გაასწორებინა.

ხშირად ლუბა ისე წარმართავს პროცესს, რომ ბრაღდებული მორალურად თვითონვე ხდება თავისი განაჩენის გამომეტანი. უპრეცედენტო არაა შემთხვევა....

შრომა თავიდანვე შეიძლოა მ. ვ-ძემ. სწავლაზე გულაცრუებულმა ვერსად ვერ მოიკიდა ფეხი. საქმეს ვერ შეეწყო.

აბა მუშაობა რა ჩემი საკადრისიაო ირონიულად იღიმებოდა. მშობლების ნაოფლარის განიავებას კი სიამოვნებით კადრულობდა. სახლში ჩხუბობდა, ამტვრევდა. ითმენდა მშობელი, რცხვენოდა. გამოსწორებას იმედოვნებდა. ოჯახს მოეკიდა. „სიყვარული ქორწინებით დაავგირგვინა და დროებით დაწყნარდა. მალე კი ისეთი გზით დაიწყო ცხოვრება, რომლის დასასრული მხოლოდ სასამართლოა.

გარეთ უცნობებს შეურაცყოფდა, სახლში დედას და ცოლს. ბოროტმა ინერციამ იარაღი ააღებინა ხელში, კინალამ შემოაკვდა სრულიად უდანაშაულო.

და მალე მართლმსაჯულების წინაშე წარსდგა.

მთელი მისი ცხოვრება იყო რაღაც შავი ძალა, რომელიც მართავდა მ. ვ-ძეს, ან ეს შავი ძალა ჩაითრევდა დაახრჩობდა ან მასზე უფრო ძლიერს უნდა დაემარცხებინა იგი.

მოსამართლე წამით სდუმს. მის გონებაში იკვეთება აზრები. აღამიანი

არ იზადება ასეთი ცუდი. ამ დროს კეთილი ნებანი არ მოქმედებს, მაგრამ საერთოდ ხომ არც უამისობაა.

ბოლოს და ბოლოს კაცი არა ხარ კაცი?

წყნარად შეეკითხა ბრალდებულს.

მ. გ-ქს თითქოს ჭრილობა ეტკინაო სახე შეეცვალა, მაგრამ არაფერი არა თქვა.

მოსამართლე ლუბა არზიანმა განაჩენი გამოიტანა.

* * *

გაზაფხულის ჩუმი, ნაზი საღამოა. ოდნავ ნესტიანი თბილი ჰაერი გაყუჩებულიყო და ნიაგის მოლოდინში სთვლემდა.

ლუბა არზიანი სახლში მიდის. ოდნავ დაღლილია, მაგრამ ეს დაღლაც მას გარკვეულ სიამოვნებას ანიჭებს, ამას დიდი გამართლება აქვს: იგი ადამიანებს სჭირდება და უნდა არგოს.

გზას მიჰყვება...

რამ თოვოა ამდენი ია, გულში გაიღიმა ბოტანიკური ბაღიდან თაიგულებით ხელში მომავალ ახალგაზრდებს რომ მოავლო ფვალი.

ანაზად, თავის ახლო წარსულზე შეაჩერა ფიქრებმა.

ადამიანის ცხოვრებაში შეუმჩნეველად გაიკრიფება დღეები, წლები და რაც ერთი წუთით შეყვანდები, განვლილ გზას თვალს გადაავლებ, გაცოდები, გაიკვირებ რა დრო გასულა?! მოგონებები რიგრიგობით ჩამწყვირდებიან დროჟამის გაბმულაზე.

არც ისე დიდი ხანია, მოკრძალებით რომ შეაღო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კარები და სწავლას დაეწაფა. მალე ვაჟი შეეძინა. ქალის ცხოვრებაში კი არ არსებობს იმაზე უბედნიერესი წუთი ვიდრე დედად გახდება. ამ გახსენებამ ერთბაშად შეარჩია სათუთ მოგონებათა სიმი, საოცარი სხივი შემატა ქალს. ეშხი და სითბო ჩაუყენა თვალებში.

მუშაობის პირველ დღიდანვე დაუღალავად შრომობს, ყველა გაჭირვებულს ხელს აწვდენს საიმედოს და მართალს.

პირად ფოსტასაც შეავლო უმალ თვალი. აი ერთი ბარათი მრავალთაგანი: ქალბატონო ლუბა! ჯერ ვერ ვბედავდი, თქვენთან წერილის მოწერას, მაგრამ სურვილმა მძლია. გავიძნელებათ ჩემი გახსენება ან რა სამახსოვრო ვარ თქვენ გამასამართლეთ რამდენიმე წლის წინ. ამ სიტყვებით მაინც მიცანით პროცესზე რომ მითხარით: კაცი არა ხარო? მე ვერ აგიწერთ, როგორ იმოქმედა ამან ჩემზე... სასჯელი მოვიხადე, ბიჭი მყავს, ოჯახში სიამოვნება გვაქვს, ვმუშაობ, მენდობიან. მე მინდა ისეთი გავხდე რომ ჩემს შვილზე თქვან კაცის შვილიაო.

ახსოვს, როგორ არ ახსოვს ის ყმაწილი, რომლის ბედზე არა ერთხელ ჩაფიქრებულა მოსამართლე.

გზა განაგრძო.

მიდის ცხოვრების დიდ გზაზე ლუბა არზიანი, ბევრისათვის შეუმჩნეველად, შრომობს, იღწვის, ეძიებს ყოველდღიურად და რამდენი გატაცებაა მის ყოველდღიურობაში.

ბედნიერია ადამიანი, რომელსაც მიუხედავად სიძნელებისა არ ეშინია

უკან გახედვის, იგი წინ თამამად იყურება, თვალს ვერ აწვდენს გზის დასასრულს ლიერს.

აღმართს აუყვამოვალა გეგმებისა და უფრო შორი მიზნების თანაზიარი.

მ. არხანგელსკაია

საქართველოსადმი სიყვარულის დიდი გრძობის გაღვივებას კეთილი ხალხის გულთბილმა მისპინძლობამ შეუწყო ხელი. მშობლიური ყველაფერი ლამაზია, მაგრამ საქართველო? ისიც ხომ მშობლიურად შეხვდა სრულიად ახალგაზრდა გოგონას, ოღონდ მიხეილის ასულ არხანგელსკაიას, შეხვდა და ისიც შეეისხლხორცა ქართველ ხალხს, შეეყვარა და გაიზიარა მათი ჭირ-ვარამი, მისი პროტესტაც ხომ უშუალოდ ხალხთან სიახლოვეს მოითხოვდა.

...დაიბადა კიროვბაღში, აზერბაიჯანის სსრ-ში, პედაგოგის ოჯახში. დაამთავრა აზერბაიჯანის უნივერსიტეტი და 1936 წელს მიიღო იურისტის წოდება. თავდაპირველად ქ. ბაქოს პროკურატურის გამომძიებლად იწყებს მუშაობას, შემდეგ იმავე ქალაქში, გოროშილოვის რაიონის გამომძიებლად, 1939 წელს სრულიად ახალგაზრდა ჩამოდის ქ. თბილისში და საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურაში სავამომძიებლო განყოფილების გამომძიებლად იწყებს მუშაობას. 1942 წლიდან საქართველოს სსრ პროკურატურაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელია. 1950 წ. საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწეა, ხოლო 1952 წლიდან მუშაობს საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორის უფროს თანაშემწედ.

სანიმუშო მუშაობისათვის რამდენჯერმე აქვს გამოცხადებული სსრ კავშირის გენერალური პროკურორის და საქართველოს სსრ პროკურორის მადლობა, მიღებული აქვს ფასიანი საჩუქრები.



მ. დადიანი

სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოლბერაციულ ორგანიზაციებს შორის სამეურნეო დავებს რესპუბლიკაში მხოლოდ ერთადერთი ორგანო—სახელმწიფო არბიტრაჟი იხილავს.



ძნელია, ასრულებდე ასეთ საპასუხისმგებლო საქმეს და ყოველთვის თანაბრად გქონდეს შენარჩუნებული მეტად ქალური, სათუთი, ხასიათი, არ იმზნევედ აღელვებას. სწორედ ასეთია თამარ დადიანი.

.....იურიდიული განათლება 1930 წელს მიიღო. ახალბედა იურისტმა თეორიული ცოდნა პრაქტიკით გააღრმავა. გონებაგახსნილმა, დაკვირვებულმა ქალიშვილმა როგორც სწავლით, სამაგალითო შრომითაც ყურადღება მიიქცია. პირველად ამიერკავკასიის ცაკთან არსებული საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართ-

ლის ინსტიტუტის ინდექსატორად იწყებს მუშაობას, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის ცაკის კონტროლიორ-შემსრულებლად. 1932—1933 წლებში თამარ დადიანი თბილისის პირველი მაისის რაიონის გამომძიებელია, ხოლო 1933—1938 წ. ადვოკატთა კოლეგიის წევრი. 1938 წლიდან დღემდე კი საქართველოს სსრ სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი კონსულტანტია. იგი კონსულტაციას უწევს აგრეთვე არბიტრებს, მონაწილეობს სემინარებში, ხელმძღვანელობს სახელმძღვანელო ჯგუფს.

თამარ დადიანი არის საქართველოს სსრ ახალი სამოქალაქო სამართლის კოდექსის შემმუშავებელი კომისიის წევრი.

მისაბაძი შრომისათვის რამდენჯერმე აქვს მადლობა გამოცხადებული, მიღებული, აქვს მედალი „1941—45 წ. დიდი სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“, დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.


6. ლომთათიძე

ძილი გაუკრთა, ღამე თეთრად გაათენა ნატალია ერშელეს ასულმა. დიდი მოვალეობა დააკისრეს. საქართველოს სსრ პროკურატურის არასრულწლოვანთა საქმეების განყოფილების უფროსად დანიშნეს. ბავშვების აღზრდა ქალს თვით ბუნებამ დააკისრა, მაგრამ სხვისი შვილები? ყველა ბავშვს სხვადასხვა ხასიათი აქვს, სხვადასხვა მიდგომას საჭიროებს... შეძლებს კი?...



ეს იყო 1949 წელი. გამოუცდელივით არ აიხსნებოდა მისი აღელვება. ნატალია ლომთათიძე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილეა. 1919 წლიდან ბოლშევიკური პარტიის წევრია, ხოლო 1920 წელს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის პლენუმის გადაწყვეტილებით ბაქოში ჩამოყალიბებულ ქართველ ბოლშევიკებით დაკომპლექტებულ პირველ ქართულ მუშურ-გლეხური პოლკის წევრად იქნა არჩეული. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ბაქოს მეთერთმეტე არმიასთან ჩამოყალიბებული ქართველი პოლკის წერა-კითხვის მასწავლებლად მუშაობს. სერგო ორჯონიკიძის დავალებით ბევრჯერ უმოგზაურია არალეგალურად მენშევიკურ საქართველოში, პარტიულ ორგანიზაციებთან კავშირის დასამყარებლად, ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშაობას განაგრძობდა პარტიულ და საბჭოთა აპარატში აჭარაში, ბაქოში, გურიაში, თელავში, ჭიათურასა და თბილისში. არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ, პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის გენერალური პროკურორის და საქართველოს სსრ პროკურორის ბრძანებით მადლობა დაიმსახურა, დაჯილდოებულია ფასიანი საჩუქრით.

...ტყუილად შეაკრთო ნატალია ლომთათიძე იმ ვარემოებამ, რომ გზას-აცდენილ ბავშვთა ბედი მიანდეს, ვინ მოთვლის რამდენი დედის სახარულის ცრემლებით გაბრწყინებული თვალები მოაგონდება, რამდენი მოზარდი დაუყენებია სწორ გზაზე, რამდენ მშობელს მისი შემწეობით შვებით ამოუსუნთქავს.



იუსტიციის დარგში მუშაობას დროს იგი არც საზოგადოებრივ საქმიანობას ივიწყებდა. იყო საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიისა და პარტიურის წევრი, თავის მდიდარ გამოცდილებას პრესის საშუალებით უზიარებდა ხალხს.

ხანშიშესულ, თმადათოვლილ, ამაგდარ ადამიანს დაუფასეს ამაგი.

ახლა ნატალია ერმილეს ასული ლომთათიძე პერსონალური პენსიონერია, მაგრამ მაინც მუდამ ხალხთანაა და ყოველთვის ხალხით უზიარებს თავის გამოცდილებას ახალგაზრდა იურისტებს.

ც. სიმონიშვილი

მისი შემოხედვა, მასთან საუბარი ყოველთვის უჩვეულო სითაბოს გაგრძობინებს, ამ სითბოს კი კეთილი გული უკარნახებს. მას ხომ სისხლის სამართლის დამნაშავეებთან აქვს აკამე. კეთილ გულს და რჩევას კი ბევრი დამნაშავე



სწორ გზაზე დაუყენებია, ამის გახსების დროს სახეზე ნათელი ღიმილი მოეფინება, მაგრამ ხშირად მის თვლებს ფიქრი დანისლავს, რაც უმეტესად დამნაშავეს საქმის შესწავლის დროს ხდება.... მუდამ ასეთ აზრთა ჭიდილშია საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი ციცილია მიხეილის ასული სიმონიშვილი.

ჯერ კიდევ 1926 წლიდან დაიწყო შრომითი საქმიანობა. პირველად ჯერ სამომხმარებლო კოოპერაციის ადგილკომის მდივნია, იყო ახალსოფლის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელი, ყვარლის რაიონის საბავშვო ბაღის გამგე. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაქაავრების შენდევ 1936 წლიდან კი მუშაობას იწყებს ჯერ ადვოკატურაში სტაჟიორად, შექდეგ გამოძიებლად და რაიონის პროკურორის თანაშემწედ. ცაცინო სამონაშვილი იყო აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, ხოლო 1952 წლიდან — დღემდე მუშაობს საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეებზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორად.

შრომისმოყვარე მუშაკს კეთილსინდისიერი მუშაობისათვის რამდენჯერმე აქვს გამოცხადებული საქართველოს სსრ პროკურორის მაღლობა.

თ. ცაგური

პატარა გოგონა გატაცებული, გაბრწყინებული სახით კითხულობდა მამის—დუტუ მეგრელის ლექსს— „მე პატარა ქართველი ვარ... შემდეგ უკვე მოზრდილს. ბევრჯერ სახე მოღრუბლია და მის თვლებში ცრემლებიც აკიაფებულა დედის, ცნობილი მწერლის ანასტასია ერისთავი—ხომტარიას რომანების „მოლიბულ გზაზე“ და „ბედის ტრიალის“ კითხვის დროს.

პატარაობიდანვე შეიყვარა ადამიანი, ფიქრს ადამიანის ბედნიერებაზე საფუძველი ჩაეყარა სტუმართმოყვარე ოჯახში და აი თამარ დიმიტრის ასული ცაგურია თბილისის ქალთა მე-4 გიმნაზიის





ოქროს მედლით დამთავრების შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია.

...და ისევე ხალხს უბრუნდება. ახლა უკვე შეუძლია ხალხს გაჭირვებაში მოეხმაროს—იგი იურისტია. თავდაპირველად სახალხო სასამართლოს მდივანია, შემდეგ ადვოკატურაში იწყებს მუშაობას, 1937 წლიდან 1942 წლამდე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს კონსულტანტ—რეფერენტი, შემდეგ იმავე მოვალეობას ასრულებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში. მალე საქართველოს სსრ პროკურატურის სამოქალაქო სამართლის განყოფილების პროკურორად ნიშნავენ, შემდეგ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოდიფიკაციის განყოფილების უფროსად. 1954 წელს ირჩევენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად. ამავე წლიდან არის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრი, ხოლო 1957 წლიდან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეა.

წელთა სიმრავლე გულს არ დატყობია. იგი კვლავ ახალგაზრდული ენერგიით ემსახურება ხალხს.

თამარ დიმიტრის ასული ცაგურია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ნეკნიერ თანამშრომელია, არის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის უტატგარეშე კონსულტანტი და მონაწილეობას იღებს საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში.

თავისი მუშაობის მანძილზე მას ბევრჯერ გამოეცხადა მადლობა, დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

ტ. ჯაშარიძე

მას თავისი კეთილი საქმით ბევრი ოჯახის კარი შეუღია, მრავალი ოჯახისთვის მყუდროება დაუბრუნებია, ბევრი ბავშვისთვის—დედა და მამა. მაგრამ იცნობს ოჯახებსაც, რომლის ბედნიერება თუ



დაირღვა, ყოველგვარი კეთილი რჩევა ამოა. რა უთხრას ასეთ ოჯახის წევრებს, რა ურჩიოს მათ, რა პასუხი გასცეს ბავშვებს? იქნებ ჯობია დაფიქრდნენ, ოჯახის ფუძე შეილები ბედნიერებისთვის გაამაგრონ, მაგრამ თუ ფუძე საგრძნობლად შერყეულია, იქნებ მოშლილიც, მაშინ... მაშინ თანხმდება განქორწინებაზე.

მოაწესრიგო ოჯახის წევრთა ურთიერთობა, უფრო ძნელია, ვიდრე ის, რომ დახმარება გაუწიო წყვილებს შექმნან ახალი ოჯახი, კეთილი ურთიერთობის აღდგენა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. სწორედ ეს საქმე აკისრია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს ტ. ჯაშარიძეს.

შრომითი საქმიანობა მან ჯერ კიდევ 1931 წლიდან დაიწყო. მუშაობდა კომკავშირის დუშეთის რაიკომის პიონერთა ორგანიზაციის განყოფილების გამგედ. 1935 წ. ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ირჩევენ ქ. თბილისის ლენინის რაიონის გაერთიანებული სასამართლოს მოსამართლედ, ხოლო 1937—41 წლებში უმაღლესი სასამართლოს წევრად. 1941—51 წლებში ჯერ თბილისის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო მოსამართლეა, ხოლო შემდეგ კი 1 მაისის სა-

ხალხო მოსამართლე, შემდეგ თბილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

მაგრამ ყველაზე კეთილშობილურ საქმედ ტოსია მახვილის ასული ჯაფარიძე მაინც დღევანდელ საქმიანობას თვლის. იგი მჭიდრო კავშირშია ადამიანებთან. თუ ოჯახს საფუძველი აქვს შერყეული, ცდას არ აკლებს, რათა შეუნარჩუნოს ადამიანებს ოჯახური ბედნიერება.

კეთილსინდისიერი მუშაობისათვის მრავალჯერ აქვს მიღებული სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მადლობა, ფულადი ჯილდო.

დოდო ნადირაძე,

ლონდა ჭანტუჩია

შეხვედრები

კვასისა შხაშა

(ნამდვილი ამბავი)

ონისა და ჯავის რაიონების საზღვართან ახლოს, ხრამში, ნაპოვნი იქნა ახალგაზრდა ინჟინრის, გიორგი პლატონის ძე მელაშვილის დასახიჩრებელი გვამი. იგი 1960 წლის 3 მაისს მხეცურად მოკლეს ჯავის რაიონში. საიდუმლოებით მოკლული მკვლელობა გაიხსნა, მკვლელები გამოაშკარავდნენ.

1

იმ დღით ჩვეულებრივზე ადრე გამოიღვიძა ნანა სულაძემ. თხელი კაბა გადაიცვა, თმა შეისწორა და აივანზე გამოვიდა.

ზაფხულის მშვენიერი დილა იყო. ცაზე დრუბელი არ ჩანდა. მზე ახლად ამოსულიყო. სისოგან აშრიალემული ჭადრები ერთმანეთს ეწურჩულებოდნენ. მამლების თავგამოდებული ყვირილი ახალი დილის დადგომას იუწყებოდა. დედა უფრო ადრე ამდგარიყო, საქონელი გომურთან გამოეშვა და საგზალიც მიემზადებინა; ნანასაც არ დაუყოვნებია, სასწრაფოდ დაეშვა კიბეზე, მესობლებს გადასძახა, საქონელი წინ გაიგდო და დღინით უკან მიჰყვა.

რადაც უცნაური გრძნობა დაუფლებოდა ნანას. გუნდელი დღე მოაგონდა. გული აუჩქროლდა, ჯიბეზე ხელი მოისხა. წერილი კინაღამ ქარმა წაართვა. მერამდნედ კითხულობდა; სახეზე ღიმილი არ შორდებოდა...

ახლა და შეამჩნია თუ რა დიდი გზა გაეგლო. საქონელი ასე შორს არასდროს წამოუყვანია. წერილი დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო. მასარას დაუძახა, არსად გამოჩნდა. არა და თან რომ წამოყვა, ის კი ახსოვდა. უცებ გაბმული ყმული მოესმა. ფერდობი ჩაირბინა. შარავჯასზე ძაღლს მოკრა თვალი, ერთ ადგილზე იდგა და გაბმით ყმუოდა. როგორც კი პატრონი დაინახა ადგილიდან მოწყდა და პირდაპირ ხრამში დაეშვა. ანიკო მის კვალს მიჰყვა, ბურქებსა და ვკალ-ბარდებში ძლივს იკვლევდა გზას. უცებ შედგა და... შიშით თვალები გაუფართოვდა. ერთი კი შეჰკივლა და ალბათ უგონოდ იქვე დაეცემოდა, რომ ისევ მასარას ყვეს არ გამოეფხიზლებინა. ბურქებში მამაკაცის გვამი ეგდო.

2

ერთ საათში სოფელი ირი ფეხზე დადგა. მილიციას შეატყობინეს, რაიონის პროკურატურამიც დარეკეს. სოფლის თავაკები მათ მოსვლამდე გვამს ახლოს არავის აკარებდნენ. მკვდარი ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო, მისი ცნობა კი ყველას გაუჭირდებოდა. ეტყობოდა დიდინის მკვდარი იყო, გარდა ამისა თავის ქალა სულ გატყეცილი ჰქონდა.

მაღე პროკურატურიდანაც მოვიდნენ. დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი და მისი ფოტოგრაფირება მოახდინეს.

ეტყობოდა მკვლელობა გაძარცვის მიზნით ჩადინათ. შარვლის, პიჯაკის და პალტოს ჯიბეები ამობრუნებული და დაჭრილი ჰქონდა, საათის ჩასადები ჯიბეც კი ამოებრუნებინათ და დაეტრათ. მკვდარ პიროვნების დამადასტურებელი საბუთი არ აღმოჩნდა. ეჭვს არ იწვევდა ის, რომ გვამი ხრამში მკვლელობის შემდეგ იყო გადადგმული.

მოკლული ონის რაიონის საავადმყოფოში გადაიტანეს.

სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევით დადგინდა. რომ სიკვდილი გამოწვეული იყო თავის ტვინის დაზიანებით, თავის არეში რამდენიმე ადგილას ბლავი და მკვრივი საგნის დარტყმით. ეტყობოდა, რომ მკვლელობას სულ ცოტა ერთი თვის წინ მაინც ჰქონდა ადგილი.

3

ახლო-მახლო რაიონებში მოიკითხეს, უგზო-უკვლოდ ხომ არ იყო ვინმე დაკარგული.

ონის რაიონის, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ოლქის პროკურატურიდან მიღებული იქნა ცნობა, რომ ონის რაიონის სატყეო მეურნეობის კანტორაში მომუშავე მეტყევე ინჟინერი გიორგი პლატონის ძე მელაშვილი 1960 წლის 2 მაისს სატვირთო ავტომანქანით გაემგზავრა ქ. ცხინვალიდან ონის მიმართულებით, რის შემდეგ უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

დადგინდა, რომ 1960 წლის 18 ივნისს, ონის რაიონის ტერიტორიასზე, სვატიკომის საწარმოო უბანთან ხრამში, სწორედ გ. მელაშვილის გვამი იყო ნაპოვნი.

აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, გამოძიებას სამხრეთ ოსეთის ოლქის პროკურატურა აწარმოებდა. მაგრამ მკვლელი მაინც ვერ აღმოაჩინეს; ეჭვმიტანილები გაათავისუფლეს, ხოლო საქმე, როგორც გაუსხნელი — წარმოებით შეჩერდა.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურორის დაგალებით ეს საქმე საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებებს დაეკუთვნა.

დავით ქორიძეს მიერ გამოძიებული ბევრი საქმე სამაგალითო იყო. მას არა ერთი საიდუმლოებით მოცული მკვლელობის საქმე ჰქონდა გახსნილი, ამიტომ ყველას სჯეროდა, რომ მალე დამნაშავენი გამოავლენ. მაგრამ იქნებოდნენ. იგი ჩვეული სიღიზიანებით შეუდგა საქმის მასალების გაცნობას. გ. მელაშვილის ახლობლები თავისთან გამოიძახა, დაუყოვნებლივ გადაწყვიტა სამხრეთ ოსეთისა და ონის რაიონებში გამგზავრება.

4

კაბინეტში მომუშავე დავით ქორიძე ტელეფონის ზარის ხმამ შეაკრთო. მილიციის სამმართველოდან ურეკადნენ. მოკლედ გასცა პასუხი და კვლავ წინ გადაშლილ გ. მელაშვილის მკვლელობის საქმეს მიუბრუნდა.

ფრთხილად დააკაკუნეს. კარი ახალგაზრდა ქალმა შეაღო, შესვლის ნება ითხოვა და მორიდებით სკამზე ჩამოჯდა. არაფერი უთქვამს. მისი დიდრონი, სევდიანი თვალები უფრო მეტს ეკითხებოდნენ დავითს. გამოძიებულმა უხმოდ ასედა შემოსულს.

— თქვენთან ვიყავი გამოძახებული — დაარღვია სიჩუმე ლენა რეზიანაშვილმა და გამოძახების ფურცელი მიაწოდა.

დავითმა საქმე გვერდით გადადო. „ხვალისთვის ყავდა დაბარებული, დღეს კი მოვიდა“. რამდენიმე შეკითხვა მისცა. ყველაფერზე პასუხი რომ მიიღო ბოლოს მორიდებულად უთხრა:

— უხერხული შეკითხვაა, მაგრამ უნდა მიპასუხოთ. გიორგისთან ნაცნობობის პერიოდში თქვენთვის ცოლობა ხომ არავის უთხოვია ან ამ საკითხზე საუბარი ხომ არავის ჰქონია?

ლენამ გამოძიებულს დაბნეულად შეხედა; მის თვალში თანაგრძობა რომ ამოიკითხა, საუბარი განაგრძო: — არა, ასეთი წინადადება ჩემთვის არავის მოუცია. მე და გიორგის ურთიანეთი დიდხანა ვიყავართ. მე წარმოშობით ლავოტსის რაიონიდან ვარ, ცნინვალში ვსწავლობდი. გიორგი ხშირად მნახულობდა. ჩვენი საქმე გადაწყვეტილი იყო, ორ კვირამი ხელი უნდა მოგვეწერა. — ლენას სიწითლე მოერიდა, თვალმუცხვარობა დაბალი ხმით განაგრძო: — თითქმის გული მიგრძობდა, ყოველთვის ვდარდობდი შორს რომ უხდებოდა სამსახურში სიარული. ხშირად

მირეკავდა. 2 მაისს რომ გამოვაცილე, დამპირდა, მისვლისთანავე დაგირეკავო. ნათქვამის შესრულება ყოველთვის იცოდა. შემეშინდა, როცა არც პირველ არც მეორე დღეს არ დარეკა და შოთას — გიორგის ძმას შევატყობინე. თუ გჭირდებათ შოთაც აქ არის, ერთად მივედით.


ლენას დაწყებული საუბარი შოთამ განაგრძო: — როგორც ლენასგან გაგიგე გიორგის არ დაერეკა, მის სამსახურში მივედი. მითხრეს — რამდენიმე დღე არ მოსულაო. მაშინვე დაბა კვიასას სასტუმროს დავეკავშირდი. ვაკითხე, დამე იქ ხომ არ გაათია. უარი მითხრეს, ასეთი გვარისა და სახელის აქ არავინ ყოფილაო. დავეკავშირდი მილიციას და პროკურატურას. გაგიგე — იმ რამდენიმე დღეში არავითარი უბედური შემთხვევა არ ყოფილა. მაშინ პირადად ვინახულე კვიასას სასტუმროს დიასახლისი. ისევე უარყოფითი პასუხი მივიღე. ჟურნალიც კი მაჩვენა. მასში გიორგი არ იყო რეგისტრირებული. პროკურატურაში წავედი, გამოვლისას ისევე შევიარე სასტუმროში, ამჯერად მილიციის მუშაკთან ერთად. მილიციის მუშაკმა ჟურნალი მითხოვა. სამი გვარის შემდეგ



ამოვიკითხე ინიციალები „გ. მ.“ ქვევით კი გაკრული ხელით, მაგრამ გარკვევით იყო მიწერილი „4. გიორგი მელაშვილი“. გაკვირვებული დავრჩი. სასტუმროს დიასახლისი შემედავა — მე თავიდან გითხარით, რომ გ. მელაშვილმა დასახელებულ დღეს დამე ჩემს სასტუმროში გაათია და აღრიცხვის ჟურნალიც კი მაჩვენებო. ეს იყო და ეს. შემდეგ საქმეში პროკურატურა ჩაერია, მაგრამ ვერაფრით ვერ გავიგეთ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ ჩემი ძმა. ეს ამბავი მაისის დასაწყისში მოხდა. ივნისის შუა რიცხვებში ონის რაიონის ტერიტორიაზე მამაკაცის გვამი უპოვნიათ და აი. იმ მკვდარში ჩემი ძმა ამოვიცანით... — თავშეკავებამ უღალატა, ცრემლებით დააბოლოვა სიტყვები შ. მელაშვილმა.

გამომძიებელმა მას დამშვიდება აცალა და მორეკითხა — ვინმესთან ცუდი დამოკიდებულება ხომ არ ჰქონია გიორგის ან ვისთან მეგობრობდა.

— ცუდი დამოკიდებულება გიორგის სამსახურში არავისთან არ ჰქონია, არც განსაკუთრებული მეგო-



ბარი ყავდა იქ ვინმე. წამით ჩაფიქრდა და განაგრძო: — ჩემი ძმის უგზო-უგელოდ დაკარგვამდე ერთი თვით ადრე ქ. ცხინვალში მცხოვრებთ ვინმე ი. ბაზავეს და ვ. ჯაბიებს უნებართვოდ მოჭრილი ხის მასალა მოჭინდათ თურმე. გიორგის მასალა და პასპორტი ჩამოურთმევია. მათაც ნადავლი ადვილად არ დაუთმიათ, წალაპარაკება მოსვლიათ. შემდეგ ვიცი, რომ გიორგიმ მათ მალე დაუბრუნა პასპორტი და უთანხმოებაც შეწყდა. გამომძიებელმა შ. მელაშვილისგან შეიტყო აგრეთვე, რომ მის ძმას ჰქონდა 1000 მან. ფული (ძველი კურსით) და ლატარიის ბილეთები.

დავითმა დაკითხვის ოქმები შეავსო, ორივეს მადლობა გადაუხადა, საჭიროების შემთხვევაში კიდევ გამოვიძახებთო — უთხრა და დაემშვიდობა. თვითონ კვლავ სამუშაო მაგიდას მიუჯდა. ფიქრებში ჩაიძირა... „ონის რაიონის ტერიტორიაზე გ. მელაშვილის გვამი იპოვნეს, სანამ მკვლელობა მოხდებოდა გიორგიმ ღამე დაბა კვაისას სასტუმროში გაათია. დანიშნულ ადგილზე გიორგის არ მიუღწევია... არა, აქ რაღაც უცნაურობაა... იქნებ ბაბაიემა და ჯაბიემა... არა, აუცილებლად უნდა დაიკითხოს ორივე, დეტალურად შემოწმდეს ეს ვერსიაც... სიფრთხილე კაა საჭირო. თუ ადამიანი უდანაშაულოა, ეჭვმა, დაკითხვებმა, ჩხრეკამ შეიძლება ფსიქიკური ტრამვა გამოიწვიოს და დაასახიჩროს იგი...“.

ტელეფონის ყურმილს დასწვდა. სამხრეთ ოსეთის პრეკურატურას დაუკავშირდა.

დავითმა სამოქმედო გეგმა ერთხელ კიდევ გადაათვალიერა: ადგილი, სადაც გვამი იქნა აღმოჩენილი, განმეორებით უნდა დაეთვალიერებია, დაბა კვაისას სასტუმროს დიასახლისი უნდა ენახა, ეჭვმიტანილები ხელახლად უნდა დაეკითხა, მელაშვილის სამუშაო ადგილზე უნდა მისულიყო და სხვ.

5

დიდი სისწრაფით მიმავალმა მანქანამ სვლა შეანეღა, გვერდზე გადაუხვია და ხევის პირას გაჩერდა. მანქანიდან პირველი საქართველოს სს რესპუბლიკის მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ფარნა მამუჩაშვილი გადმოვიდა, შემდეგ — დავით ქორიძე და მილიციის რწმუნებული. სრამში ჩასასვლელ გზას დაუწყეს ძებნა. ერთხელ კვდამი იქნა აღმოჩენილი მწყემსი გოგონა, ნ. სულაძეც თან წამოიყვანათ. ისიც დაწერილებით ყვებოდა იმ სამშინელ ამბავს.

დავითი ჩააფიქრა მდგომარეობამ. — მხედველობაში თუ მივიღებთ მოკლულის ძმის ჩვენებას, ღამე გ. მელაშვილმა კვაისას სასტუმროში გაათია, ე. ი. ეს გზა დღის საათებში უნდა გამოეყოლო მას. გზა კი ღრმა სვეზე გადის. მარჯვნივ მაღალი, სალი კლდეა. შეუძლებელი იყო დღის საათებში

აქ კაცი გაეძარცვათ ან მოეკლათ შეუმჩნევლად, რადგან ადგილი კარგად ჩანდა სკატიკომის უბნის მახტიდან, არავითარი გზის განშტოება კვაისადან არ არის. შთაბეჭდილება რჩება, რომ გვამი მკვლელობის შედეგაა მიტანილი და სრამში გადაგდებული. უნდა მივიღეთ აუცილებლად კვაისას სასტუმროში და კვალს იქიდან მოვყვეთ, შემდეგ კი ვინახულით შასტში მომუშავენი, შეიძლება საგულისხმო რამ გავიგოთ, — წყნარად წარმოთქვა ქორიძემ და მანქანას მიუახლოვდა. მანქანაში არც ერთს ხმა არ ამოუღია. ქორიძე პაპიროსს პაპიროსზე წვედა, მის სახეს დაძაბულობა ეტყობოდა. საქმეს დასაწყისიდანვე ატყობს, დიდი სიძნელეების გადალახვა დასჭირდება. თვითონ არ დაიმურებს ენერჯიას, მაგრამ თავიდან სწორი გზა უნდა მიწახსოს. სიძნელეებთან ტილიში, გამარჯვებასა ჩვეული, იმედიანია და კარგად იცის „ინც ეძიებს, ყოველთვის პოულობს“. ამ ანდაზას მისთვის არასდროს უღალატია. ქორიძე, ფარნა მამუჩაშვილს მიუბრუნდა:

— თუ დადგინდა, რომ მელაშვილმა ღამე სასტუმროში გაათია, საჭირო აღარ იქნება იმ მანქანის მძღოლის ვინაობის დადგენა, რომელმაც იგი ცხინვალიდან წამოიყვანა...

— ესე იგი მკვლეელი კვაისადან — სკატიკომის უბანამდე უნდა გვიძიოთ? აღარ დამათვრებინა ფარნამ.

— ჯერ-ჯერობით მეტს ვერ ვიფიქრებთ, ვნახოთ გამოძიება სად წაგვიყვანს. მანქანა ხის შენობის წინ გაჩერდა.

— მოვედით, — ხმამაღლა თქვა მილიციის უბნის რწმუნებულმა იასონ სოტიყვამ.

სასტუმროს დიასახლისმა მათი მოსვლის მიზეზი რომ გაიგო, ფერი ეცვალა, მაგრამ მაინც მზიარულად შეეგება.

— რით შემიძლია გემსახუროთ? — დაფარული მღელვარებით იკითხა. გამომძიებელმა 1960 წლის სტუმრების აღრიცხვის ჟურნალი მოითხოვა.

ჟურნალიდან ჩანდა, რომ 2-3 მაისს ღამე გაათია ოთხმა კაცმა. ბაზავეი, გასიევი, თედვევი, მელაშვილი, — ამოიკითხა გამომძიებელმა, — იცნობთ ამ პირებს?

— ბაზავეი და თედვევი ვიცი, დანარჩენი ორი კი არა.

— მელაშვილი მათთან ერთად მოვიდა?

— არა, იგი ცალკე მოვიდა.

— რაიმე ინცინდენტს ხომ არ ჰქონია ადგილი იმ ღამეს ან დილით, ვიდრე მელაშვილი სასტუმროდან წავიდოდა?

— არა.

გამომძიებელმა სასტუმროს ოთახები დაათვალიერა. ნახა ის ხუთსაწოლიანი ნომერიც, სადაც მელაშვილმა სხებთან ერთად ღამე გაათია.

— ოთხივესთვის ერთი ოთახი რატომ მიგიციათ, როცა სხვა შესაძლებლობაც ჰქონიათ?

საქართველო
საბჭოთაო

— როცა მელაშვილმა ცალკე ნომერი ითხოვა, მე უარი ვუთხარი, რადგან მეგონა ბევრი სტუმრები მოვიდოდნენ და ისიც დამთანხმდა.

ქორიძემ ჟურნალი გადაშალა. ბოლოში ნაჩქარევად მიწერილი მელაშვილის გვარი ამოიკითხა. გვარის წინ კი ინიციალები „გ. მ.“ ეწერა. სასტუმროს დიასახლისისთვის რამდენიმე შეკითხვა კიდევ უნდა მიეცა, მაგრამ გადაიფიქრა. მხოლოდ ქვითრები მოთხოვა. შეატყოს, როგორ შეაკრთო ქვითრების ხსენებამ დიასახლისი.

— ქვითრები ბუღალტერთან ინახებაო, — გამოსცრა კბილებში.

6

დაკითხვის დროს სასტუმროს დიასახლისი ჯიუტად იმეორებდა ერთსა და იგივეს. ბევრი სტუმრები მეგონა მოვიდოდნენ, ცალკე ოთახი მხოლოდ ამისთვის არ მიეცეო, რაშია ჩემი დანაშაული, გამაგებინეთო. როცა გამოძიებელი შეეკითხა, თუ რატომ უთხრა გ. მელაშვილის ძმას უარი მისი ძმის იქ ყოფნაზე თავიდან, სასტუმროს დიასახლისი დაიბნა, მაგრამ ურჩად განაცხადა, რომ გ. მელაშვილის იქ ყოფნა არავისთვის დამიბაღიაო. როცა შეხვდა, რომ მისგან შეტ პასუხს მოითხოვდნენ, ვერაფერი თქვა და ტირილი დაიწყო. გამოძიებელმა დაკითხვა შეწყვიტა. ოთახში მამუჩაშვილი და ქორიძე დარჩნენ.

— არა, ეს ქალი წმინდა წყლის არ უნდა იყოს, — დაარღვია სიჩუმი ფარნამ.

— არც მე მომწონს, — თავაუღებლად უპასუხა დავითმა. იგი კვლავ ჟურნალს ჩასატყეოდა, ხელში კი ქვითრები ეჭირა. № 1 ორდერს 3/√-ს შესწორება ქონდა. ხაზგასმული იყო „3“ და მიწერილი ქონდა „Четыре“, თანხა 18“ გადასწორებული იყო „24“-ად.

— საჭიროა ბუღალტრის ნახვა, მაგრამ სანამ ბუღალტრის განახადდეთ, უნდა დავადგინოთ: სამში დილას ნამდვილად გავიდა სასტუმროდან გ. მელაშვილი თუ არა. შენ — ამხანაგო ფარნა — სოტივეს დაგავლე, რომ ბუღალტრის აქ მოსვლა უზრუნველყოს, მე კი კვასაში ერთი კაცი უნდა ვნახო, რომელიც ადგილობრივი მცხოვრებია. მეონი ამ მკვლევლობის შესასრულებლად საინტერესო უნდა იცოდეს, გარდა ამისა, იქნებ მის მეზობელთაგანმა ვინმემ რამე იცის; ხვალისთვის კი სასტუმროში მელაშვილთან დამეპ რომ ათევედნენ, იმათი დაკითხვა მომიხდებოდა. „არა, მკვლევლობაში ადგილობრივი მკვიდრის ხელი უნდა ერისო“ — არ აპეპებდა ფიქრი დავითს.

— მე კი, ონის რაიონის მილიციის უფროს ნიკოლოზ ხიდემელს ვნახავ და მასთან ერთად მელაშვილის სამუშაო ადგილზე მივალ. ვნახთო, როგორ წრეში ქონდა საქმე, როგორ ხასიათდება იგი — თქვა ფარნამ და წასასვლელად მოემზადა.

გამომძიებლის აღღოს არ უღალატია დავითისთვის. ნაცნობი ბევრ საყურადღებოს მოუყვა მას. კვასას მაცხოვრებლებმა რომ გაიგეს რისთვის იყო ჩა-

მოსული გამოძიებელი, თვითონ მოდიოდნენ, გინც რა იცოდა, უყვებოდა. დავითი გაკვირვებული დარჩა, არ მოელოდა მოსახლეობის ასეთი ინტერესის გამოჩენას მკვლელის საბოჟენლად.

რაც მთავარია, დასტურდებოდა ის ფაქტი, რომ მელაშვილი 3 მაისს დილას, ნამდვილად გამოსულა სასტუმროდან. იგი უნახავს კვასაში მეწადე მ. რეგვიაშვილს, რომელმაც ფოტოსურათებში ამოიგნო მელაშვილი და აი, რა უთხრა გამოძიებელს: მე მინდოდა ცხინვალში წასვლა და ვუცდიდი მანქანას. მელაშვილი მოვიდა ჩემთან და შემეკითხა, საიდან ნიღის მანქანა ონის მიმართულებითო. მე ავუხსენი: ონის მიმართულებით რომ წასულიყო, უნდა ემგზავრა სოფ. ჩასავლიდან. იგი გადავიდა ხიდან და დაუწყო ცდა მანქანას. მალე დაინახე, მოვიდა მანქანა, მასზე სხვა მგზავრებიც იყო. მელაშვილი დაჯდა და მანქანა დაიძრა.

დავითმა ისიც გაიგო, რომ ცხინვალიდან გ. მელაშვილის გამომგზავრების მეორე დღეს, მისი საცოლეს თხოვნით მის ამხანაგს იზოლდა ლალივეს დაურეკია კვასაში მცხოვრებ ვერა მამიევისათვის რომ მელაშვილის ამბავი ეკითხა. ტელეფონთან სასტუმროს დიასახლისი მისულა, მაგრამ მამიევისათვის არ შეუტყობინებია, რომ დღის სამ საათზე ცხინვალიდან ემხდნენ ტელეფონზე სალაპარაკო.

„ისევ სასტუმროს დიასახლისი“ — გაიფიქრა დავითმა.

ასეთი და მსგავსი ჩვენებებით ძნელი იყო რაიმე გნიშვნელოვანის დადგენა, ოპერატიული თვალსაზრისით კი ყურადღება უნდა მიქცეოდა ერთ რამეს: 1960 წლის 3 მაისს, დაახლოებით დღის 12-13 საათზე სკატკომის უბნიდან ბრუნდებოდა ავტომანქანა, რომელსაც მართავდა ართნ სუგავეი. ძარაზე, სხვებთან ერთად იყო აგრეთვე დ. ნიკოლაიშვილიც. იგი პირადად იცნობდა დაზარალებულ გ. მელაშვილს. მათი ავტომანქანა კვასამდე არც იყო მისული, რომ დაინახა გზაზე თვითმცლელი ავტომანქანა, რომლის ძარასა და კაბინას შორის იდგა გ. მელაშვილი. მელაშვილმა იგი ვერ იცნო, ამიტომ სალაშზე არ უპასუხა. ამას გარდა აღმოჩნდა რამდენიმე მოწმე, რომელთაც მელაშვილი უნახავთ ამ ავტომანქანაზე. ეჭვს არ იწვევდა ის ცარემოება, რომ მელაშვილი ნამდვილად გამოვიდა კვასის სასტუმროდან და თვითმცლელი ავტომანქანით გაემგზავრა სკატკომის უბნისკენ.

აუცილებელი იყო კვასის ავტოსატრანსპორტო კანტონაში მისვლა და დადგენა, თუ რომელი ავტომანქანები წავიდა სკატკომის საწარმოო უბნის მიმართულებით 3 მაისს და ვინ იყვნენ მძღოლები: აუცილებელი იყო წინათ დაკავებული ზოგიერთი მძღოლის კვლავ დაკავება, მათი ხელახლა დაკითხვა, აღიბის შემოქმება...

გამომძიებლის წინაშე ახალი სიძნელეები წამოიჭრა. ის ფაქტი, რომ ნიკოლაიშვილმა და კიდევ რამ-



დენივე კაცმა თვითმცლელ ავტომანქანის ძარაზე მდგარი მელაშვილი დაინახა, თავისთავად დანაშაულთან არავითარ კავშირში არ იყო, მაგრამ დავითმა გადაწყვიტა ორივე მძღოლი და ნიკოლაიშვილი სასწრაფოდ გამოეძახა პრეკურატურაში, დაწვრილებით დაეკითხა თითოეული. გამომძიებელმა მალე უსუსტად დაადგინა, რომ დასახლებულ ტერიტორიაზე — „მშრალ ხევთან“ იმ დროს იდგა თვითმცლელი ავტომანქანა, რომელსაც ვლადიმერ სუგავეი მართავდა და რომელზედაც იყო მელაშვილი.

7

მამუჩაშვილი ქორიძეს დასარალეზულ მელაშვილზე ესაუბრებოდა. იგი სამსახურში ყველას ჰყვარებია, როგორც წესიერი, მუყაითი, თავმდაბალი, მეგობრების მოყვარული და გულისხმიერი ადამიანი. — მხარში ამოვიდებოდა, ოდნურ მეკვლევი ვიპოვნოთო — ასე ეუბნებოდნენ.

შემდეგ გადათვალერეს დაკითხული მოწმეების ოქმები, შეკრებილი მასალები და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კვიასას სასტუმროში მელაშვილთან ერთად ნომერში მყოფი ბაზაივის, გასიევის. და თედევის მონაწილეობა მეკვლეობაში მხოლოდ ეჭვს ბადებდა. ასევე ვერაფერი ახალი ვერ შემატა გამოძიებას ბაზაივის და ჯაბიევის დაკითხვამ. მათ დადასტურეს უთანხმოება მელაშვილთან, რაც უნებართვოდ მიჭრილი სის მასალის თაობაზე მოუვიდათ. ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან პასპორტი მალე დაუბრუნებია მელაშვილს მათთვის.

გამომძიებელი გულმოდგინედ შეუდგა მთავარი დაზარალების ძებნას.

— დღეს თავიდან ვიწყებთ ყველაფერს, ჩემო ფარნა, — განაგრძო დავითმა, ბაზაივის და ჯაბიევის მიმართ სხვა საკითხებიც შემოწმდა. მათ მიერ მეკვლეობის ჩადენა გამოირიცხა... საიდუმლო ჯერ ვერ ამოვხსენით. დღეისათვის ყველაზე საეჭვო პირს ვლადიმერ სუგავეი წარმოადგენს, რომელმაც მელაშვილი კვიასადან სკატიკომისკენ წაიყვანა, მაგრამ მაინც ვნახოთ რას მოგვცემს სასტუმროს დიასახლისის ხელახალი დაკითხვა. სოტიევმა დარეკა, სასტუმროს ბუღალტერი მალე თქვენთან იქნებაო, ისიც დაკითხვით, მადაროსაც ვესტუმროთ, იქ მომუშავენი მოვიხატულოთ, გავესაუბროთ. ეჭვმიტანილები ჩვენთან, პროკურატურაში დავიბაროთ.

ოთახში კვიასას სასტუმროს ბუღალტერი თ. ტოტროვა შემოვიდა. მან დადასტურა ის ფაქტი, რომ სასტუმროში, საბუთების შემოწმებისას გამოვლინდა დარღვევა. 1960 წლის 3 მაისის ქვითარში გადასწორებული იყო როგორც სტუმრების რაოდენობა, ისევე თანხაც, და აღნიშნა ისიც, რომ ბრაილი ამაში სასტუმროს დიასახლისის მიუძღოდა.

გამომძიებელმა სასტუმროს დიასახლისი სელმეორედ დაკითხა. იგი ახლა უფრო მშვიდად ლაპარაკობ-

და: 2 მაისს სასტუმროში ღამე გაათია გ. მელაშვილი. იგი არასდროს მენახა, პირველად იყო ჩემთან. ცალკე ნომერი მომიხსოვია. უარის შემდეგ მოხსოვა ფული შემენახა მისთვის. „ფულის არსებობაზე ხომ სასტუმროს დიასახლისს ჯერ სიტყვაც არ დაუძრავს“ — გაუელვა დავითს, მაგრამ სახე არ შეუცვლია, ვითომ ახალი არაფერი გაუგია. ის კი ლაპარაკს განაგრძობდა — ფულის რაოდენობა კი არ უთქვამს. „ესე იგი დაინტერესდა“ — კვლავ გაიფიქრა ქორიძემ. — ჩვენთან ეს პრაქტიკაში არ გვაქვს, ამიტომ ამაზეც უარი ვუთხარი. 3-ში კი დილას ადრე ადგა, ეჭვსა მანეთი დამიტოვა და წავიდა. მე მისთვის ცალკე ქვითარი არ გამომიწერია; რამდენიმე სულზე ხანდახან ერთ ქვითარს ვწერდი, ფულის მითვისების მიზნით ლა ამის აღიარების შემეშინდა. სხვა არაფერი დანაშაული არ მაქვსო, ამით დასრულა თავის სათქმელი.

ეს უტყვი ქალი დავითს რამდენჯერმე ჰყავდა დაკითხული. მის ჩვენებაში ყოველთვის ახალს, მანამდე შეუცნობელ დეტალს ნახულობდა.

ის იყო სასტუმროს დიასახლისი გავიდა, რომ ოთახის კარი სანდომიანი შესახედაობის ახალგაზრდამ შემოაღო. მან მორიდებით შეათვალერა ოთახი და ოდნავ დაბნეულად ჩაილაპარაკა:

— გამომძიებელ ქორიძის ნახვა მინდოდა.


დავითმა ახალმოსულს სკამი შესთავაზა. უხერხული სიჩუმე გამომძიებელმა დაარღვია.

— მე ვარ ქორიძე. გასმენთ, — და წყნარად შეხედა მოსულს.

— მე კვიასას მევიდრი, არონ სუგავეი ვარ. შახტორ გეუშაობ მძღოლად. გავიგე ჩამოსული ყოფილხარათ ვ. მელაშვილის მეკვლეობის საქმეზე. გავიგე და მოვედი. რაც მე ვიცი, ის ჩვენი ოლქის პროკურატურის გამომძიებელსაც მოვუყვი, თქვენც გეტყვიო. შეკითხვისთვის არც დაუცვია, პირდაპირ დაიწყო:

1960 წლის მაისის სამი რიცხვი იყო. კვიასაში, სოფელ ჩასავალთან, ჩემი ავტომანქანა ერთმა ახალგაზრდამ გააჩერა. ქართულად დამელაპარაკა. წაყვანა მისთვის, მანქანაზე სხვებიც ისხდნენ, უარი არ მითქვამს. ეს რიცხვი ასე უსუსტად იმიტომ მახსოვს, რომ ამ დღეს სოფელ ჩასავალში ბესო სუგავეის ოჯახში ქორწილი იყო. მანქანა მის სახლთან გავაჩერე და ცოტა ხნით შევედი ქორწილში. რომ დავბრუნდი, მელაშვილი მანქანაზე აღარ იყო. მგზავრებმა მითხრეს, რომ იგი ქორწილში შეიპატიჟესო. მე მისთვის აღარ მომიცვია და წავედი. როცა უკან დავბრუნდი, „მშრალ ხევთან“ გაჩერებული იყო ვლადიმერ სუგავეის თვითმცლელი ავტომანქანა, რომლის ძარაა და კაბინას შორის იდგა მელაშვილი. მე მის მანქანას ასეო ჩავეუარე და წავედი ჩემ გზაზე, — დაასრულა საუბარი.

ახალმა ჩვენებამ ახალი იმედი შემატა გამომძიებელს. როგორც გამომძიებელი, ასევე ფარნა, უხმოდ მოხდნენ, რომ მივლინების დრო გაუგრძელოთ. შახტორი მომუშავე მძღოლების დაკითხვა გვემამო ქონ-



დათ, მაგრამ ქორწილი? ბესო ხუგაევის ოჯახში დარჩენილი მელაშვილი? შემდეგ „მშრალ ხეფთან“ ვლადიმერ ხუგაევის ავტომანქანაზე მისი დგომა? არა, მოცდა არ შეიძლება — ზმამალა დააბოლოვა ფიქრი დავითმა. არონ ხუგაევის რამდენიმე კითხვა მისცა, დავითხვის ოქმზე ხელი მოაწერინა, უთხრა, რომ შესაძლებელია თბილისში, პროკურატურაში მოხუბუნ დავითხვანზე ჩასვლა და გამოეშვეილობა.

რამდენიმე საათის შემდეგ გამოძიებელი ბესო ხუგაევის ესაუბრებოდა. იგი დაკვირვებული და გამოცდილი ადამიანი ჩანდა. ქორწილის დღე მთიგონა. საინტერესო ამბავი გაიკრვა: კარგად ახსოვდა სუფრაჰთან მჯდომი ლამაზი შესახედაობის უცხო ქართველი ვაჟკაცი, რომელსაც ერთი დაბალი, ჯმუხი, მისთვის უცნობი ახალგაზრდა ღვინოს აძალებდა. ბესოს არ მოეწონა და გაუკვირდა კიდევ მისი ასეთი „სტუმართმოყვარეობა“, და ისიც, საიდან მოხვდა იგი მის ოჯახში, ამიტომ შენიშვნაც კი მისცა მას. ზესო ხუგაევა მელაშვილის ფოტოსურათი ამოიციწო. სხვა საგულისხმოდ მას არაფერი უთქვამს.

გვიან, დამით, ქორიძე საქმეზე შეგროვილ მასალებს ათავალიერებდა, გულისყურით კითხულობდა დავითხვის ოქმებს, პატარა, უმნიშვნელო ცვლილებებსაც კი დიდ ყურადღებას აქცევდა.

8

დილის ცხრის ნახევარი იქნებოდა, როცა დ. ქორიძე და ფ. მამუჩაშვილი კვიასას მადაროთა სამმართველოს ავტოსატრანსპორტო კანტონში მივიდნენ. აქ ამოღებულ და შესწავლილ იქნა შემთხვევის დღეს სამუშაოდ გაგზავნილი ყველა ავტომანქანის საგზურები, შემოწმებულ იქნა ავტომანქანების გასვლისა და დაბრუნების დრო. შემოწმებულ იქნა ყველა ავტომანქანა. აღმოჩნდა რომ ყველა ავტომანქანა წესრიგში იყო, გარდა იმ ავტომანქანისა, რომელსაც 3 მაისს ვლადიმერ ხუგაევი მართავდა. მას აკლდა საბურისი და ძრავას ასამუშაებელი სახელური.

თავში ბლავგი, მყარი იარაღის დაკვერთ მოკლული, თავის ქალა რამდენიმე ადვილზე ჩამტვრეული — გაუელვა დავითს.

შემდეგ შესწავლილ იქნა სკატიკომის უბანში ავტომანქანების მისვლისა და დაბრუნების დრო, ყველაფერი ეს შედარებული იქნა გ. მელაშვილის სასტუმროდან გამოსვლის, ქორწილში ყოფნის და გზაში „მშრალ ხეფთან“ ნიკოლაიშვილის, არონ ხუგაევის და სხვა მოწმებთან შეხედრის დროსთან. ამის შედეგად ყველა სხვა ავტომანქანები გამოირიცხა, გარდა იმ ავტომანქანისა, რომელსაც 3 მაისს მართავდა ვლადიმერ ხუგაევი. ამ მონაცემებითაც ყველა გზა მისკენ მიდიოდა. დადგინდა ისიც, რომ ამ დღეს ვლადიმერ ხუგაევის მანქანაზე მტვრითადაც მუშაობდა გრაფი გაბარაევი. გადაისინჯა მათი პირადი საბუთებიც.

„ვლადიმერ რაქდენის-ძე ხუგაევი, ავტო-მძღოლი.

სოფ. ჩასაელის მცხოვრები. დაბადებული 1924 წ. უპარტიო ცოლ-შვილიანი. მცირე მცოდნე. ნასამართლები ავტოავარიისათვის“.

„გრაფი დავითის ძე გაბარაევი. მტვრითავი მუშა. დაბადებული 1929 წ. უპარტიო. მცირე მცოდნე. ცოლ-შვილიანი. ნასამართლების არ მქონე“. ისინი სამსახურში ცუდად დაასახიათეს, ზმირად აცდენდნენ, თვებოდნენ სისტემატურად და ყოველთვის იყვნენ დებოშის მოთავენი.

აი, ასეთი მონაცემები შეგროვდა. გადაწყდა მათი პატიმრობაში აყვანა.

9

გამომძიებელმა ვლადიმერ ხუგაევი და გრაფ გაბარაევი ცალ-ცალკე დაკითხა. ენიშნა, როცა ისინი დავითხვის დროს იბნეოდნენ, ერთი და იგივე ამბავს სხვადასხვაგვარად გადმოსცემდნენ, ერთი მეორის საწინააღმდეგო ჩვენებებს იძლეოდნენ. დავითხვია დროს მათი მოჩვენებითი უდარდლობა და გულგრილობა დავითის დაკვირვებულ თვალს არ გამოპარვია. გამომძიებელი ერთი და იგივე კითხვაზე პასუხს რამდენჯერმე ამეორებინებდა. როგორც ვლადიმერ ხუგაევა, ასევე გრაფ გაბარაევა უარი თქვა მათი ავტომანქანით ვინმე ქართველის მგზავრობაზე 1960 წლის 3 მაისს. ასევე ბესო ხუგაევის სახლთან ქორწილის დროს ავტომანქანის გაჩერებაზე.

დავითხვის პირველ დღეს არცერთისთვის ბეჭრა შევითხვა არ მიუცია დავით ქორიძეს. ოთახში შემოსულ მამუჩაშვილს და სოტიევს დადგენილება ჩააბარა. ვლადიმერ ხუგაევი და გრაფ გაბარაევი დააპატიმრეს.

10

დავითი სამსახურში დილას ადრე მოვიდა. მასთან დავითხვანზე ვლადიმერ ხუგაევი შემოიყვანეს. იგი ჩაფიქრებული ჩანდა, დრო და დრო მალულად გადასვლიდა გამოძიებულს.

— სად იყავით 3 მაისს დაასლოებით დღის 12 საათზე? — დავითმა დაკვირვებით შეხედა ბრალდებულს.

— ქორწილში, იყო პასუხი.

გამომძიებელმა პირველი ჩვენება მოაგონა.

— ?!


— ქორწილიდან თქვენი მანქანით იმგზავრა თუ არა ახალგაზრდა ქართველი?

— არა, არავითარ ქართველს ჩემი მანქანით არ უმგზავრია.

— თქვენ ქორწილში ყოფნაც უარყავით!

ბრალდებულმა ბოროტად შეხედა გამოძიებულს, არაფერი უპასუხა.

— მარტო მუშაობდით 3 მაისს ავტომანქანაზე თუ თქვენთან სხვა ვინმეც იყო?



ვლადიმერ სუგავეს პასუხი არ გაუცია. რამდენიმე შეკითხვაც უპასუხოდ დატოვა. გამომიძებლის განკარგულებით იგი ოთახიდან გაიყვანეს.

გრაფ გაბარაევი მხიარული განწყობილებით შეწოვიდა დაკითხვას.

— მე წინათაც ამიყვანეს პატიმრობაში, ეჭვი ქონდათ მაგრამ არ გამართლდა და გამანთავისუფლეს, ალბად ასლაც რამე შეცდომაა, — შემწყნარებელი ტონით დაიწყო ლაპარაკი.

— რასაკვირველია, სიმართლის თქმით ყოველთვის წეტა მოიგებთ, არ შეიშინია რა მისი ლაპარაკის ტონი, მშვიდად გაეპასუხა დავითი და დაკვირვებულად შეხედა.

— სამ მაისს რომელ ავტომანქანაზე მუშაობდით?

— მე მტვირთავი ვარ. სამში ვტვირთავდი ვლადიმერ სუგავეს მანქანას.

— იმგზავრა თუ არა თქვენი ავტომანქანით ვინმე ქართველმა ახალგაზრდამ?

— გზაზე მანქანა ერთმა კაცმა გააჩერა, მაგრამ ჩვენი მიმართულება არ აწყობდა და არ დამჯდარა.

— ეს ბესო სუგავეის სახლთან მოხდა?

— არა, მანამდე.

— ქორწილში რამდენ ხანს დარჩით?

— ჩვენ ქორწილში არ შევსულვართ და საერთოდ ბუკოს სახლთან მანქანა არ გაგვიჩერებია — მტკიცედ განაცხადა გრაფ გაბარაევმა.

ამ ორი ადამიანის საწინააღმდეგო ჩვენებებმა ქორწილში ყოფნის შესახებ, ეჭვი განუშტკიცა დავითს.

გამომძიებელს გრაფ გაბარაევისათვის მეტი კითხვა აღარ მიუცია. იგი ოთახიდან გაიყვანეს.

დავით ქორიძესთან დაკითხვას ეკლავ ვლადიმერ სუგაევი შემოიყვანეს.

— შეკრებილი მასალები თქვენ დანაშაულზე ლაპარაკობს, გვაქვს აგრეთვე მოწმეების ჩვენებები, რომ 3 მაისს თქვენ ავტომანქანაზე ყოფილა მელაშვილი.

— ისინი სტყუიან, ვერ იტყვიან ამას — ნერვიულად წამოიყვირა ვლადიმერ სუგაევმა. მაშინ ოთახში მოწმეები, ნიკოლაიშვილი, ცოლ-ქმარი გაგლოვები, არონ სუგაევი და ერთი მოსწავლე გოგონა შემოიყვანეს, რომელთაც „მშრალ სევთან“ გაჩერებულ ვლადიმერ სუგაევის მანქანაზე ე. მელაშვილი დაინახეს. მათი დაბეჯითებითი სიმართლის თქმამ ვლადიმერ სუგაევის წინააღმდეგობა გატეხა და მან აღიარა მისი მანქანით მელაშვილის მგზავრობა, და წამოიწყო სულ ასალი ვერსია:

— აღრე მინდოდა მეთქვა ჩემი მანქანით რომ იმგზავრა გ. მელაშვილმა, მაგრამ შემეშინდა მისი მოკვლა ჩემთვის არ დაგვბრალეობიათ და ამიტომ არ ვთქვი, მაგრამ იგი მართო არ ყოფილა, მასთან ერთად იმგზავრა სახში ბიზაროვმა. ისინი სკატიკომის უბანში ჩამოვიდნენ და ფეხით განაგრძეს გზა ონის რაიონსაკენ, სხლო მე კი მალაროსკენ გადავუსვით.

ბრალდებულის ნათქვამმა დავითი ჩააფიქრა. „არა,


შეუძლებელია ფეხით მოსიარულენი ვინმეს არ შემეჩნია სკატიკომის უბანში გზაზე. სოფელ ჩასავლიდან სკატიკომის უბანამდე გზის დათვლიერებამ ცხადყო, რომ მარჯვნივ თვალუწყედნელი კლდეებია, მარცხნივ — უფსკრული. მივლ ამ მანძილზე, 9 კილომეტრზე, არაად ბილიციც კი არ არის, რომ გვიდას გადახვევა შეიძლებოდეს.. დადგენილია ისიც, რომ ვლადიმერ სუგავეს და გრაფ გაბარაევის ვიორგი შელაშვილი სკატიკომის უბანში არ ჩაუყვანიათ, კვიასადან კი წაიყვანეს. ამიტომ საეჭვოც კი არ არის ის, რომ მელაშვილს კავისადან სკატიკომის უბანამდე გზაში მოუსპეს სიცოცხლე. შეიძლება ვლადიმერ სუგაევს და გრაფ გაბარაევის დანაშაულის სხვა თანამონაწილვეც ასლდათ, მაგრამ ვინ? ახალგაზრდა ქორწილიდან? მათ არაფრის თქმა არ სურთ... ყოველ შემთხვევაში ეს გარემოებითი მტკიცება ზოგ პირდაპირ მტკიცებას სჯობია თავისი მნიშვნელობით“ — გამოერკვა ფიქრებიდან დავითი და დაკითხვა განაგრძო:

— თქვენი ავტომანქანის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მას ავლია ხელსაწყოები, რა უყავით ისინი?


— ჩემ ავტომანქანას არც ერთი ხელსაწყო არ ქონია თავიდანვე...

— როგორ, თქვენ ხომ ძველ ავტომანქანას ამუშავებდით, განა შეიძლება ისეთი საჭირო ხელსაწყოების გარეშე, როგორიც არის საბურისი და მოსამართა, იმუშაოს ავტომანქანამ და ისიც ასეთ ცუდ გზებზე? ბრალდებულმა ჯერ თვალი გაუსწორა გამომძიებელს, იათქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ უცებ თავი ჩაღუნა და პასუხი აღარ მიუცია.

სულ სხვადასხვა ჩვენებების მიცემამ განაპირობა ბრალდებულების ვლადიმერ სუგაევის და გრაფ გაბარაევის დაპირისპირება. ისინი ეტყობა არ ელოდნენ



შეხვედრას, ჯერ ორივეს ფერი ეცვალა, მერე ვლადიმერ სუგავეს ნერვიულად გაეცინა და თავის ამხანავს დაკვირვებით ჩააშტერდა თვალბში. გრაფ გაბარაევი გაკვირვებული დარჩა, როცა მისი ამხანავის ახალი ჩვენება მოესმინა. გამომძიებელმა დაინახა, თუ როგორ დაბანია სახში ბიზაროვის სხენებამ გაბარაევი და ბოლოს როგორ ინსტიქტურად დაადასტურა ვლადიმერ სუგაევის ჩვენება ბიზაროვის შესახებ.



ფ. მამუჩაშვილი 2-3 დღით მარტო წაეიდა კვიას-ში გარკვეული დავალებით.

11

საწერ მაგიდაზე აუარებელი ქაღალდები ელავა. დავითი ოთახში ბოლთას სტემადა. ამ დროს მასთან სასემომილიმარი ფარნა შევიდა.

— შენზე ვფიქრობდი, სად დაიკარგე, — ხელი გაუწოდა ქორიძემ.

— მოვედი და სასისარულო ამბებიც მოვიტანე, ჩემო დავით.

დავითმა მას გაკვირვებული შეხედა.

— კვიასში ყოფნის დროს ხაზში ბიზროვიც მოვიანასულე. აი, როგორი საგულისხმო რამ მომიყვია... თუმცა უმჯობესია პირადად მოუსმინო. ფარნა სასწრაფოდ გარეთ გავიდა. მალე ოთახში სანდომიანი ხაზის ახალგაზრდას შემოუძღვა. მან ქორიძეს გაუღიმა და თითქოს მიხვდა რომ არ უნდა დაეყოვნებინა, მაშინვე საუბარი დაიწყო: ვმუშაობ სკატეიომის საწარმოო უბანზე — მეკომპრესორედ. დაპატიმრებულ ვლადიმერ სუგავეს მილიციონერი მიაცილებდა. ვლადიმერმა მე რომ დამინახა, მილიციონერისაგან ნებართვა აიღო, ჩემთან მოვიდა და მთხოვა — თუ პროკურატურაში დამიბარებდნენ და დამკითხავდნენ, ნეტქვა, რომ 1960 წლის 3 მაისს მე ვიმგზავრე ვინე გ. მელაშვილთან ერთად ვლადიმერის ავტომანქანით, ვითომ მელაშვილთან ერთად ჩამოვედი სკატეიონის უბანში და ფეხით განავარძეთ ორივემ გზა ონის მიმართულებით. ამ თხოვნის შესრულებაზე მე უარი ვუთხარი, რამაც სუგავეი ძალიან გაანაწყყნა.

სინამდვილეში, იმ დღით, როგორც ყოველთვის, ფეხით წავედი სკატეიომში დილის რვის ნახევარზე. 9 საათისთვის გამუშაოვე ვიყავი. მისვლისთანავე საწყობში გამოვეცხადე და მასალები მივიღე.

ხომ არ იცით იმ მილიციის მუშაკის გვარი? — შევეკითხა დავითი.

— ამის თაობაზე მე უკვე მივიღე ზომები. მილიციის უფროსისაგან გავიგე მისი ვინაობა და ხვალ იგი უკვე ჩვენთან იქნება — დასძინა ფარნამ.

„ეტყობა, თუ ბრალდებულს დაუდასტურებოდა მელაშვილის მისი ავტომანქანით მგზავრობა, მაშინ დაასახელებდა ხაზში ბიზროვს. სამაისოდ ზომებაც ქონია მიღებული“ — გაიფიქრა დავითმა.

გამომძიებელმა რამდენიმე შეკითხვა კიდევ მისცა ბიზროვს, დაკითხვის ოქმზე ხელი მოაწერა, უთხრა, რომ შეიძლება კიდევ მოუხდეს შეწუსება ბრალდებულთან დასაპირისპირებლად.

— მე პირიქით გამიხარდება, თუ შევკლებ რამეში დახმარებას — უპასუხა ბიზროვმა და იქ მყოფთ გამოემშვიდობა.

— კეთილი ადამიანები მუშაობას გვიმსუბუქებენ ჩვენ ფარნა. პატიოსანი ადამიანები რომ არ გვეხმა-

რებოდნენ, მუშაობა გავციდნებოდა. ზოგს გონია, რომ ჩვენ, გამომძიებლები, თითქოს რაღაც „ჯადოს“ გამოყენების გზით ვხსნიდეთ დანაშაულს. მათ არ სჯერათ, რომ ჩვენ წარმატებას განუზომელი შრომით ვაღწევთ და, რომ სწორედ ბიზროვის მსგავსი პატიოსანი ადამიანები გვიადვილებენ ჭეშმარიტების დადგენას.

დავითის სამუშაო ოთახში გვიანამდე არ ჩამქრალა შუქი. იგი ფარნასთან ერთად მუშაობდა.

— სამსახურში ბიზროვი კარგად დაასახიათეს, — აღნიშნა ფარნამ, — მე მომიხდა სკატეიომის უბნის საწყობში საბუთების შემოწმება, შევამოწმე გასაყვლის ორდერიც. საწყობიდან გაცემული მასალების აღრიცხვის ყურნალიდან ჩანს, რომ 3 მაისს ხაზის პირველს ქონდა მიღებული მასალები. სიაში მომდევნო პირებმა — გაჯივმა, ქოქოვმა და მეტრეველმა უზენეს, რომ მათ მასალები მიიღეს 9-დან ათის ნახევრამდე — პერიოდში.

— ამრიგად, დოკუმენტურადაც მტკიცდება ვალოდია სუგავეის განმარტვის სიყალბე ხაზის მის მიერ წაყვანის შესახებ, რადგანაც იგი თვითონვე ვერ უარყოფდა რომ 3-ში დილას სოფ. ჩასავლიდან 10 საათის შემდეგ წაეიდა სკატეიომისაკენ.

— არა, ხვალინდელმა დღემ ბევრი რამ უნდა გადაწყვიტოს, ეს დღე გარდამტეხი უნდა იყოს — ამ აზრით დაშორდნენ ერთმანეთს დავითი და ფარნა.

12

დილის ათი საათი იქნებოდა, როცა გამომძიებელი ოთახში მილიციის მუშაკი ისიდორე კოკოვეი შემოვიდა. იგი არც ცდლა რამის დამალვას, გულსაწილად მოყვა ყველაფერს:

— მილიციის უფროსმა დამავალა წამყვანა ქ. ცხინვალში დაპატიმრებული ვლადიმერ სუგავეის სოფ. გუფტაში გაჩერებული იყო ავტომანქანა, რომლის ასლოც იდგა ახალგაზრდა. პატიმარმა მთხოვა, ნება მიმეცა ავტომანქანიდან ჩამოსულიყო, რათა თავი მოეყვანა წესრიგში. სუგავეი მივიდა იმ ახალგაზრდასთან და დაუწყო ლაპარაკი. მე გარკვევით გავიგონე, რომ თხოვდა დედის სტრუქტურებინა 3 მაისს მისი ავტომანქანით მელაშვილთან ერთად მგზავრობა, შემდეგ ვითომ სკატეიომში ჩამოვიდნენ და მელაშვილთან ერთად ონის მიმართულებით განავარძეს გზა. ახალგაზრდას სახეზე მრისხანება გამოესატა. მკაცრად, ხმაშაღლა უპასუხა, რომ 3-ში იგი მასთან არ ყოფილა.

ვლ. სუგავეის და გრაფ გაბარავეის სიჯიუტე ხაზბი ბიზროვის და კოკოვეის მათთან დაპირისპირებამაც ვერ გატეხა. მიუხედავად ამისა, საქმე დავითს ძირითადად დამთავრებულად მიაჩნდა. საჭირო იყო ზოგიერთი დეტალის დაწუსტება.

საქმის სწრაფად წარმართვას ერთმა გარემოებამაც შეუწყო ხელი:

1961 წლის 19 ნოემბერს კამერაში, სადაც დაპატიმრებული იყო ვლადიმერ სუგავეი, ცისას აღმინის-ტრაკიამ ჩაატარა ჩხრეკა და აღმოჩნდა ვლადიმერის ზეწლით დაწერილი წერილი არონ სუგავეის მისამართით, რომლის გაგზავნაც ბრალდებულს ვერ მოუწოთ ან ვერ მოუხერხებინა. წერილით აფრთხილებდა სუგავეს, რომ პროკურატურაში მისულიყო და ჩიულებს ის ჩვენება, რასაც იგი სასაბუღალტროში მოუყვა. მელაშვილის სიკვდილის შესახებ.

იმავე დღეს დაიკითხა არონ სუგავეი. პირველად არაფერის თქმა არ უნდოდა, მაგრამ როცა ვლადიმერ სუგავეის მიერ დაწერილი წერილი დაუდეს წინ, ყველაფერს დეტალურად მოყვა: ვიდრე ვლადიმერ სუგავეს განმეორებით დაიჭერდნენ, იგი შემხვდა სასაბუღალტროში და მითხრა, რომ 3 მაისს, სკატიკომის გზაზე ავტომანქანის მკვეთრი დამუსრუტების შედეგად მელაშვილი გადმოვარდა ავტომანქანიდან, თავი ქეპს დაარტყა და აღვიღებულ ვათოვდაო. ეს ამბავი არსად მითქვამს, რადგან პასუხისმგებლობის შემეშინდა, გაბარავეის დახმარებით გვამი გზასთან ახლო ბუჩქებში დაემაღლეთ, ხოლო 2-3 დღის შემდეგ, დამე მოვედით და სრამში გადავადგეთ სკატიკომის უბანთან, ონის რაიონის ტერიტორიაზე.

პირველად არონ სუგავეს ეს ამბავი უბედურ შემთხვევად მიაჩნდა, მაგრამ როცა გაიგო რომ მკვდარი გაძარცვული იყო, სახეზე გულისწყრომა გამოესატა. აღნიშნული ჩვენება პირისპირ გაიმეორა ვლადიმერ სუგავეთან დაპირისპირებისას. ამ ორი აღამიანის დაპირისპირებით იგრძობოდა, რომ ერთს ადამიანის დაკარგვა მწვავე განცდამი ავლენდა, ხოლო მეორეს, თითქოს გულის მავივრად ქვა ქონდა, ადამიანის უბედურება არაფრად მიაჩნდა, თაღლითურად ცდილობდა თავის დაძვრენას.

— თქვენ ბრალი გედებათ მკვლელობაში — მკაცრად მიმართა ქორიძემ.

— დამიმტკიცეთ! — ბოროტად გაისინინა ვლადიმერ სუგავემა.

— შეგრებილი მასალები თქვენ დანაშაულზე ლაპარაკობს. ჯიუტი საქციელით სასჯელს უფრო დაიმძიმებთ. როგორც არ უნდა ეცადით ჭეშმარიტების დაფართვას, არაფერი გამოვივათ — თანდათან სიმკაცრე ემატებოდა დავითის ხმას. — გირჩევთ აღიაროთ დანაშაული და დასასჯელოთ თანამონაწილეები — ამ სიტყვებით გაისტუმრა გამომძიებელმა ბრალდებულს ვლადიმერ სუგავეი საკანში.

ქორიძესთან დაკითხვაზე გრაფ გაბარავეის საკანში მყოფი პატიმარი ზაურ ცხოვერბოვი შემოიყვანეს, რომელსაც გრაფ გაბარავეი მოუყვა, თუ როგორ „შემოაკვდათ ხელში“ მას და ვლადიმერ სუგავეს ერთი აჯალღაზრდა... იმ დროს, როცა „მშრალ ხევიან“ ვითომ წყლის ჩასასხელოდ გაეაჩერეთ ავტომანქანა, იგი ჩვენი თხოვნით ჩამოვიდა ავტომანქანის ძარაღან

და იქვე ახლო დაჯდა ქვაზე. მას უკანდნ შეეპარა ვლადიმერ სუგავეი და მანქანის საბურისი რამდენჯერმე ძლიერად ჩაარტყა თავში. შემეშინდა არავინ დავენახეთ, ძრავას ასამუშავებელი სახელური მეც ჩაფარტყა თავში და შემდეგ სასწრაფოდ ბუჩქებში გადავათრეით. პალტოს შიდა ჯიბეში ვაწოთში გახვეული პერანგი აღმოაჩნდა, ჩვენ კი შევეცდით, ფუ-



ლი გვევონა, ჯიბეში მხოლოდ 1000 მანეთი (ფულია ძველი კურსით) და ლატარიის ბილეთები აღმოაჩნდა, საათი მოგხსენით და გვაში ბუჩქებში დავმაღეთ, ორი დღის შემდეგ კი სრამში გადავადგეთო“.

ამ მსეცუმმა მოქმედებამ პატიმარშიც კი ზიზღი და აღშფოთება გამოიწვია, ამიტომ იყო, რომ უყოყმანოდ მოყვა გრაფ გაბარავეის ნათქვამი და პირზეც კი დაადგა მას. როგორც მისალოდნელი იყო, გრაფ გაბარავემა პატიმართან მონაყოლი უთარყო.

13

შიში, რომელიც სულ უფრო და უფრო იპყრობდა მკვლელს, არ ქრებოდა. ვლადიმერ სუგავეი საკანში ბორცავდა, მთელი დამეები არ ეძინა, დაკარგა მისვენება. თავის თავს ებრძოდა. გრძობდა, რომ მტკიცების ჯაჭვი მის გარშემო მტკიცედ შეიკრა, ჩისში იყო მოქცეული, საიდანაც თავის დაღწევა შეუძლებელი იყო. „ვადიარო ყველაფერი? არა და არა“. ამ მტკიცე გადაწყვეტილებით შევიდა ბრალდებულს გამომძიებლის ოთახში. დავითის დაკვირვებულ თვალს პატიმრის სულიერი დეღვა არ გამოპარებია. ვგონა — დაძლევაა ზოლოს და ბოლოს პატიმარი სიჯიუტეს, მის არსებაში რაიმე ადამიანური გაიღვიძებდა, ერთსეულ კიდევ ესაუბრა, მაგრამ ამაოდ.

ოთახში გრაფ გაბარავეი შემოიყვანეს. მათ ერთმანეთს უხალისოდ გადახედეს.

არცერთ პატიმარს შეიკითხვაზე პასუხი არ გაუცია. ამჯერად არაფერი უთქვამთ, ისხდნენ თავჩაღუნული და გამომძიებლის სახეში შეხედვას ერიდებოდნენ.

14

დავით ქორიძე ოთახში მარტო იყო. დღეს არც პატიმარი ჰყავდა დაკითხვაზე, არც საქმე ქონდა გადაშლილი. წინა დღეს იყო მასთან მელაშვილის საცოლე ლ. რეზიანაშვილი. გული მოუკვდა „რატომ უნდა იყოს შავებში ასეთი ახალგაზრდა, რატომ გაუმწარეს ახალგაზრდობა გარეყრებმა. გაზაფხულზე ხომ მათი ქორწილი უნდა ყოფილიყო. რატომ არსებობენ ასეთი გულჭკვა ადამიანები?“

დავითმა ყველაფერი ნათლად წარმოიდგინა:

გაზაფხული... გრძნეულის ჯადოსნური ფუნჯით მისაბატული მინდვრები, ტყეები. მაისის თვე. ურიცხვი იგბით მონითული, მიწის სუნით გატენვითი პაერი.

საღამოედება. შეუმჩნეველად თანდათან ერთდებიან ჩრდილები. კვიასას სასტუმროს ახალგაზრდა, მოხდენილი შესახედაობის ვაჟკაცი გ. მელაშვილი ესტუმრა იგი სასტუმროს დიასახლისსა ხუთსაწოლიან ნომერში გაისტუმრა, სადაც სამ კაცს უკვე დაეკავებია ადგილი. გიორგის ოთახში სული შეეხუთა, სიმყუდროვე ვერ ნახა. სასტუმროს დიასახლისს ცალკე ოთახი თხოვა, უარი რომ მიიღო, ფულის შენახვა თხოვა, ხოლო თანხის რაოდენობა არ უთქვია, რადგან თხოვნაზე უარი უთხრეს.

„იქნებ სასტუმროს დიასახლისმა შეატყობინა ვინმეს, რომ მელაშვილს დიდი რაოდენობით ფული ქონდა და ეს იქნებ იმიტომ მიეჩვენა, რომ გიორგის პალტოს შიგნითა ჯიბეში, გაზეთში გასვეული პერანგი ედო და პალტო ამ ადგილზე გამოხერხილი იყო. ნეტავ ისე მომხდარიყო, რომ გიორგის ეჩვენებინა მისთვის პერანგი რომ ედო უბეში, თუ საშაბი ეს იყო ეგებ გადარჩენილიყო იგი?!... იქნებ ამიტომაც აძალებდა ღვინოს ქორწილში მასპინძლისათვისაც უცნობი ახალგაზრდა?“

რატომ მოტყუვდა გიორგი მელაშვილი, რატომ ვერ მიხვდა, რომ მას რაღაც უბედურებას უმზადებდნენ? ეს ჩვეულებრივ პირობებში არც თუ ისე ძნელი მიახვედრი იყო... მგზავრებით სავსე ავტომანქანიდან ჩამოიყვანეს, უცხო ოჯახში შეიპატიჟეს და როცა გზაზე დაბრუნდა, მას, თითქოს საპეციალურად, დასვდა სხვა ავტომანქანა, რომელზედაც მგზავრი მის გარდა სხვა არავინ იყო, ამასთან, ეს ავტომანქანა თვითმცლელი იყო და მგზავრების გადასაყვანად მოუხერხებელი... იქნებ გაზაფხულის დილამ და ღვინას გახეხნებამ დააფიქცა ყველაფერი, რომლის გაბუტულიც. საბჭოთა სამართალი № 2.

ტუჩები მუდამ შორს წასვლაზე უსაყვედურებდა, თქნებ სასმელმა იმოქმედა?

ფაქტი, რომ მკვლელობა ვლ. სუვავეისა და გრაფ გაბარავეის მიერ იყო ჩადენილი, ეჭვს აღარ იწვევდა, მაგრამ რამ ჩაადენინა მათ ეს საზიზღარი დანაშაული, რისთვის მიკვლეს, რა აინტერესებდათ? ამ საშინელ ჩანაფიქრს დასაწყისი ხომ არ ქონდა სასტუმროში? ვინ იყო ის ახალგაზრდა, რომელიც ქორწილში სასმელს აძალებდა მელაშვილს? განა შეიძლებოდა იგი მოხვედრილიყო ბესო სუვავეის ოჯახში თუ მას ან ოჯახის წევრი, ან სტუმართაგანი ვინმე არ იცნობდა? ამის გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ რატომ დუმიან ის ადამიანები, რომლებმაც იციან ამ ამბის შესახებ რამე...“

მართალია საქმეზე გამოძიება დამთავრებული იყო, მაგრამ ამ საინტერესო დეტალების გარკვევა შეუძლებელი ხდებოდა მხოლოდ იმის გამო, რომ ბრალდებულებმა არ ისურვეს ელიარბინათ მათ მიერ ჩადენილი დანაშაული.

ეს ფიქრები დღე და ღამე მოსვენებას უკარგავდა დავითს.

* * *

საუბედუროდ ჯერ კიდევ არის შემთხვევა, როცა დანაშაულის ყველა თანამონაწილის გამოვლინება გამოძიების პერიოდში შეუძლებელი ხდება. არ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ ამ საქმეში ასეთ პირობებს წარმოადგენენ დაბა კვიასას სასტუმროს დიასახლისი, უცნობი ახალგაზრდა ქორწილიდან და სხვებიც, რომელთა მიმართ გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოხერხდა საკმაო მხილებების შეკრება და ისინი სისხლის სამართლის წესით დაუსჯელნი დარჩნენ, მაგრამ ხომ არსებობს მეორე სასამართლო, რომელსაც მორალური სასამართლო ეწოდება; საზოგადოებრიობისათვის, რომელთაც ეს ამბავი იციან, რწმენის მისაღებად სავალდებულო არ არის ოფიციალური მტკიცებები.

რა ვუყოთ, დაე ეს ცოდვა მათ სინდისზე იყოს.

15

სამხრეთ ოსეთის ოლქის სასამართლოს დარბაზი გაქვდილი იყო ხალხით. აქ ირჩეოდა ვლადიმერ სუვავეისა და გრაფ გაბარავეის ბრალდების საქმე. სასამართლოზე ჩამოსული იყვნენ სამხრეთ ოსეთისა და ონის რაიონების მცხოვრებლები, კვიასას მადაროს

მუშები, ინტელიგენცია, სოფელ ჩასავალის მცხოვრებნი, დაზარალებულის ახლობლები.

აღსანიშნავია, რომ სოფ. ჩასავალი ჯავის რაიონის უკანასკნელი სოფელია. მას ახლოს ესაზღვრება ონის რაიონის სოფლები. მათი მკვიდრნი მეგობრულ დამოკიდებულებაში არიან. განუყოფელია მათი ჭირაც და ლხინიც. ეს იგრძნობოდა სასამართლოს პროცესზეც. ისინი აღშფოთებულად ერთნაირად გამოთქვამდნენ მკვლელის მიმართ.


საქმეს ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია იხილა და ოლქის სასამართლოს წევრის გრიგოლ სვანიძის თავმჯდომე-

რებით, ხოლო ბრალდებას მხარს უჭერდა ოლქის პროკურორის მოადგილე ნიკოლოზ გოჩაშვილი.

საქმის ყველა გარემოება დეტალურად იქნა განხილული, შეფასებული. ვლადიმერ ხუგაევი და გრაფ გაბარაევი ყოველმხრივ ცდილობდნენ როგორმე გადაეთქმევინებიათ ჩვენებები მთავარი მოწმეებისათვის (ბიაზროვისთვის, ა. ხუგაევისთვის, კოკოევისთვის, ცხოვრებოვისთვის და სხვ.) მაგრამ მათი ყოველგვარი ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

განაჩენი ასეთი იყო:

ვლადიმერ ხუგაევის, როგორც ინიციატორს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიესაჯა, ხოლო გრაფ გაბარაევის — 15 წლით პატიმრობა.



სახელმწიფო იუბილე



საზოგადო მოღვაწეობის 55 წლისთავი შეუსრულდა გამორჩეულ საბჭოთა მეცნიერს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ დიმიტრი მიხეილის ძე გენკინს.

დ. მ. გენკინი დაიბადა 1884 წელს ერობის ექიმის ოჯახში. 1903 წელს იგი შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, მაგრამ ერთი წლის შემდეგ გარიცხულ იქნა უნივერსიტეტიდან რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

1909 წელს დ. მ. გენკინი ბრწყინვალედ ამთავრებს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს და მას იქ ტოვებენ ცნობილ ცივილისტთან პროფ. გ. ფ. შერშენევიჩთან საპროფესოროდ მოსამზადებლად. მაშინდელი განათლების მინისტრის კასოს რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, სხვა მოწინავე ლექტორებთან ერთად, დ. მ. გენკინი ტოვებს უნივერსიტეტს და გადადის

შანიავსკის სახელობის სახალხო უნივერსიტეტში და მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტში, რომლის ბაზაზე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შეიქმნა გ. ვ. პლენანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტი.

ჯერ კიდევ რევოლუციამდე ფართოდ გაითქვა სახელი ახალგაზრდა, პროგრესულად მოაზროვნე მეცნიერმა თავისი ჩინებული შრომებით სამოქალაქო სამართალში. დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება დ. მ. გენკინის მიერ 1915 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომს „გაღებულეზაზე შესრულების შეუძლებლობის გავლენის საკითხისათვის“.

ახალგაზრდა მეცნიერის შემოქმედებით და ორგანიზატორული უნარი მთელი სისრულით ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გამოვლინდა. 1919-1921 წლებში დ. მ. გენკინი იყო გ. ვ. პლენანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის რექტორი. ერთდროულად იგი ხელმძღვანელობდა ინსტიტუტთან მისი ინიციატივით შექმნილ მუშათა ფაკულტეტს. დღესაც, უწყვეტად 55 წელია იგი გ. ვ. პლენანოვის სახელობის ინსტიტუტში მუშაობს, სადაც სამოქალაქო სამართლის კათედრას ხელმძღვანელობს.

1942-1944 წლებში პროფ. დ. მ. გენკინი მუშაობდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლეს სკოლების კომიტეტის სოციალ-გეონომიური და იურიდიული უმაღლესი სასწავლებლების სამმართველოს უფროსის მოადგილედ. წლების მანძილზე იყო იურიდიულ მეცნიერებათა საკავშირო ინსტიტუტის სამოქალაქო და შრომის სამართლის სექტორის გამგე და სხვა.

უკვე რამდენიმე ათეული წელია პროფ. დ. მ. გენკინი გამოდის როგორც სუპერარ-

ბიტრი საგარეო ვაჭრობის საარბიტრაჟო კომისიაში ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო დაგების გადაწყვეტისას საგარეო სავაჭრო ოპერაციების თაობაზე.

პროფ. დ. მ. გენკინი 100-ზე მეტი შრომის ავტორია. ბევრი მისი შრომა გადათარგმნილია უცხო ენებზე. ეს შრომები კვლევის სიღრმით, აზრის სიასლით და პრობლემის დაყენების აქტუალობით ხასიათდებიან. ისინი აღვივებენ მეცნიერულ აზრს და ხშირად ახალი მეცნიერული კონცეპციის ჩამოყალიბების გამოსავალ პუნქტად ხდებიან. პროფ. დ. მ. გენკინის შრომების დამახასიათებელი თვისებაა საზოგადოებრივი განვითარებით ნაკარნახევი აქტუალური სამართლებრივი საკითხების მიგნება და მეცნიერული განზოგადება. ამიტომაც არაერთხელ მომხდარა, რომ პროფ. დ. მ. გენკინის ნაშრომში დაყენებულ დებულებას ფართო აღიარება ჰქონია სასამართლო — საარბიტრაჟო პრაქტიკაში და ისინი ასახულა ახალ კანონმდებლობაში.

უადრესად ფართოა პროფ. დ. მ. გენკინის მეცნიერული კვლევის დიაპაზონი — სამართლის თეორიის ზოგადი საკითხები, შრომისა და ადმინისტრაციული სამართლის აქტუალური პრობლემები, თითქმის ყველა ძირითადი ინსტიტუტი სამოქალაქო სამართლისა.

პროფ. დ. მ. გენკინის შრომებში განზოგადებულია უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი ასპექტი საგარეო ვაჭრობისა, აგრეთვე ქვეყნის შიგნით ვაჭრობის სამართლებრივი მოწესრიგება.

პროფ. დ. მ. გენკინი შესანიშნავი მეცნიერ-ორგანიზატორია. მისი მეცნიერული ხელმძღვანელობით და რედაქტორობით მრავალი გამოკვლევა გამოქვეყნდა, რომლებითაც არა მარტო სრულიად ახალი პრობლემა დამუშავდა, არამედ ბევრი ახალი ავტორი მოვიდა საბჭოთა სამართლის მეცნიერებაში.

მეტად დიდია პროფ. დ. მ. გენკინის როლი სამოქალაქო სამართლის დარგში სასახელმძღვანელოების შექმნაში. მისი რე-

დაქტორობით და თანაავტორობით გამოცემულ უმაღლეს სკოლებისათვის სახელმძღვანელოები სამოქალაქო სამართალში 1938 წელს (ორ ტომად), 1944 წელს (ორ ტომად), 1950-1951 წწ. (ორ ტომად).

1958 წელს გამოვიდა პროფ. დ. მ. გენკინის რედაქციით და თანაავტორობით კაპიტალური გამოკვლევა „სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სამოქალაქო სამართალი“.

დიდი დამსახურება მიუძღვის პროფ. დ. მ. გენკინს არაიურიდიულ, განსაკუთრებით ეკონომიურ უმაღლეს სასწავლებლებში სამართლის საფუძვლების სწავლების საქმეში. მრავალი სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო გამოიცა მისი რედაქტორობით და თანაავტორობით. ერთერთი მათგანი „საბჭოთა სამოქალაქო სამართალი“ (1961 წ.) დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ სავაჭრო ეკონომიური უმაღლესი სასწავლებლებისათვის. პროფ. დ. მ. გენკინის მეცნიერული კვლევის ცენტრს სოციალისტური საკუთრების პრობლემა წარმოადგენს. მეტად ნაყოფიერი მუშაობა ამ დარგში თავის გამოსახულებას პპოულობს შესანიშნავ მონოგრაფიაში „საკუთრების სამართალი სსრ კავშირში“, რომელშიც განზოგადებულია ავტორის მრავალწლიანი დაკვირვება და დასკვნები სოციალისტური საკუთრების მრავალსახოვანი პრობლემისა.

პროფ. დ. მ. გენკინის ფართო ერუდიციამ, ღრმა მეცნიერული აღდღოსი და ფაქიზი იურიდიული ანალიზის ოსტატის წინადადებებმა დიდად შეუწყვეს ხელი საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობის სრულყოფასა და განვითარებას.

პროფ. დ. მ. გენკინი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის სრულყოფასა და დახვეწაში.

პროფ. დ. მ. გენკინის უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა მრავალრიცხოვანი კადრი მეცნიერ-მუშაკებისა, რომლებიც

წარმატებით მუშაობენ ახლა როგორც მოსკოვში, ისე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში.

პროფ. დ. მ. გენკინის მრავალათეულწლიანი მოღვაწეობის შედეგად აღიზარდა თაობები საბჭოთა იურისტებისა, ეკონომისტებისა, დიპლომატებისა, რომლებიც წარმატებით მუშაობენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგებში, ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

პროფ. დ. მ. გენკინი შესანიშნავი ორა-

ტორია და ბრწყინვალე პოლემისტი. მას მრავალჯერ სახელოვნად წარმოუდგენია საბჭოთა იურისპრუდენცია საზღვარგარეთ.

პროფ. დ. მ. გენკინის შემოქმედება ნიმუშია ახალგაზრდა მეცნიერთათვის. მისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი არა თუ არ მცირდება, არამედ სრულიად ახალი ძალით იზღება, იგი ახალგაზრდული ენერჯით უტევს საბჭოთა სამართლის მეცნიერების ახალ მწვერვალებს.



ქორეა და მიქოთოეზი

მონოგრაფია საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის პირობებზე*

პროფ. ივ. სურგულაძის მეცნიერულ მოღვაწეობას უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში. მან არა ერთი მონოგრაფია მიუძღვნა ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის პრობლემებს. მის გამოკვლევებს ყოველთვის ყურადღებით ეპყრობიან ქართველოლოგები. ინტერესით იკითხება განსახილველად აღებული ეს წიგნიც, რომელიც ავტორის მიერ ამ ბოლო წლებში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგია.

სამართლის ძეგლების ღრმა ანალიზის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებდით მთელი სივრცისიგანი წარმოგვედგინა ფეოდალური საზოგადოების ძირითადი კლასების ისტორია და შეგვესწავლა მაშინდელი სახელმწიფოებრივი და სოციალური წყობილების განვითარების ძირითადი ეტაპები. ვასაგებია, რომ ასეთ პრობლემათა დამუშავებისას ხორციელდება იურისტებისა და ისტორიკოს-ეკონომისტების კოორდინაცია, რომელსაც უშუალოდ ვადაშქვევტი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ისტორიოგრაფიის წარმატებისათვის.

თავისი ნარკვევების პირველ ნაწილში ავტორი განიხილავს ქართული სამართლის ისტორიის ისეთ მრავალმნიშვნელოვან ძეგლებს, როგორც არიან ოპიზის სიგელი, ქსნის ერისთავის 1470 წლის სიგელი, ბოძებუი ლარგვისის მონასტრისადმი, 1590 წლის განჩინება მეკობარომძებნელის შესახებ, სასამართლოს განაჩენი დიდი მოურავისა და ჯავახიშვილის საქმის გამო (1620 წ.) და დასტურლამალი.

აღნიშნული ძეგლების განხილვისას ავტორს წამოყენებული აქვს არა ერთი ორიგინალური დებულება, რომელიც თავის ადგილს დაიმკვიდრებს სამართლისმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში.

ოპიზის სიგლისა და სხვა ძეგლების ანალიზის საფუძველზე ავტორი გამოთქვამს, ჩვენის აზრით, სწორ დებულებას, რომ ფეოდალური სასამართლო, როგორც გაბატონებული კლასის

ინტერესთა დამცველი, მშრომელთა მასების მიმართ აშკარა დათრგუნვის კურსს ანხორციელებდა, ხოლო ფეოდალთა შორის აღმოცენებული დავის დროს მხოლოდ შემარაგებელ-მაზავებლის როლს ასრულებდა (გვ. 10—11 და 62). ავტორი სწორად შენიშნავს, რომ კერძოდ, ოპიზის სიგელი საფუძველს ვეძლევის ვიმსჯელოთ სასამართლო პროცესების პრინციპების, მისი სტადიების შესახებ. ყურადღებას იპყრობს ამ სიგლის საკმაოდ დახვეწილი იურიდიული ტერმინოლოგია, მისი შედგენლის აზროვნება, რომელიც XI საუკუნისათვის მაღალ დონეზე გამოიყურება.

ავტორის აზრით, სასამართლო ფუნქცია სახელმწიფოს მისი წარმოშობის დღიდანვე ახსიათებდა, რომ ძველ ქართულში საჯავა სამართლის გაჩენასა და ქვეყნის მართვასაც ნიშნავდა; მსხვილ ფეოდალთა სამემკვიდრეო მმართველობის დროს, როცა იგი საჯარო საწყისებს იძენდა, ყველაზე უწინარეს სასამართლო ფუნქცია იჩენდა თავს, როგორც ატრიბუტი საჯარო ხელისუფლებისა (გვ. 11).

ოპიზის სიგელის ავტორისეული ინტერპრეტაცია არ იფარგლება მარტო XI ს. ვითარებით, არამედ მოიცავს ფეოდალური სიმწიფის ხანის მთელ ეპოქას.

ავტორმა, როგორც ოპიზართა სიგელის, ისე ქართული სამართლის ისტორიის სხვა ძეგლების შესწავლის საფუძველზე, დამაჯერებლად დაასაბუთა სასამართლო პროცესის დროს მხარეთა უფლება-მოვალეობანი. ამ გარემოებას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ფეოდალური პროცესუალური სამართლის, მისი თავისებურების შესწავლის თვალსაზრისით. ავტორი ცდილობს სასამართლო პროცესის სტადიების დადგენას (გვ. 24). ამასთანავე, დახასიათებულია ის პრინციპები, რომელთაც სასამართლო პროცესი ეყრდნობა (გვ. 18—19), ნაჩვენებია მტკიცების საბუთები ოპიზართა სიგელის მიხედვით.

შემდეგ ავტორი განიხილავს ქსნის ერისთავის 1470 წლის სიგელს (გვ. 30—45). იგი აქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ქსნის ერისთავი XV საუკუნეში საქართველოს მეფეთ-

* ივანე სურგულაძე. ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან. თბილისი. 1963 წ. 278 გვ.

მეფეს იხსენიებს, მას „კითხულობს“ (გვ. 36), ე. ი. მასთან ათანხმებს სოფლების ბოძების საკითხს; მაგრამ ამავე სიგელში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ქსნის ერისთავებს ერისთავთა იუსტიციანი დიდის მიერ აქვთ ნაბოძები; მაშასადამე, ამ შემთხვევაში შალვა ერისთავის სიგელი მხარს უჭერს „ძველი ერისთავთა“ ვერსიას, რომ თითქმის ქსნის საერისთავო VI საუკუნეში იუსტიციანი დიდის დასტურით შეიქმნა. ამით ერისთავს იმის თქმა უნდა, რომ მას და მის წინაპრებს ერისთავთა ვარეშე ძალის მიერ აქვთ მიღებული და საქართველოს მეფეს ჩვენზე ხელი არ მიუწვდებათ (გვ. 36-37).

სარეცენზიო შრომის ავტორს მოჰყავს კიდევ ერთი სიგელი, რომელიც ქსნის ერისთავს XVI საუკუნეში ლარგვისის მონასტრისათვის უბოძებია. ამ სიგელში ერისთავი მეფეს აღარ ახსენებს, ე. ი. მეფის ხელისუფლება კიდევ უფრო დასუსტებულა, ხოლო ქსნის ერისთავი გაძლიერებულა (გვ. 38). ერისთავი თავს ქსნის უზენაეს პატრონად აცხადებდა და მოსახლეობისაგან „ლოშქარ-ნადირობით“ სამსახურს მოითხოვდა. ავტორი შენიშნავს, რომ ამ სიგელში საჯარო ხასიათის ხსენებული ბეგარა-გადასახადი და სათევზაო გადასახდელი ერთ კონტექსტშია მოცემული და ერისთავის უფლებათა ასეთი გაფართოება ცენტრალური ხელისუფლების დაძლიერებაზე მიუთითებს (გვ. 39).

ხსენებული სიგელის მიხედვით, ავტორს შეუსწავლია სისხლის სამართლის ინსტიტუტები, სხვადასხვა სახის დანაშაული და სასჯელი (გვ. 40-45).

სარეცენზიო შრომაში განხილულია 1597 წლის განწესება მეკობრისმძებნელის შესახებ. ავტორის მტკიცებით, სვიმონ მეფის სიგელი მეკობრისმძებნელის შესახებ ვიორგი III-ის 1170 წლის სიგელის შორეულ მემკვიდრედ გვევლინება. ვიორგი III სიგელში საუბარია სამპარავთმძებნელო დაწესებულებაზე. ეს გარემოება იმაზე მიუთითებდა, რომ ფეოდალთა კლასი თავისი საკუთრების დაცვაზე ზრუნავდა, რომ ამ საკუთრებას მაშინ საფრთხე ემუქრებოდა. სარეცენზიო ნაშრომში პირველად არის დასმული საკითხი იმის შესახებ, რომ მპარავთმძებნელო, მეკობრისმძებნელო და ხვევისთავი არა მარტო საქმის გამოძიებას აწარმოებდნენ, არამედ გასამართლებასაც და ეს დაწესებულება (სამპარავთმძებნელო) გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის შედეგად შეიქმნა.

ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ქურდობა მრავალ ქვეყნებში უფრო ფართო ცნება იყო, ვიდრე სხვისი ნივთის ფარულად მოტაცება და მასში გაპარცვაც შედიოდა.

სვიმონ მეფის სიგელი, ავტორის მართებული

დასკვნით, საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდენად მიიჩნევს სოფლის მეურნეობა, ე. ი. გლეხებს, რომლებიც არსებითად იბრძოდნენ ფეოდალური საკუთრების წინააღმდეგ (გვ. 54-55).

სარეცენზიო შრომაში განხილულია აგრეთვე სასამართლოს 1620 წლის განაჩენი დიდი მოურავისა და ჯავახიშვილის დავის გამო (გვ. 56-98). სასამართლო პროცესის ისტორიის შესასწავლად ამ ძეგლს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.


საკუთრადღებო ავტორის შენიშვნა, რომ მსხვილ ფეოდალებს სააკაის წინააღმდეგ გამოუყვანიათ მისივე აზნაური ბერუკა, რომელსაც ლუარსაბ II დაურწმუნებია დიდი მოურავის მტრულ დამოკიდებულებაში; ბერუკას მოურავის რაღაც საიდუმლო გაუცია (გვ. 75-76).

სარეცენზიო შრომაში გამახვილებულია ყურადღება ძეგლის პერიოდისათვის დამახასიათებელი რიგი საკითხებისადმი. ძეგლის მიხედვით, ფეოდალთა თვითნებობა დაკანონებულია, დასაშვებია; სასამართლოს პროცესის მხარეებს სავსებით ბუნებრივად მიაჩნიათ, რომ მოწინააღმდეგეს სამაგიერო გადაუხადონ (გვ. 74), რაც სახელმწიფო ხელისუფლების სისუსტეს ადასტურებს.

ავტორი ამახვილებს ყურადღებას „ხმლის გაგებაზე“, როგორც მტკიცების ერთ-ერთ საშუალებაზე (გვ. 79); განიხილავს საკითხს შესახებლებული და შეუსახლებელი, ანუ შეგდებულნი და შეუგდებელი მოფიცარის შესახებ; ასაბუთებს შესახებებულისა და შეგდებული მოფიცარის იგივეობას (ისევე როგორც შეუსახლებულისა და შეუგდებელი მოფიცარისა), აჩვენებს განსხვავებას მოწმესა და მოფიცარს შორის (გვ. 78-81).

ავტორი ხსნის ე. წ. „მადლის“ შინაარსს, რაც იმაში გამოიხატება, რომ მხარე, რომელიც ქორწინების ინიციატორი იყო, დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში, პასუხის მომტან მოციქულს „მადლის“ გადახდით ასაჩუქრებდა. „მადლის გადახდა“ ხელშეკრულების დადებას ნიშნავდა (გვ. 88).

სარეცენზიო შრომის მომდევნო პარაგრაფი მიძღვნილია „დასტურლამალის“ ხელნაწერების შესწავლისადმი (გვ. 98-112). დასტურლამალი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია. მისი აკადემიური გამოცემა დღემდე არა გვაქვს. სარეცენზიო შრომის ავტორს შეუსწავლია ჩვენს სიძველეთსაცავებში არსებული დასტურლამალის ხელნაწერები; ასეთი ხელნაწერები რაოდენობით 15-ია: სამი ლენინგრადში, ერთი გორში და დანარჩენი თბილისში. ავტორის გამოკვლევით, ზოგიერთ ხელნაწერს რამოდენიმე რედაქცია აქვს: გორის



ხელნაწერს—სამი რედაქცია ანუ სამი ვარიანტი. და სულხან მდივნის ხელნაწერს — ორი ვარიანტი. განსაკუთრებული ყურადღების ღირსად მიაჩნია დავით რექტორის 1789 წლის ხელნაწერი, რომელიც პროფ. ს. კაკაბაძეს ეკუთვნის. ამ ხელნაწერს, ავტორის აზრით, ერთგვარი გამაყნობროლებელი მნიშვნელობა აქვს მომავალი აკადემიური გამოცემისათვის. საამისოდ პროფ. ივ. სურგულაძეს უკვე საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობა გაუწევია და მეცნიერული საზოგადოება ალბათ ახლო მომავალში იხილავს დასტურლამალის აკადემიური გამოცემას.

დასტურლამალის ხელნაწერთა განხილვით მთავრდება ივ. სურგულაძის ნაშრომის პირველი ნაწილი.

სარეცენზო ნარკვევების ავტორი გვევლინება არა მარტო როგორც იურისტი-სამართლის-მცოდნე, არამედ როგორც ისტორიკოსი, ფართო მასშტაბის მკვლევარი, რომელიც საქართველოს წარსულის კარგი ცოდნით შეიარაღებულია. ამიტომ აიხსნება, რომ იგი ხშირად კონკრეტული თემის ჩარჩოებს სცილდება და მიმზიდველად მსჯელობს ქართული სამართლისა და, საერთოდ, ისტორიის სხვადასხვა ეპოქებზე. რა თქმა უნდა, ასეთი მსჯელობა ნაშრომში განსახილველ ძეგლის ამა თუ იმ ჩვენებიდან იღებს სათავეს და ფართო ფონზე იშლება. თუმცა, უნდა ითქვას, ასეთი წილისგლები ყოველთვის სასურველი არაა, ნარკვევის გადატვირთვის იწვევს და ზოგჯერ კონკრეტული საკითხის საზიანოდ ზღვება.

ჩვენი ისტორიოგრაფიის მიღწევათა გააზრებას ემყარება, მაგრამ გარკვეულ ორიგინალობას მოკლებული არაა, ავტორის საკმაოდ მწყობრი და სწორი მსჯელობა ფეოდალური ქართული სახელმწიფოს საყრდენი ელემენტებისა და ცენტრალური ხელისუფლების გამოქვეყნების შესაძლებლობათა შესახებ (გვ. 11—12).

ქრონოლოგიური კონკრეტიზაცია და დაზუსტება სჭირდება ასეთ დებულებას—„სამეფოსასამართლოს იურისდიქცია მხოლოდ სამეფო მამულებზე ვრცელდება უშუალოდ და განუსაზღვრელად“ (12). რა თქმა უნდა, ყოველთვის ასე არ ყოფილა.

სწორია ავტორის შენიშვნა, რომ მოთრავ გიორგი სააკაძის ისეთი დაწინაურება არ იყო კანონზომიერი მოვლენა საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილებისათვის (გვ. 60) და სხვ.

ვერ დავთანხმებით პატივცემულ ავტორს ცენტრალური ხელისუფლების სისტემის მანიშნებელი არგუმენტის შესახებ მსჯელობაში ოპიზის სიგელის მიხედვით. ოპიზისა და მიჯნაძორის მონასტრებს შორის დავა ბაგრატი მეფემ

ისე გადაწყვიტა, რომ ორივე მოღვაწე მხარე დააკმაყოფილა, თუმცა სიმართლე მიჯნაძორის მხარეზე იყო. ასეთი შემარბიებლური გადაწყვეტილება არა მარტო იმით აიხსნებოდა, რომ ქრისტიან მეფეს მონასტრებისადმი განსაკუთრებული მოკრძალება და ყურადღება ახასიათებდა, არამედ იმიტომ, რომ ოპიზის მონასტრისაც ჰქონდა ხელწასაჭიდი საბუთი, რაც მას პრეტენზიების აშკარა საფუძველს აძლევდა. მეფეს არ სურდა, რომ მონასტრებს შორის განხეთქილება ყოფილიყო. ასეთი გადაწყვეტილება ხსენებულ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, არ გამოიღვება ცენტრალური ხელისუფლების სისტემისა და მით უმეტეს, იმის საბუთად, რომ „მეფეს თავისი გადაწყვეტილება ვერ მოჰყავს სისტულეში“ (სარეც. ნაშრ., გვ. 10). მართალია, ამ დროს ცენტრალური ხელისუფლება საერთოდ სუსტი იყო, მაგრამ შედარებით აღმავალი გზით მიდიოდა. ყოველ შემთხვევაში, ოპიზის სიგელიდან აღნიშნულ სისტემას ჩვენ ვერ ვხედავთ.

ავტორი თვლის, რომ მამფალი და მეფე ერთი და იგივეა შინაარსით (გვ. 29). ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მამფალი მთავრის ტიტულს უდრიდა.

ვერ გავიზიარებთ წიგნის ავტორის ასეთ დებულებასაც: „XIII საუკუნის საქართველოში არის არაპირდაპირი ნიშნები ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის ჩასახვისა (საქალაქო წყობილება, სავაჭრო ამხანაგობანი, აბსოლუტური მონარქიის იდეების გავრცელება და სხვ.)“ (გვ. 268). „სხვაში“ რას გულისხმობს ავტორი არ ვიცით, მაგრამ აღნიშნული არგუმენტები ხსენებული დებულების დასამტყიცებლად არ გამოიღვება.

როგორც ზემოთ ითქვა, ქსნის ერისთავის 1470 წლის სიგელთან დაკავშირებით, ავტორი იხსენიებს „ძველი ერისთავთას“ იმ ადგილს, სადაც ამ საერისთავოს წარმოშობის თარიღად VI საუკუნე, იუსტინიანე დიდის ეპოქა, არის მითითებული. ჩვენი ავტორი დასძენს, რომ ამას „სინამდვილესთან კავშირი არ უნდა ჰქონდეს“ (გვ. 37). აქვე შეიძლება გავგვხსენებინა ჯუანშერის ისტორიაში დაცული ცნობა იმის შესახებ, რომ სწორედ VI საუკუნეში სავარაუდოა, სპარსელი დამპყრობლების სახით, ხელს უწყობს ქვეყნის დასუსტებას და ერისთავებს დამოუკიდებლობის უმტყიცებს—„იყვნენ ერისთავნი იგი თეს—თესსა საერისთოსა უცვალებლად“ (ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1, გვ. 217). საფიქრებელია, რომ ქსნის ერისთავთა მატრიანე, რომელიც, პროფ. შ. შექნისის მოსაზრებით, გვ-14 ს. მიწურულს შეიქმნა, „ქართლის ცხოვრების“ ხსენებულ ადგილს ემყარებოდა. ეს მით უფრო სავარაუდოა,

რომ ქართულ ფეოდალურ წყობილებას თითქმის განუწყვეტელი შემორჩა საერისთაოთა სისტემა, რომლის გვიანდელი მემკვიდრე (თუმცა სხვაგვარ ვითარებაში, მაგრამ მაინც) სათავაღოთა სისტემა იყო.

პროფ. ივ. სურგულაძის ნაშრომის მეორე ნაწილად ჩვენ ვთვლით წიგნში შეტანილ ნარკვევს—„გლებთა კატეგორიები და გლებთა გადასახადები დასტურლამალის მიხედვით“ (112—260). როგორც ითქვა, პირველ ნაწილში ავტორი სამართლის ისტორიის ძეგლებზე მსჯელობს და ამით სავსებით ამართლებს ნაშრომის განმსაზღვრელ სათაურს—„ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან“. მეორე ნაწილში ავტორი არსებითად სახელმწიფო სამართლის ძეგლებს—დასტურლამალისა და ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის—მიხედვით არკვევს გლებთა კატეგორიებსა და გადასახადებს. ეს ნარკვევი „სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის“ სფეროს სცილდება და ამდენად წიგნის დასათაურება დაზუსტებას მოითხოვს—მით უფრო, რომ წიგნის მეორე ნაწილი საგრძნობლად ჭარბობს პირველს.

აღნიშნულ ნარკვევში ავტორი საკმაოდ დეტალურად განიხილავს გლებთა კატეგორიებსა და გადასახადებს დასახელებული ძეგლების მიხედვით, სწორად ხსნის ვახტანგის საკანონმდებლო საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიზანს—ნორმალურ ფარგლებში ჩააყენოს საბატონყმობის ურთიერთობა და აღკვეთოს ფეოდალთა თვითნებობა ყმათა დაბეგვრის საქმეში. „უღების დადება კაცის კვლის ოდენი არისო“, შენიშნავდა მეფე თავის სამართალში (მუხ. 214).

ავტორს დიდი შრომა ჩუტარებია გლებთა კატეგორიებისა და მათი გადასახადების შესასწავლად. მომავალში მკვლევარები უთუოდ მოვალენი იქნებიან სათანადოდ გაითვალისწინონ ივ. სურგულაძის დაკვირვებები მე-18 ს. გლებთა გადასახადების რაოდენობისა და მათი შინაარსის, მწარმოებელთა ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ (გვ. 222—260).

გლებთა კატეგორიების საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით, სარეცენზიო შრომაში მოცემულია საყურადღებო დაკვირვება სამართლის საჯარო და კერძო საწყისების ურთიერთობის შესახებ სამეფო და სადედოფლო გლებების მიმართ (გვ. 122—123).

საყურადღებოა აგრეთვე ყმის ყმა და მისი სამართლებრივი რეჟიმი; ავტორის აზრით, ყმის ყმას შეიძლებოდა ჰქონოდა მხოლოდ მფლობელობისა და არა საკუთრების უფლება (გვ. 127—132). საეკონომიკო ავტორის დაკვირვება

თარხანთა და აზატთა შორის განსხვავების შესახებ (გვ. 138).

გლებთა გადასახადების შესახებ ავტორს, სარეცენზიო შრომის გარდა, სხვა ნარკვევებიც აქვს გამოქვეყნებული.¹ ამ შრომებში კარგად არის გარჩეული საური, მალი, კოდისპური, მახტა, საქვრივი და საქეჟე.

ყველაფერ იმას, რასაც გლებობა იხდის ვაბატონებული კლასის სასარგებლოდ, ავტორი „გადასახადებს“ უწოდებს, სახელმწიფოს სასარგებლოდ დაკისრებულ გამოსაღებს კი—„გადასახადს“.

პროფ. ივ. სურგულაძის წიგნის მეორე ნაწილში შედარებით უფრო მეტია სადავო საკითხები. აქ ჩვენ ბევრ რამეში ვერ დავეთანხმებით პატივცემულ ავტორს. ჩვენი შენიშვნები, მაუხედავად იმისა თუ რამდენად უცილობელი იქნებიან ისინი, ვფიქრობთ, მაინც ხელს შეუწყობენ წიგნში აღძრული საკითხების უკეთ შესწავლას.

ჩვენის აზრით, გლებთა კატეგორიებისა და გადასახადების საკითხთა განხილვა დასტურლამალის მიხედვით უდავოდ საინტერესოა, მაგრამ მართო ამ ძეგლისა და ვახტანგის კანონთა კრებულის მიხედვით ასეთი რთული თემის გაშუქება სრულ სურათს ვერ მოგვცემს. მართალია, ავტორი ზოგიერთ საარქივო მასალასაც იშველიებს, საკითხის ისტორიოგრაფიასაც რამდენადმე ითვალისწინებს, მაგრამ მისთვის ძირითადი ამოსავალი წყარო მაინც აღნიშნული ძეგლებია.

საკანონმდებლო ძეგლი ამ შემთხვევაში მოვლენის მხოლოდ ზოგად მხარეზე გვანიშნებს, რაც ზოგჯერ კონკრეტული მასალით არ დასტურდება და შეცდომისაგან დაზღვეული ვერ კიჭებოთ. საბუთები კი კონკრეტული ფაქტებიდან ზოგადთან მიგვიყვანს და საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ თუ რამდენად ასახავდნენ კანონები რეალურ სინამდვილეს.

ავტორის აზრით, კატეგორია ფართო შინაარსის ცნებაა; როცა საუბარია სოციალურ ფენებზე, მაშინ უნდა ვგვთვალისხმოთ გლებთა ერთი ფენის მეორისაგან განსხვავება. ეს გარემოება განსხვავებულ იურიდიულ რეჟიმში შეიძლება არ გამოვლინდეს, მაგრამ „რალაც განსხვავება“ მაინც იქნება (გვ. 263); მაგრამ რას ნიშნავს „რალაც განსხვავება“, რა უნდა ვგულისხმოთ ამაში? ავტორის აზრით, შეიძლება გლებების ჯგუფები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს, მაგრამ ეს განსხვავება არ ქმნიდეს განსხვავებულ იურიდიულ რეჟიმს, მაგალითად, გლებები შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანე-

¹ ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI (1952 წ.), ტ. VII (1953 წ.).

თისაგან მფლობელობის მიხედვით (გვ. 264). მაგრამ მფლობელობის მიხედვით გლეხების სხვადასხვა ფენები არ იქმნებოდნენ, „მოუხედავად ამისა,—წერს ავტორი,—ჩვენ შესაძლებლად ვცანით ამ შემთხვევაში ტერმინი კატეგორია გვეხმარა“ (გვ. 264). ვფიქრობთ, ავტორი აქ ცდება, თუ განსხვავება არ არის სოციალურ ფენებს შორის, მაშინ კატეგორიაც არ ყოფილა. გლეხობის კატეგორიებად დასაყოფად გარკვეული პრინციპი უნდა იყოს აღებული, წინააღმდეგ შემთხვევაში არ უნდა გვქონდეს საუბარი კატეგორიებზე.

ავტორს ცალკე აქვს გამოყოფილი ტყვის საკითხი და ტყვე განხილული აქვს გლეხთა კატეგორიებს შორის (გვ. 160—164). ავტორის ეს შეცდომა იქიდან გამომდინარეობს, რომ მას კატეგორია ძლიერ ფართო შინაარსის ცნებად აქვს წარმოდგენილი.

ავტორი თვითონვე წერს, რომ „ტყვე, როგორც საზოგადოების ელემენტი, გამონაკლისს წარმოადგენდა და საწარმოო ურთიერთობაში მას რაიმე როლი არ ჰქონია“ (გვ. 164). თუ ეს ასეა, მაშ რაღა საჭირო იყო ტყვის საკითხის ცალკე გამოყოფა! „ელემენტი“ ისეთი ცნებაა, რომ ის იყოფაფერს მიუდგება; ტყვეები მაშინდელი საზოგადოების ელემენტები კი იყვნენ, მაგრამ რაიმე ფენას ისინი არ ქმნიდნენ.

ავტორს გლეხები დაყოფილი აქვს კატეგორიებად: ეკონომიური მდგომარეობის, მფლობელობისა და ყმობის წარმოშობის მიხედვით. დაიწყებულია, რომ სამთავე ეს პრინციპი შესაძლებელია, სხვადასხვა მხრივ, ერთსა და იმავე გლეხს მიუღდეს. მაგალითად, სამეფო გლეხი შეიძლება ეკონომიურად ძლიერი ან სუსტი და, იმავე დროს, მკვიდრიც ყოფილიყო. გარდა ამისა, ცნობილია, რომ გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის შესწავლის დროს, ჩვეულებრივ, ფეოდალური ხანისათვის მსჯელობენ მათი ეკონომიური (ქონებრივი) ღირებულებისა და შესახებ. „კატეგორია“ კი ამ დროს უმთავრესად სოციალურ-უფლებრივ ნორმებს გულისხმობს.

ამგვარად, გლეხთა დაყოფის პრინციპი კატეგორიებად, რომელსაც პაციეცემული ავტორი ვეთავაზობს, ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია.

ვფიქრობთ, არაა სწორი ავტორის ასეთი კატეგორიული განცხადება—„გლეხს არ შეიძლება ჰქონდეს საკუთრების უფლება მიწაზე“ (გვ. 129). ავტორს კარგად მოეხსენება, რომ ყმა-გლეხის ნასყიდ მიწას ფეოდალი, თანახმად არსებული წესისა, ვერ შეეხებოდა.

ვერ დავეთანხმებით ავტორს იმაში, რომ იგი გვიანფეოდალური ხანის ნასყიდ ყმას „ყმობის წარმოშობის“ რიგში განიხილავს (გვ. 145—149). მართალია იგი, როცა განასხვავებს ერთმანეთ-

საგან ყმის ოჯახითა და ოჯახისაგან მოწყვეტილ გაყიდვას, ისევე როგორც „თავაყიდულობას“, როცა კატასტროფულ მდგომარეობაში მყოფი გლეხი იძულებული ხდება თავი გაყიდოს; ამ ბოლო შემთხვევაში გლეხის უფლება, დაახლოებით, ისეთივეა, როგორც ტყვემონასა, მაგრამ გვიანფეოდალურ ხანაში „ნასყიდი ყმა“ (თუ ეს სახელი ზოგადი შინაარსით შეიძლება ვიხმაროთ) ყმის მდგომარეობის გაუარესებას ნიშნავს და არა ყმობის წარმოშობას.

ჩვენ სწორად არ გვეჩვენება ავტორის დასკვნა, რომ XVII—XVIII საუკუნეებში გლეხთა კატეგორიებს შორის განსხვავება თანდათანობით ქრებოდა (გვ. 121, 236). ამ დროს მწარმოებელი კლასის ცხოვრებაში მართლაც აქვს ადგილი გარკვეულ ცვლილებებს. უფრო მეტად ეს ითქმის მე-18 ს. II ნახევარზე, მაგრამ კატეგორიათა ლიკვიდაციის პროცესი ჯერ კიდევ არაა შესამჩნევი.

მართალია პაციეცემული ავტორი, როცა თვლის, რომ ხიზანთა ჭირითადი მასა ყმურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ამდენად იგი ფეოდალიზმის რღვევას, ხელს ვერ შეუწყობდა (გვ. 158). მაგრამ საქართველოში საკმაო რაოდენობით იყვნენ პირადი თავისუფალი ხიზნები, რომელთა არსებობას ისტორიკოსები თითქმის ერთხმად აღიარებენ. ასეთი ხიზნები, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდნენ ფეოდალიზმის რღვევას.

ავტორი შენიშნავს, რომ XVIII ს. საქართველოში „ხიზანს ჯერ კიდევ არა აქვს სამუდამო-სამემკვიდრეო მფლობელობის უფლება მობო-ვებული“ (გვ. 157). მისი აზრით, მხოლოდ XIX ს. ქართული ხიზნობა „ძლიერ ემსგავსება“ „სამუდამო-სამემკვიდრეო სარგებლობის იმ ინსტიტუტს, რომელიც ცნობილი იყო ევროპის ქვეყნებში“ (გვ. 154). ამით ავტორი უარყოფს დოც. ვ. გუჩუას დებულებას, რომ მიწის სამუდამო-სამემკვიდრეო სარგებლობის უფლებით ხიზნები ჯერ კიდევ XVIII ს. II ნახევარში სარგებლობდნენ (მას. საქ. და კავც. ისტ., ნაკვ. 34, 1962 წ., გვ. 65). უნდა ითქვას, რომ მოკვამთე მხარეებს თავიანთი დებულებები სათანადო საბუთითანობით არ განუმტკიცებიათ და საკითხი კვლავ დიად რჩება.

რამდენადმე წინააღმდეგობრივია ავტორის მსჯელობა თავისუფალ გლეხთა შესახებ. იგი წერს: — „XVIII საუკუნეში არც საკანონმდებლო და არც სხვა ხასიათის ძეგლებს თავისუფალი გლეხი აღარ წარმოუდგენიათ“ (გვ. 128). ქვემოთ (გვ. 138 და 157) იგი აღიარებს თავისუფალი გლეხის არსებობას, რომლის მდგომარეობა დროებითი და გარდამავალია. შემდეგ ნათქვამია, რომ ვახტანგის სამართლის 260-ე მუხ-

ლის მიხედვით „თავდახსნილს შეეძლო „თავის-თვის“ ყოფილიყო“, მაგრამ ასეთების რაოდენობა მცირე და უმნიშვნელოა; თავდახსნილებს „თანამედროვენი უფრო დროებითად თვლიანო“ (გვ. 140). წიგნის 141-ე გვერდზე კი ჩვენი ავტორი უკვე მერყეობის გარეშე აღიარებს თავისუფალ გლეხთა არსებობას და განიხილავს მათ, როგორც „ახალი საზოგადოებრივი ეკონომიური ფორმაციის მოსამზადებელ ელემენტებს... ფეოდალური საქართველოს სინამდვილეში“; თუმცა მათ გლეხური ფენის მნიშვნელობას არ ანიჭებს.

ნარკვევის დიდი ნაწილი გლეხთა გადასახადების საკითხს ეთმობა. ავტორი განსაკუთრებული გულისყურით გვიჩვენებს მწარმოებელი საზოგადოების მიმე მდგომარეობას, არკვევს ფეოდალური რენტის ყოველგვარ სახეებს—შრომით, ნატურალურსა და ფულადს—ძლევაცალკეული რიგის გადასახადთა კლასიფიკაციას: სამეფო, სამოხელეო, საეკლესიო და სხვ. ვა ცდილობს გაარკვიოს ფეოდალური რენტის მოცულობის რაოდენ მე-18 ს. საქართველოს ისტორიულ განვითარებაში.

ავტორი ყოველთვის ვერ იცავს თანმიმდევრობას. გლეხთა გადასახადებს იგი ზოგჯერ წმინდა ეკონომიური და სტატისტიკური ურთიერთობის ასპექტში, და არა პერსპექტიული თვალსაზრისით, განიხილავს. ასეთი მიდგომით ძნელდება გარკვევა რენტის განვითარების ტენდენციისა; პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ საითკენ მიდის არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობა, განიცდის იგი სტაბილიზაციას, თუ რღვევის გზით მიექანება.

ავტორი ცდილობს მოგვცეს გლეხთა გადასახადების სამი ძირითადი რიგის შეფარდება. სურათის რამდენიმე ვასამარტივებლად იგი ყველა სახის გადასახადს ფულადი ექვივალენტით გამოხატავს; მეტად გაბედული, და არც თუ ისე გამართლებული, ვარაუდებით აჩვენებს საგლეხო კომლის შემოსავალს, ითვლის შრომადღებების რაოდენობას, რომელსაც გლეხი ბატონის სასარგებლოდ ხარჯავს (პროდუქტადი და ფულადი რენტაც გადაჰყავს შრომადღებზე) და დაასკვნის, რომ „დაახლოებით 180—200 შრომადღე, თუ მეტი არა, ყმას ბატონის სასარგებლოდ უნდა ემუშავა. ყმას თავისთვის რჩებოდა, დაახლოებით 165 დღე კვირა-უქმე დღეების ჩათვლით. მაშასადამე, 52 კვირა დღე უნდა მიემართოს 5—6 სადღესაწარმოო დღე; ამის მიხედვით სამუშაო დღე დარჩება ასამდე“. რადგანაც გლეხის დღიური შრომა იმ დროის კვლობაზე ერთი შაური ღირდა, ავტორი აჯამებს: გლეხს თავის სასარგებლოდ, ყოველწლიურად, 100 შაურის გამოუმუშავება შეეძლო. შემდეგ საუბარია იმის შესახებ, რომ გლეხი ამ

ფულით (თუ საშუალოდ 4-სულიან კომლს ვაჩვენებთ) მხოლოდ ორი თვის განმავლობაში შესაძლებდა თავისი ოჯახის გამოკვებას (გვ. 233).

აღნიშნული ანგარიში, ჩვენი აზრით, მცდარია. ამის მიზეზი ისაა, რომ ავტორს გლეხთა მდგომარეობის უფრო მეტი დამუქების ტენდენცია ეტყობა. „მაშასადამე,—დაასკვნის იგი,—გლეხი თავის გამოკვებას ვერ ახერხებდა. ამიტომაც იყო, რომ ბატონი მის გაყიდვას არჩევდა“ (გვ. 233—234); ან კიდევ: „ამგვარად, სინამდვილეში გლეხის ოჯახს მხოლოდ მშრალი პურის ჭამა თუ შეეძლო“ (გვ. 234).

მე-18 ს. გლეხები რომ საერთოდ მიძიმე მდგომარეობაში იყვნენ, ეს უდავოა, მაგრამ აღნიშნულ ანგარიში სინამდვილეს არ ასახავს, ავტორს ზედველობიდან რჩება ის გარემოება, რომ, თვით მისივე განცხადებით, გლეხი ბატონისათვის 200-დღე შაურის ღირებულებას ქმნიდა. მაშინ ისმის კითხვა, თუ რატომ იყო ხელსაყრელი ბატონისათვის გაყიდვა გლეხისა, რომელიც „რსებითად მას ამდიდრებდა, ანდა, თუ ავტორის დავუჯერებთ, ვინ იყიდა ისეთ გლეხს, რომელიც თავის გამოკვებას ვერ ახერხებდა და ბატონს, ზარალის გარდა, ვერაფერს მისცემდა. ამასთანავე, ავტორს ავიწყდება ის არსებითი გარემოება, რომ გლეხური კომლის შრომადღეთა რაოდენობა ერთი მშრომელი ხელით არ ამოიწურებოდა. მრავლად იყვნენ კომლები, რომლებშიც ერთზე მეტი მუშა-ხელი ითვლებოდა. ამრიგად, გლეხური კომლის შრომადღეთა რაოდენობა, მცირე გამოვლისის გარდა, გაცილებით უფრო მეტი იყო, ვიდრე ერთი კაცის მიერ გამოუმუშავებული შრომადღეები.

ერთგვარი გაზვიადების ტენდენცია ეტყობა ავტორს მრავალნაირ გადასახადთა ვრცელი სიის შედგენის დროსაც. სხვაგვარად არ შეძლება ავხსნათ ის, რომ ამ სიაში მას შემოჰქვას დანა-შაულთათვის დაწესებული ჯარიმებიც კი (სიის რიგითი ნომრის მიხედვით—142, 143, 144, 145, 146, 148 და სხვ. გვ. 220—221). თვით ავტორიც გრძნობს ამას, როდესაც 150 ნომრამდე გაზრდილი სიის შემოკლებას იწყებს და 127-დღე დაჰყავს იგი. ავტორს კარგად მოეხსენება, რომ გადასახადთა გაწერა ადვილის, დროის, ეკონომიური მდგომარეობის, თუ კატეგორიების მიხედვით, ანუ კონკრეტული შემთხვევების საფუძველზე, ხდებოდა. იგი თვით შენიშნავს, რომ ამდენი გადასახადი ერთ გლეხურ კომლს არ მოეთხოვებოდა (გვ. 223).

ჩვენი აზრით, არაა სწორი და სთანადო დასაბუთებას მოკლებულია ის ვარაუდი, რომელსაც ავტორი გეთავაზობს ფულადი გადასახად-

ბის ხვედრითი წონის (8 პროც.) შესახებ (გვ. 235).

ორიოდე სიტყვა „პირველი ღამის უფლების“ შესახებ. ამ საკითხს ჩვენი ავტორი ჯერ კიდევ 1955 წ. გამოქვეყნებულ ერთ წერილში შეეხო (ეკონომიკის ინსტ. შრ., ტ. VII). ამავე საკითხზე მსჯელობს იგი სარეცენზიო ნაშრომშიაც, გადასახად „საჩექმესთან“ დაკავშირებით (გვ. 213). ავტორის მოსაზრებით, აღნიშნული უფლება საქართველოში XIX საუკუნემდე არ არსებობდა,¹ XIX ს-ში კი იგი უკვე ფეოდალთა „ფაქტიურად განხორციელებული უფლება“ იყო, თუმცა მას „წერილობითი კანონის სახე“ არ მიუღია (გვ. 216). ამავე დროს თვით ავტორი შენიშნავს, რომ „საქართველოში, არც სამართლის ძეგლებით, არც სხვა წყაროებით, არ შთკიდება პირველი ღამის უფლების არსებობა“ (216), „თუ პირველი ღამის უფლება იყო XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთში, მოსალოდნელია მისი არსებობა ამავე პერიოდის საქართველოშიც“. რუსეთში კი იგი არსებობდა, როგორც „ჩვეულებრივი სამართლის ნორმა“ (გვ. 219), „პირველი ღამის უფლება ყველგან და ყოველთვის ძალადობას წარმოადგენდა ყმის მიმართ“ (იქვე).

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, ვფიქრობთ, ჩვენი ავტორისა და დოც. გ. ნადარეიშვილის (იგი გადაჭრით უარყოფს აღნიშნული უფლების არსებობას XIX საუკუნეშიაც, არსებულ შემთხვევებს დანაშაულებრივ ფაქტებად მიიჩნევს) დავას პრინციპული ხასიათი არ აქვს. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ამაშია. რომ ავტორი სურგულაძე არსებულ ცალკეულ ფაქტებს, მართალია, ძალადობად მიიჩნევს, მაგრამ ფაქტიურად „განხორციელებულ უფლებად“ თვლის, გ. ნადარეიშვილი კი არსებულ შემთხვევებში დანაშაულს ხედავს, შემთხვევათა არსებობას კი

არც ერთი მათგანი არ უარყოფს. ჩვენც ვფიქრობთ, რომ აღნიშნული „უფლება“ არც XIX საუკუნეში არსებობდა. მოკამათებს შორის დავის გადაწყვეტად, ალბათ, საჭირო იქნება იმას ვარკვევა, თუ რამდენად იყო გავრცელებული „ღარღვევის“ შემთხვევები.

სარეცენზიო ნაშრომის ბოლოსიტყვა ეძღვნება წიგნის მეორე ნაწილს—„გლეხთა კატეგორიებსა და გადასახდელებს“. ბოლოსიტყვაობაში მოხსენებულია უკანასკნელ პერიოდში გამოცემული ნარკვევები ამ საკითხების შესახებ (გვ. 261—270). ეს ნარკვევები ავტორს თავის შრომაში არ დაუმოწმებია. როგორც ჩანს, სარეცენზიო შრომა წინათ ყოფილა დაწერილი და ავტორს ბოლოსიტყვაობით შეუვსია ის. მიუხედავად ამისა, მას არსებული ლიტერატურა სისრულით გათვალისწინებული არ აქვს. მაგალითად, მხედველობიდან რჩება პროფ. ს. კაკაბაძის დამოწმება იქ, სადაც საუბარია ქართლ-კახეთის სამეფოს შემოსავალზე და აღნიშნულია, რომ ვახტანგ VI-ის დროს ეს შემოსავალი უფრო მეტი იყო, ვიდრე ერეკლე მეორის მეფობის პერიოდში (გვ. 250—251). პირადად ჩვენ კი ამ დებულებას არ ვიზიარებთ და ვფიქრობთ, რომ ავტორს იგი უკრიტიკოდ არ უნდა გაემეორებინა.

ასეთია ჩვენი მოსაზრებები პროფ. ივ. სურგულაძის ნარკვევების შესახებ. როგორც ვხედავთ, ავტორს მეტად ნაყოფიერი და სასარგებლო შრომა გაუწევია, გამოუთქვამს არა ერთი ორიგინალური მოსაზრება. ნაშრომი ემყარება მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიას. პროფ. ივ. სურგულაძის მეცნიერული კვლევა-ძიება საესებით გარკვეული წვლილით შემოდის ქართული ისტორიოგრაფიის ანალებში.

პროფ. მ. ლუმაბაძე.

1 ამის არაპირდაპირ საბუთად მას მიაჩნია ვახტანგის სამართლის 42-ე მუხლი.



18, 19 და 20 მარტს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი.

პლენუმზე მოსმენილ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ს. ქაჯაიას მოხსენება — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის ანგარიში 1964 წლის მუშაობის შესახებ.

— პროკურატურასთან და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროსთან ერთად, — ამბობს ამხ. ს. ქაჯაია, — სასამართლო ორგანოების მუშაებმა 1964 წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის.

საქართველოს სსრ პროკურატურასთან ერთად შესწავლილ იქნა სასამართლო პრაქტიკა ვაფლანგვა-მტაცებლობის, მექრთამეობის, განზრახ მკვლელობისა და ავტოაგრიის საქმეებზე, აგრეთვე ვადამდე პირობით გათავისუფლების საქმეთა განხილვისა და გათავისუფლებულ პირთა სამუშაოზე მოწყობის პრაქტიკა, პირობით მსჯავრდებულთა მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის მიზეზები, მცირემნიშვნელოვანი საქმეების ამხანაგურ სასამართლოებზე გადაცემის, არასრულწლოვან დამნაშავეთა საქმეების განხილვის პრაქტიკა და სხვა.

— საბჭოთა კანონიერების განმტკიცების საკითხებზე, პროკურატურის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მუშაებთან ერთად ჩატარდა რესპუბლიკური და ზონალური თათბირები.

— საანგარიშო პერიოდში გაუმჯობესდა სახალხო სასამართლოების მიერ პროვოლაქტიური მუშაობა მოსახლეობაში, ორჯერ გაიზარდა საქმეთა განხილვა გამსვლელი სესიით, უფრო მეტი რაოდენობით ტარდება ლექციები და კითხვა-პასუხის საღამოები, საუბრები. სასამართლოებს უფრო მეტი რაოდენობით გამოაქვს კერძო განჩინებები.

— ყოველივე ამის შედეგად 1963 წელთან შედარებით 1964 წელს მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა.

შემდეგ ამხ. ს. ქაჯაია ლაპარაკობს იმ ნაკლოვანებებზე, რასაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების მუშაობაში. მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ რესპუბლიკაში დანაშაული შემცირდა, ზოგიერთ სახეში ეს შემცირება არ იგრძნობა.

პირველი ინსტანციით განხილულ საქმეების განხილვისას იშვიათად მონაწილეობენ საზოგადოებრივი ბრალმძღვლები და საზოგადოებრივი დამცველები.

ამხ. ს. ქაჯაია შეეხო გამოძიების მუშაობის ნაკლოვანებებს, გამწესრიგებელი სხდომის მუშაობას, საქმეთა განხილვის ვადებსა და ხარისხს, მიმოიხილა საკასაციო კოლეგიის მუშაობა, ანალიზი გაუკეთა შემოსული საჩივრების განხილვის მდგომარეობას.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებმა ს. აღამიანმა, ვ. მუშუქლიანმა, თ. პაიჭაიამ, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ვ. ღვინჯილიამ და სხვ.


შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მაისურაძე.

მეორე საკითხზე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1964 წლის ანგარიში — მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. იოსავა.

როგორც ამხ. გ. იოსავამ აღნიშნა, კოლეგიამ მრავალი ღონისძიება განახორციელა სასამართლო პრაქტიკაში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას კანონიერების განმტკიცებისათვის. ყურადღება ექცეოდა აგრეთვე მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების სწორად და დროულად გადაწყვეტას. ყოველივე ამან სათანადო შედეგი გამოიღო. საგრძნობლად შემცირდა სასამართლო გადაწყვეტილებათა გაუქმების შემთხვევები.

მომხსენებელი ანალიზს უკეთებს სახალხო სასამართლოების მუშაობას სამოქალაქო საქმეთა განხილვის დარგში და აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ არასაკმაო ყურადღება ექცევა სახალხო სასამართლოების მუშაობის შესწავლას და სასამართლო პრაქტიკის განვითარებას ცალკეული კატეგორიების საქმეებზე, აგრეთვე საზოგადოებრიობის ჩაბმას სამოქალაქო საქმეთა განხილვაში.

აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ს. მაკარაძემ აღნიშნა: ჯერ კიდევ ვერ იქნა მიღწეული, რომ სასამართლოებმა წარმოებაში არ მიიღონ ისეთი საქმეები, რომლებიც სასამართლოებს არ ექვემდებარება. მან სასურველად მიიჩნია, რომ უმაღლესი სასამართლოს მუშაები უფრო ხშირად მიდიოდნენ ადგილებზე დასახმარებლად.



პლენუმზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს უმაღლესი სასამართლოს წევრი ტ. ჯაფარიძე, საქართველოს სსრ პროკურატურის სამოქალაქო საქმეთა განყოფილების უფროსი კ. ასიეშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მაისურაძე.

მოხსენება — დამნაშავეთა თავდებევეშ და პირობით მსჯავრდებულთა საზოგადოებრიობაზე ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად ვადაცემის სასამართლო პრაქტიკის შესახებ, — გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ნ. გაჯიევმა.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა რესპუბლიკის სასამართლო პრაქტიკაში უფრო ფართოდ გამოიყენება პირობითი მსჯავრი, მათ რიცხვში მსჯავრდებულთა გამოსასწორებლად და ხელახლა აღსაზრდელად საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და მშრომელთა კოლექტივებზე ვადაცემა.

სასამართლო ორგანოები უფრო ხშირად იხილავენ საქმეებს გამსვლელ სესიებზე საზოგადოებრივ ბრალმდებლებისა და საზოგადოებრივ დამცველთა მონაწილეობით.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე. არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოები მშრომელთა კოლექტივებს აღსაზრდელად ვადაცემენ სამართლის დამრღვევ პირებს მათი შუამდგომლობის გარეშე, არ იხილავენ შუამდგომლობებს, არ ასაბუთებენ თავიანთ ვადაწყვეტილებებს და ა. შ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებმა ო. გველესიანმა, ო. ჯიბლაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კონსულტანტმა ე. ხითარიშვილმა, გულრიბშის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ს. ეხვიაიმ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ს. ქაჯაიამ, საქართველოს სსრ პროკურატორმა პ. ე. ბერძენიშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ვ. ი. მაისურაძემ.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის გ. ცქიტიშვილის მოხსენება — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

მოხსენების ირგვლივ კამათში გამოვიდნენ

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ქაჯაია, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კონსულტანტი ე. ხითარიშვილი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ღვინჯილია, საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი ნ. მიქაძე, საქართველოს სსრ პროკურორი პ. ბერძენიშვილი.

მოხსენებით „სასამართლობის მდგომარეობის შესახებ 1964 წ. საქართველოს სსრ-ში“ გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მაისურაძე. მან ანალიზი გაუკეთა სასამართლობის მდგომარეობას რესპუბლიკაში. — წინა წლებთან შედარებით, — ამბობს ამხ. ვ. მაისურაძე, — რესპუბლიკაში სასამართლობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

შემდეგ ამხ. ვ. მაისურაძე ჩერდება რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების მუშაობაში შემჩნეულ ნაკლოვანებებზე, სისხლის სამართლის საქმეების კანონის დარღვევით განხილვაზე, სასჯელის ისეთი ღონისძიებების დანიშვნაზე სასამართლოს მიერ, რაც არ შეესაბამება ჩადენილ დანაშაულს, საქმეთა განხილვის ვადების დარღვევასა და სხვა საკითხებზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ს. ქაჯაიამ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებმა ო. გველესიანმა, ნ. ერქომაიშვილმა და სხვ.

განხილული საკითხების ირგვლივ პლენუმმა მიიღო სითანადო დადგენილებანი.

პლენუმის მუშაობას ესწრებოდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ზ. რატიანი, განყოფილების გამგის მოადგილე ვ. კვარაცხელია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე, საქართველოს კპ. ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი თ. ინოფრიშვილი, პარტიის აკადრის საოლქო კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ვ. მესხიძე, ქ. თბილისის რაიონების სახალხო მოსამართლეები და სხვა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს სსრ პროკურორი პ. ე. ბერძენიშვილი.

წ. გენჯიანი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა და ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა მიმდინარე წლის 12-13 მარტს ქუთაისში მოაწყვეს გაერთიანებული სამეცნიერო სესია.

შესავალი სიტყვით სესია გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა პ. გუგუშვილმა. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო სამეცნიერო სესიის მიზანი, ხაზი გაუსვა სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებს შორის კონტაქტის აუცილებლობას.

სესიაზე მომენილი იქნა 11 მოხსენება, აქედან 7 მოხსენება იყო ეკონომიურ საკითხებზე, ხოლო 4 მოხსენება სამართლებრივ თემებზე.

ქართველი იურისტებიდან ყურადსაღები იყო იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ თ. წერეთლის გამოხსენება, რომელმაც ილაპარაკა ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებაზე, როგორც დანაშაულის ცნების აუცილებელ ნიშანზე.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა, აღნიშნავს მომხსენებელი, რომელიც იმთავითვე ცდილობდა მოეცა დანაშაულის მატერიალური არსის დახასიათება, ყოველთვის ითვალისწინებდა ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას, როგორც დანაშაულის ცნების აუცილებელ ელემენტს. ეს ნიშანი შეტანილია დანაშაულის ცნების განსაზღვრებისას მოქმედ საბჭოთა კანონმდებლობაშიც.

დანაშაულის ცნებაში საზოგადოებრივი საშიშროების მომენტის შეტანით საბჭოთა სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობა ხაზს უსვამს იმას, რომ დანაშაული ეწინააღმდეგება კომუნისტური მშენებელი საზოგადოების ობიექტურ კანონზომიერებას, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, რომლებიც ამ კანონზომიერებას შეესაბამებიან და მისგან გამომდინარეობენ. ეს ნიშანი საერთოა ყველა დანაშაულისათვის, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი.

საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის ობიექტური თვისებაა, რომელიც არსებობს იმიტომ, რომ მიუხედავად, ასახულია თუ არა იგი მოქ-

მედის ცნობიერებაში და აგრეთვე მიუხედავად იმისა, გამოცხადებულია თუ არა ქმედობა დასჯად სახელმწიფოს მიერ. მაშასადამე, საზოგადოებრივი საშიშროება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ქმედობის სისხლის სამართლებრივი მართლწინააღმდეგობა. ქმედობა შეიძლება საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს და ამავე დროს დანაშაულად გამოცხადებული არ იყოს.

მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი წარმოადგენს ძირითად კრიტერიუმს ამა თუ იმ ქმედობის დანაშაულად აღიარებისათვის.

ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტიკის აზრით, საზოგადოებრივი საშიშროება — ეს არის საშიშროება საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი სისტემისათვის. აქედან გამომდინარე, ეს კრიმინალისტიკები ამტკიცებენ, რომ საზოგადოებრივი საშიშროება ახასიათებს სოციალისტურ ურთიერთობათა მთელ სისტემას, მართლწესრიგს, როგორც მთლიანობას და არ ახასიათებს სამართალდარღვევის სხვა სახეებს, რომელნიც ხელყოფენ მხოლოდ ცალკეულ სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობას, მართლწესრიგის ცალკეულ ნაწილს (პროფ. ნ. დურმანოვი, ი. სამოშჩენკო და სხვ). ამის საფუძველზე დანაშაულს იმით განასხვავებენ ადმინისტრაციული, დისციპლინური და სამოქალაქო დარღვევისაგან, რომ დანაშაული საზოგადოებრივად საშიშია, ხოლო სხვა სამართალდარღვევანი საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენენ.

ყოველი სამართალდარღვევის არსი უნდა განვიხილოთ სამართლის მიზნებთან კავშირში.

საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის ცნების გვარობითი ნიშანია და არა სახეობითი. მაშასადამე, დანაშაული განსხვავდება სამართალდარღვევის სხვა სახეებთან არა იმით, რომ დანაშაული საზოგადოებრივად საშიშია, ხოლო ადმინისტრაციული, დისციპლინური და სამოქალაქო დარღვევანი არ წარმოადგენენ საზოგადოებრივ საშიშროებას, არამედ იმით, რომ დანაშაული საზოგადოებრივი თვალსაზრისით უფრო საშიში, უფრო ამორალური მოვლენაა, ვიდრე სხვა სახის სამართალდარღვევანი.



მოსენებით — „დანაშაული საბჭოთა ვაჭრობის დარგში და მისი თავიდან აცილება“ — გამოვიდა ქ. ქუთაისის პროკურორი ა. უდენტი.

საბჭოთა ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართულ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობათაგან, აღნიშნავს მომხსენებელი, კანონმდებელი დანაშაულად ცნობს: სპეკულაციას, ცუდი ხარისხის საქონლის გასაყიდვად გამოყენებასა და მყიდველთა მოტყუებას.

უმართებულთა იმ კრიმინალისტების შეხედულება, რომელთაც სპეკულაციის ობიექტად მიაჩნიათ მხოლოდ საბჭოთა ვაჭრობის ინტერესები. სინამდვილეში სპეკულაციის ობიექტს წარმოადგენს აგრეთვე მომხმარებლის ინტერესიც, რადგანაც ეს უკანასკნელი ზარალს განიცდის ზედმეტ ფასებში საქონლის შეძენის გამო.

ახალ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სპეკულაციის საგანი ამომწურავად არის განსაზღვრული. ამით ბოლო მოეღო სასამართლო პრაქტიკის მერყეობას სპეკულაციის საგნის დადგენისას.

სპეკულაციის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც კერძო პირი, ისე თანამდებობის პირი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეოდეს იმ წყაროს დადგენას, საიდანაც მარაგდებიან სპეკულანტები, სავაჭრო ორგანიზაციებთან მათი კავშირის გამოვლინებას.

სპეკულაცია, რომელიც ყოველთვის გამოირჩევის მიზანს გულისხმობს, ხასიათდება პირდაპირი განზრახვით.

სპეკულაციის დამამძიმებელ გარემოებათაგან კვალიფიკაციის თვალსაზრისით სერიოზულ სირთულეს ქმნიან ისეთი შემთხვევები, რომლებიც დაკავშირებულია ხელობის სახით ან დიდი ოდენობით სპეკულაციის ჩადენასთან.

მისაღები არ არის იმ კრიმინალისტების შეხედულება, რომლებიც ფიქრობენ, რომ მყიდველთა მოტყუების შედეგად მაღაზიასა და სხვა სავაჭრო საწარმოში დაგროვილი და აღურიცხველი საქონლის მითვისება განხილული უნდა იქნეს როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცება. სინამდვილეში ასეთ შემთხვევებში ზიანს განიცდის არა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრება, არამედ ცალკეულ მოქალაქეთა მატერიალური ინტერესები. ამიტომ აქ გვექნება მხოლოდ მყიდველთა მოტყუების შემადგენლობა.

საბჭოთა ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავიდან აცილების საქმეში არსებითი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრიობის ფართო მასების მონაწილეობას. კარგ შედეგს იძლევა აგრეთვე გამოძიებულთა მუშაობა ცალკეულ სავაჭრობებზე და ახ. წ. სასამართლოების გასვლითი სესიები.

დიდი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო და სხვა ორგანიზაციებში კადრების სწორად შერჩევა-განაწილებას.

საინტერესო იყო იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის გ. ტყეშელიაძის მოხსენება — „დანაშაულის ობიექტის ცნების გაგებისათვის.“

დებულება, რომ დანაშაულის საერთო ობიექტს სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობები წარმოადგენენ, დასტურდება საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობით და აღიარებულია იურიდიულ ლიტერატურაში, — აღნიშნავს მომხსენებელი.

საზოგადოებრივი ურთიერთობები მეტაორთული მოვლენაა, მათ სხვადასხვა მხარე ელემენტს გააჩნიათ. სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობები იქმნებიან ადა ანებს შორის. ისინი მატერიალურ და იდეოლოგიურ ურთიერთობათა ერთობლიობას წარმოადგენენ.

ერთ-ერთ არსებით კრიტერიუმს, რომელსაც საფუძველზეც კანონმდებელი ამა თუ იმ შემთხვევაში დანაშაულად აცხადებს, წარმოადგენს იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის ღირებულება და მნიშვნელობა, რომლის წინააღმდეგ არის დანაშაული მიმართული.

მცდარია შეხედულება, რომლის თანახმად დანაშაულის ობიექტად არ შეიძლება ჩავთვაოთ სისხლის სამართლის კანონი, რადგან ეს უკანასკნელი რაიმე მატერიალურ ზიანს არ გაცივს. სინამდვილეში დანაშაულებრივი ქმედების ჩადენით სუბიექტი ზიანს აყენებს სისხლის სამართლებრივ ნორმას იმ აზრით, რომ არ არსებობს კანონმდებლის მოთხოვნა.

დანაშაულის საერთო ობიექტი ისეთი აბსტრაქციაა, რომელიც გულისხმობს ყველა არსებულ სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ამიტომ ის, რაც საერთოა ყველა დანაშაულისათვის, არ გამოდგება თვითელი დანაშაულის ან დანაშაულთა ცალკე ჯგუფის ობიექტის სპეციფიკურობის დადგენისათვის.

ადამიანის პიროვნება, რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული დანაშაული, არ შეიძლება ვცნოთ დანაშაულის საგნად და ამ გზით დანაშაულის ობიექტის შემადგენელ ნაწილად. იგი თვითონ წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობას.

მოსენების ირგვლივ გაიმართა კამათი.

სესიის მუშაობა შეაჯამა ქ. ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა ი. გომეხეთელიანმა.

692/100



ფანდი 50 333.

ИНДЕКС: 76185

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 2

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической комиссии при Совете Министров
Грузинской ССР